# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 1 მარტი, 1998 წელი. №50 (2750)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 40 თეთრი, თბილისის გარეთ 45 თეთრი.


## კადრი



გვაკმარე განსაცდელი, უფალო...

ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 28 თებერვალი ქ. თბილისი

გ. გეგეჭკორის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

თეატრისა და კინოხელოვნების განვითარებაში, მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, სახელმწიფო და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი **გიორგი გეგეჭკორი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

## სადისკუსიო კლუბი „პრესა“

### ფონ გოგუაძე-კოჩაკიძე: ისევ ციხეში ან დღემდე? [illegible]

ისე მოხდა, რომ ახლახან თბილისში არსებული თითქმის ყველა წინასწარი პატიმრობის ადგილი მოვიარე.

ვიყავი ორთაჭალის ციხეშიც, ცნობილ მე-5 იზოლატორშიც, თბილისის პოლიციის სამმართველოს საკნებშიც.

არ ვიცი, იქნებ მართლაც უბათქუნებენ იქ პატიმრებს, მაგრამ მე პირადად ვერც დაბათქუნებული ვნახე და ვერც ჩივილი რამ მოვისმინე ამ თემაზე.

არ უბათქუნებენ, მაგრამ სხვაფრივ, მტრისას...

დილა-საღამოს გოზინაყი და ელარჯი რომ გაჭამონ, იქ ერთი ღამის გათევას, დამიჯერეთ, გარეთ მთელი წელიწადი ცივ მჭადზე გადავლა ჯობს, ბატონო ვახტანგ.

ახლა რომ მკერდზე მჯიღს იბრაგუნებთ, გინდათ თუ არა, ციხეში ჩამსვითო, არ იცით, ეს „ჩაჯდომა“ რაც არის და იმიტომ იქაჩებით, ჩემო ნასპიკერალო ბატონო, თორემ კარგი რომ იყოს, ჯაბა იოსელიანს ნახევარი ცხოვრება იქა აქვს გატარებული, მაგრამ ახლა, ხომ ხედავთ, რა ლომივით იბრძვის, დარჩენილი ორი პარასკევიც ყრმობისა და მოწიფულობის საყვარელ გარემოში რომ არ გაატაროს.

იხ. მე-3 გვ.

## ტრანსკავკასია

### ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების შესახებ

1-2 მარტს სტამბოლში თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ისმაილ ჯემის მოწვევით გაიმართება სხდომა ენერგიის გამომუშავებისა და ტრანსპორტირების საკითხებთან დაკავშირებით. სხდომის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთისა და თურქმენეთის საგარეო საქმეთა მინისტრები და მათი მოადგილეები.

განიხილავენ კასპიის აუზის ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მილსადენებით საერთაშორისო ბაზარზე ტრანსპორტირების საკითხის პოლიტიკურ ასპექტებსა და საფუძველს.

სავარაუდოა, რომ სხდომაზე ჩამოყალიბდება ამ საკითხთან დაკავშირებით წლეულს მისაღები გადაწყვეტილებების თაობაზე ერთობლივი აზრი.

გარდა ამისა, მილსადენების დაფინანსების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ, სტამბოლის სხდომაზე განიხილავენ მრავალმხრივი სამუშაოების სწრაფად წარმართვის სტრატეგიასა და მიზნებს და პოლიტიკურ კოორდინაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებიც შეესაბამება ხუთი მონაწილე ქვეყნის ერთობლივ ინტერესებს.

საქინფორმი.

## ფინანსები

### „ბანკი დღეს საქართველოში უფრო მეტია, ვიდრე ბანკი“

თავისუფალ და დემოკრატიულ ქვეყანაში ახალი საბაზრო ურთიერთობები ყალიბდება. ეკონომიკურ რეფორმათა რიგში ფინანსებს წამყვანი ადგილი უკავია. ფინანსები და ეკონომიკა, ეკონომიკა და ბანკები, ამაზეა საუბარი ჩვენი კორესპონდენტის ინტერვიუში „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარესთან თამაზ მაღლაკელიძესთან.

იხ. მე-4 გვ.

## უკანასკნელ საათს

*მოსკოვი.* გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა თავისი დაპირებისამებრ გადააყენა მთავრობის რამდენიმე წევრი — ვიცეპრემიერი სეროვი და ორი მინისტრი — ცახი და კინელიოვი. გუშინვე დასრულდა კუჩმა-ელცინის მოლაპარაკება, რომელზეც მიიღეს ორმხრივ ხელსაყრელი პროგრამა. მიუხედავად ამისა, უკრაინის ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალამ, კერძოდ, რესპუბლიკურმა პარტიამ, მოითხოვეს „სამართალში მისცენ პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა რუსეთის ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებისათვის“.

*ყარაჩი.* პაკისტანის ამ უდიდეს ქალაქში გუშინ მოხდა ტერორისტული აქტი. მაღაზიებში ჩადებული ორი 0,5-0,5 კგ ტროლიტის ბომბის აფეთქებამ შეიწირა 8 სიცოცხლე, 25 კაცი დაშავდა.

## სიტუაცია

### მორიგი პროვოკაცია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 28 თებერვალს, 11 საათსა და 30 წუთზე, ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სამორიგეო ნაწილში დარეკა უცნობმა მამაკაცმა და განაცხადა, რომ ჰაერში აფეთქდებოდა თბილისი-მოსკოვის რეისის ერთ-ერთი თვითმფრინავი.

დაუყოვნებლივ მოხდა უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შესაბამისი სამსახურების მობილიზება.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სატელეფონო ზარი მორიგი „გათამაშება“ და პროვოკაცია იყო — არც თვითმფრინავებში და არც მგზავრების ბარგში არანაირი ასაფეთქებელი მოწყობილობა არ აღმოჩნდა.

საქინფორმი.

### თვითმფრინავში ბომბის ნაცვლად მანანა არჩვაძე-გამსახურდია აღმოჩნდა

თბილისი-მოსკოვის რეისის ერთ-ერთი თვითმფრინავი ჰაერში უნდა აფეთქებულიყო, — შეატყობინა 11.30 საათზე ანონიმმა თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სამორიგეო ნაწილს. საქინფორმის ცნობით, დაუყოვნებლივ იქნენ მობილიზებული უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შესაბამისი სამსახურები. თბილისი-მოსკოვის დღევანდელი რეისების შემოწმების შედეგად არც თვითმფრინავებში და არც მგზავრთა ბარგში ასაფეთქებელი მოწყობილობა არ აღმოჩნდა.

თბილისის აეროპორტის სარეგისტრაციო დარბაზში, პირველი თვითმფრინავი თბილისი-მოსკოვის მიმართულებით რეისით 6877 უნდა გაფრენილიყო 12.15 საათზე, მაგრამ იმ მიზეზით, რომ თვითმფრინავი საგულდაგულოდ შეამოწმეს მესანგრეებმა, იგი გაფრინდა 15.30 საათზე.

მეორე თვითმფრინავი, რეისით — 936 იგივე მიზეზით, 14.50-ის ნაცვლად გაფრინდა 16.30 საათზე. რეგისტრატურის თანამშრომელთა თქმით, 936 რეისის მგზავრებს შორის აღმოჩნდნენ მანანა არჩვაძე-გამსახურდია და მისი შვილი გიორგი გამსახურდია.

პრაიმ-ნიუსის შეკითხვაზე, რა კავშირი შეიძლება იყოს ანონიმურ ზარსა და არჩვაძე-გამსახურდიას შორის, ძალისმიერი სტრუქტურის მაღალჩინოსანმა წარმომადგენელმა უპასუხა, რომ „საბედნიეროდ, თვითმფრინავში არ აღმოჩნდა ბომბი და არ აფეთქდა არც ბომბი-პროვოკაცია“. მაღალჩინოსანი წყაროს თქმით, არ არის გამორიცხული, რომ ეს პროვოკაცია დაგეგმეს თვით „მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ და მისმა მოსკოველმა მეგობრებმა, რათა კიდევ ერთხელ მოეხდინათ საქართველოს ხელისუფლების საყოველთაო შერიგების პოლიტიკის დისკრედიტაცია და დაებრალებინათ მისთვის ექსპრეზიდენტის ოჯახის დევნა-შევიწროება“.

მანანა არჩვაძე-გამსახურდია და მისი შვილი მოსკოვს ჩაფრინდნენ.

პრაიმ-ნიუსი.

## ინფორმაცია

# ჯიხაშკარის ექო

### ...რომ თქვან – „მშვიდობით, იარაღო!“

საქართველოს პრეზიდენტის სურვილის შესაბამისად, საგამოძიებო ჯგუფი აგრძელებს ზუგდიდში მუშაობას გლობალური შერიგების აქტის განსახორციელებლად და ცდილობს ბოლომდე დაარწმუნოს გაეროს მეთვალყურეთა გამტაცებლების გულშემატკივრები, რომ ხელისუფლება მათდამი ლოიალური იქნება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთხელ და სამუდამოდ ენდობიან ხელისუფლებას და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდებიან“, – განაცხადა „მოამბე-ექს-პრესის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ მალხაზ სალაყაიამ.

საგამოძიებო ჯგუფი ამოწმებს ყველა შესაძლებლობას, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს ურთიერთნდობასა და ურთიერთპატივისცემამდე, – აღნიშნა მან.

მისივე თქმით, საგამოძიებო ჯგუფი ყველაფერს აკეთებს, რომ მათ, ვისაც ჯერ კიდევ აქვთ გადამალული იარაღი, გულწრფელად და შეგნებულად თქვან – „მშვიდობით, იარაღო“ და შეუდგნენ ნორმალურ ცხოვრებას.

### „ნას კაკოვიც! – მიაძახა“...

ჯიხაშკარში გათავისუფლებულმა ერთ-ერთმა მძევალმა, კერძოდ, შვედეთის მოქალაქემ მარტინ მოლგარდმა შვედეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ქართველი ტერორისტები ჯიხაშკარში ძალზე უცნაურად იქცეოდნენ. მას უცნაურად ეჩვენება ისიც, რომ ხელისუფლება ჟურნალისტებს სოფელში თავისუფლად მიმოსვლის საშუალებას აძლევდა. მოლგარდის თქმით, ტერორისტები მათ ხან ძმებივით ექცეოდნენ, ხან იარაღით ემუქრებოდნენ.

### ივანე რიბკინს ძველი დრო ჰგონია

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ივანე რიბკინმა მოსკოვში ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ამა თუ იმ ექსტრემისტული დაჯგუფების მოთხოვნით რუსეთი საქართველოდან ჯარებს არ გაიყვანს. რიბკინის თქმით, შეიარაღებული ძალები საქართველოში იმყოფებიან საქართველოს ხელისუფლებისა და ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხების მოთხოვნით.

რიბკინმა მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნა, რომ „როდესაც გსურს მიიღო ყველაფერი და თანაც დღესვე, – საბოლოოდ ვერაფერს მიიღებ“.

### სალმან რადუევი პასუხს მაინც აგებს

ჩეჩნეთში სალმან რადუევის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის მასალები გადაეცა ჩეჩნეთის შარიათის სასამართლოს. ჩეჩნეთის გენერალურმა პროკურორმა ხავაჟ სერბიევმა განაცხადა, რომ სალმან რადუევი პასუხს აგებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ არა აქვს პირდაპირი კავშირი შევარდნაძეზე განხორციელებულ თავდასხმასთან, რადგან მისმა განცხადებამ, რომლითაც მან თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, უდიდესი ზიანი მიაყენა ჩეჩნეთის რესპუბლიკა-იჩქერიის ინტერესებს.

# ტერაქტი

### მითი უძახე შენ...

რუსეთის პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორმა დიმიტრი ოლშანსკიმ განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმასთან ექსპრეზიდენტის მომხრეებს არავითარი კავშირი არა აქვთ. მისი თქმით, თანამედროვე „ზვიადისტები“ მითია. გამსახურდიას დაღუპვიდან რამდენიმე წელი გავიდა და ახლა სცენაზე სულ სხვა პერსონაჟები გამოჩნდნენ.

ოლშანსკი თვლის, რომ თანამედროვე საქართველოში „ზვიადისტთა“ აქტიურობას აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ ექსპრეზიდენტს მემკვიდრე ეყოლებოდა, მას კი მემკვიდრე არ დაუნიშნავს. ოლშანსკი დარწმუნებულია რომ სინამდვილეში საქმე გვაქვს შევარდნაძის მოწინააღმდეგე გარკვეულ ძალებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოში სიტუაციის დესტაბილიზაციით და ამ ძალებს მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოთ ზვიადისტური.

სად არიან ეს ძალები, ოლშანსკის არ უთქვამს.

ხომ არ ეუხერხულა?..

# საქართველო – აშშ

### ოფიციალური პირები ხელს აწერენ ხელშეკრულებას

ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებულის მოადგილემ მარტინ ადამსმა, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მიხეილ ჭკუასელმა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ გულუამ ხელი მოაწერეს შეღავათიანი პირობებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის შეთანხმებას. შეთანხმება ითვალისწინებს 15 მილიონი ამერიკული დოლარის საერთო ღირებულების ამერიკული ხორბლის და მცენარეული ზეთის იმპორტირებას საქართველოში.

### 5 მილიონი დოლარი – ბუნებრივი გაზის შესასყიდად

ორ ქვეყანას შორის დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესაბამისად საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) 5 მილიონი დოლარით უზრუნველყოფს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს საქართველოსთვის ბუნებრივი გაზის შესყიდვის, იმპორტისა და მოწოდებისათვის. აშშ მთავრობის სახელით მემორანდუმს ხელს აწერენ შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებული ლოურენს კერი და USAID კავკასიის რეგიონული მისიის დირექტორი ჯერი დონელი. საქართველოს მთავრობის სახელით – ფინანსთა მინისტრი მიხეილ ჭკუასელი და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით ზუბიტაშვილი.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: „მოამბე-ექს-პრესმა“, „იბერიამ“.**

## იცოდით?

# თურმე, რატომ ბნელდება მზე

სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში და კარიბის კუნძულებზე მოხდა ამ ათასწლეულში უკანასკნელი სრული მზის დაბნელება. როგორც როიტერის სააგენტო იუწყება, 26 თებერვალს ადგილობრივი დროით 12 საათსა და 30 წუთზე ვეება ჩრდილი ჩამოწვა 4 წუთით გალაპაგოსისა და კარიბის კუნძულებზე, კოლუმბიისა და ვენესუელის ტერიტორიაზე. ვენესუელის ქალაქ მარასაიბოს მახლობლად ასტრონომთა მთელი სიმპოზიუმი შეიკრიბა. აქ თავი მოიყარა 400 მეცნიერმა, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ტელესკოპებით, დურბინდებითა და ვიდეოკამერებით. ზოგიერთმა იაპონელმა ასტრონომმა, სააგენტოს ინფორმაციით, ადგილობრივ სასტუმროებში მზის დაბნელებამდე რამდენიმე წლით ადრე დაიჯავშნა ნომრები. მათ შორის იყო ტოკიოელი ბიზნესმენი ბუმპეი ხინო, რომელიც უკვე 13 სრული მზის დაბნელების მომსწრეა და ნამყოფია ციმბირში, სომალიში და ბორნეოზე. მზის დაბნელებას თვალს ადევნებდა ადგილობრივი მოსახლეობა და უამრავი ტურისტი. და მხოლოდ ვაიუს ტომის ინდიელები მორცხვად არიდებდნენ თვალს მნათობს. მათი თქმულების თანახმად, დაბნელება იმას მოასწავებს, რომ მზეს ინტიმური კავშირი აქვს მთვარესთან, რათა ასობით ახალი ვარსკვლავი გააჩინოს.

## იუმორის საკვირაო დოზა

### 8 მარტის კვირაძალს

ორი მეგობარი ქალი შეხვდა ერთმანეთს.

– როგორ არის შენი ლოთი ქმარი, ისევ ფანტავს ფულებს რესტორნებსა და ქალებში?

– არა. სერიოზულად ველაპარაკე და უკვე აღარც სვამს, აღარც ეწევა, აღარც ქალებში დადის. მშვიდად წევს თავისთვის რეანიმაციაში.

### ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი...

ორი ახალი რუსი ძაღლებს ასეირნებს. ერთს ბულტერიერი ჰყავს, მეორეს – ტაქსა. პირველი მეორეზე ფიქრობს: „საძმოს არცხვენს თავისი ტაქსათი“, და ბულტერიერს მიუსისიანებს. ტაქსა ორ წამში ორად გადაღრღნის ბულტერიერს.

გაგიჟდა პირველი:

– მომყიდე ტაქსა! ორ ათასს გაძლევ!

– ორი ათასი?! გეკადრება? ეს ნიანგი ხუთი ათასი ღირს, და კიდევ – პლასტიკური ოპერაციის ხარჯი...

### საბავშვო ბაღში

– შენს მშობლებს ეშინიათ მულტფილმების?

– არა!

– ჩემებს ეშინიათ. როგორც კი დაიწყება მულტიკები, საბანს გადაიხურავენ და ისე ცახცახებენ, ისე ცახცახებენ...

## დედაქალაქი







**გაზაფხულის შტრიხები.** ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

### სადისკუსიო კლუბი „პრესა“

# ფონ გოგუაძე-კიუხელხენი შავი გალიბანდით

ისე, კაი ეშმაკი ხართ, ბატონო ვახტანგ, იცით, არავინ რომ არ დაგიჭერთ და იმიტომაა დედ-მამის სულს რომ უტრიალებთ ხელისუფლებას. მაგრამ, მართლა რომ დაგიჭირონ, ხო-ხო-ხო, რა ამბავს ატეხთ?! ცას და მიწას შეაჯერებთ, გამომიშვით, სახლში მინდაო.

„მანსის“ 22-24 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულმა ვახტანგ გოგუაძის წერილმა „ბატონო ედუარდ, მე თვითონ გავემგზავრები ორთაჭალის თქვენეულ საძმო ბანაკში“, ერთი ანეკდოტური ამბავი გამახსენა, აგერ უკვე 60-65 წელიწადია პირიდან პირში რომ გადადის: 20-იანი წლების დასაწყისია. საბჭოთა რეპრესიული მანქანა მთელი სვლით მუშაობს, ოღონდ ჯერ კიდევ შეიძლება ჩეკადან თავის დაღწევა: პრაქტიკაშია ხალხის მცირე ხნით დაპატიმრება, ასე ვთქვათ, პროფილაქტიკისთვის. ყველა ღირსეული კაცი თითოჯერ მაინც არის დაპატიმრები. ერთი ცნობილი მწერალი, ერთობ ამბიციური კაცი, რომელიც ერთხელაც არ დააპატიმრეს და ჯავრით აღარ არის, ყოველ დილას ჩაიცვამს შავ ჩოხას, დაიხურავს შავ გალიბანდს და აივლ-ჩაივლის ჩეკას წინ, აცა, დამაპატიმრონო. ჩეკას მაშინდელმა უფროსმა კოტე ცინცაძემ თურმე შემოუთვალა: ჭიპზეც რომ გასკდე, მაინც არ დაგიჭეროო. და წაახდინა კაცი.



პოდა, ბატონო ვახტანგ, ისეთი პირი უჩანს, ჭიპზეც რომ გასკდეთ, მაინც არ დაგიჭერენ და დაახებთ თავი გმირობანას.

არ ხართ თქვენ ის კაცი, ვისაც იჭერენ და ვისი არდაჭერითაც ვიღაცას ან რაღაცას საშიშროება ექმნება.

არც როდისმე ყოფილხართ!..

პოდა, საგანგებოდ რატომ იშლით ნერვებს და თქვენი საცოდაობით, გვაცრემლებთ ამ ისედაც ტირილ-შიმშილით კისერგაწვრილებულ ხალხს.

მორიგი ტერაქტების შემდეგ ჩემკენ ხელის გამოშვერა უკვე აღარ მსიამოვნებსო, წერთ.

ნებისმიერი ტერაქტის შემდეგ თქვენკენ გამოშვერილი ხელი უნდა მოიკვეთოს, მარილში და ბოლში გამოიქნას და საქართველოს ისტორიის მუზეუმში ყველაზე გამოსაჩენ ადგილას გამოიფინოს, როგორც საარაკოდ ცრუ და მზაკვარი.

რომელ ჭკუათმყოფელს მოუვა თავში ტერაქტში თქვენი დანაშაულება!

ალბათ, ნანი ბრეგვაძეში უფრო შეიძლება ეჭვის შეტანა, ვიდრე თქვენში, და თუ კაცი ხართ, ისე ნუ წარმოაჩენთ თავს, თითქოს თოფი გავარდება თუ არა, იმწუთში ყველა სათვალთვალო სისტემა, თანამგზავრულიდან დაწყებული საოპერო დურბინდით დამთავრებული, თქვენკენ მოიმართებაო, არიქა, გოგუაძე „ისევ“ ტერორს აწყობსო.

ერთიც. დღეს საქართველოში ფაშისტური დიქტატურააო, ორაკულივით აცხადებთ.

თქვენ ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი ბრძანდებით და რამდენად მართებულია ეს შეფასება, თქვენს სინდისზე იყოს.

სხვა რამ მაინტერესებს:

განა თქვენ თვითონ არ ბრძანდებოდით ერთ-ერთი უაქტიურესი ქტიტორი და მამამძუძე ამა „ფაშისტური დიქტატურისა“?

განა რეჟიმი ესე თქვენი ძუძუთიც არ არის ნაკვები?

მაშ რატომ ოდენ სხვამ უნდა აგოს პასუხი ამა „ავი ნაკვებისთვის“?

ასე რომ, თუ მაინცდამაინც ციხეში ჩაჯდომა გსურთ, იმისთვის კი ნუ აპირებთ ჩაჯდომას, აქაოდა რა მამაცური რამ ვთქვი რეჟიმსა და ხელისუფლებაზეო, არამედ, თუ ეს რეჟიმი მართლაც ფაშისტურია (ის კი არა, ფაშისტურზე უფრო უარესიც კიაო, ნართაულად ამბობთ), უნდა ჩაჯდეთ როგორც ამ ფაშიზმის ერთ-ერთი შემოქმედი, ვთქვათ, როგორც ვახტანგ ფონ გოგუაძე-კიუხელხენი.

სწორედ ასე და არამც და არამც — სხვაგვარად!

მაგრამ, თქვენდა საბედნიეროდ, ციხეში ჯდომა არ მოგიწევთ არც როგორც ფაშიზმის შემოქმედს — დანაშაულის არარსებობის გამო.

ასე რომ, არა და არ გამოდის თქვენი სანუკვარი პოლიტპატიმრობა.

მაგრამ, რაკილა ასე დაგიჟინებიათ, ერთ რჩევას მოგცემთ:

მართლა მოკიდეთ ხელი რამე ტერორისტულ-აბრაგულს, მაგალითად, პარლამენტში ზურაბ ჟვანიას სკამი გადაუხერხეთ მძევლად აყვანის მიზნით, ან, შენ ხარ ჩემი ბატონი, ყურში მარილი ჩააყარეთ თქვენს მეგობრებს ერთიანი კომპარტიიდან. იქნებ გაჭრას, ა?

არ გაჭრის და ცხოვრების უპოლიტპატიმრად განლევა მოგიწევთ.

ულიმღამო პერსპექტივაა, მაგრამ რას იზამთ, უნდა მოითმინოთ, როგორც ამდენი ხალხი ვითმენთ.

რა, ჩვენ გვაწყენდა, თუ!?

**ალეკო ასლანიშვილი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

### დედაქალაქი



# პირველი სტუმრების მოლოდინში

კერძო სასტუმროების ქსელს, რომელიც ჩვენში ახლაღა ვითარდება, ამ დღეებში სასტუმრო „კალიფორნია“ შეემატა. ნუცუბიძის ქ. №157-ში მდებარე მშვენიერი სახლი ამიერიდან წარმოადგენს 12-ადგილიან კომფორტულ სასტუმროს, რომლის პირობებითა და მომსახურების მაღალი კლასით უთუოდ კმაყოფილი დარჩება შემკვეთი თუ მომსვლელი.

ეს სასტუმრო მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა, რაც მას განსაკუთრებულ იმიჯს უქმნის. „კალიფორნიას“ ჰყავს ოთხი დამფუძნებელი — კოტე აბულაძე, რევაზ ნოდია, ფრიდე და მიხეილ მახარაძეები. დედაშვილი მახარაძეები აწგარდაცვლილი გამოჩენილი მხატვრის კოკი მახარაძის მეუღლე და ვაჟი არიან — თვითონაც მხატვრები, სწორედ მათ სახლში დაიდო ბინა სასტუმრომ.

გვესაუბრება შპს „კალიფორნიის“ დირექტორი რევაზ ნოდია:

„ჩვენი მიზანი და ფიქრია საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის, ახალი ეკონომიკური ურთიერთობების გათვალისწინებით შეიქმნას მცირე კომფორტული სასტუმროების ქსელი თავისი მესაფერისი ინფრასტრუქტურით. გვინდა ჩვენი წვლილიც შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებაში, რაშიც ბოლო ხანს სულ უფრო იზრდება კერძო და არასამთავრობო სექტორის წილი. „კალიფორნიით“ მხოლოდ დავიწყეთ, გვინდა თბილისის სხვა უბნებშიც შევქმნათ მინი-სასტუმროები.

დასაწყისისათვის შემთხვევით არ აგვირჩევია ეს სახლი, რომელიც თავისებურ მუზეუმს წარმოადგენს, სადაც დაცულია შესანიშნავი მხატვრების ტილოები, რაც ქმნის სრულიად განსაკუთრებულ ესთეტიკურ ატმოსფეროს. აქ არის საამისო პირობები, რომ ჩვენი დახმარებით მოეწყოს სხვა მხატვართა გამოფენები, ასევე სრულიად უსასყიდლოდ ვაძლევთ საშუალებას ბიზნესმენებს, ჟურნალისტებს, ხელოვნების წარმომადგენლებს სასტუმროს „თეთრ დარბაზში“ გამართონ საქმიანი შეხვედრები, სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები.

ასეთი ხელგაშლილობა იმას როდი ნიშნავს, რომ არა ვართ დაინტერესებული მოგებით, უამისოდ საქმეს არ იწყებენ. არატრადიციულ რეკლამას ვირჩევთ, რომელიც ჩვენში ამ ეტაპზე უფრო რეალური გვგონია. დღესდღეობით ყველაზე მეტი სტუმარი თბილისში ჰყავს საქმიან წრეებსა და ხელოვანთა საზოგადოებას. თუკი მათ საკუთარი თვალით ექნებათ ნანახი ჩვენი სასტუმრო, ვეჯერა სიამოვნებით გაუწევენ რეკომენდაციას თავიანთ სტუმრებს „კალიფორნიაში“ გაჩერდნენ. მით უმეტეს, რომ ერთი ადგილის ფასი არც ისე ძვირია — 80-დან 120 დოლარამდე. ამ ღირებულებაში საუზმეც შედის. ტრადიციული პორტიე შეცვლილია სერვის-ბიუროთი, რომელიც მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს სტუმრებს, გვაქვს სატელიტური კავშირი და მობილური ტელეფონი. ასევე გვექნება სატრანსპორტო, სადაზღვევო და სასტუმროს უსაფრთხოების სამსახური, რაზედაც ხელშეკრულება გვაქვს დადებული შესაბამის უწყებებთან.

იმედი გვაქვს, რომ „კალიფორნია“ მომგებიანი სასტუმრო იქნება, მთელი ჩვენი შემოსავალი კი, კერძო სასტუმროების ქსელის გასაფართოებლად იქნება დაბანდებული“.

სტუმრების გარდა, „კალიფორნიაში“ სრულიად უსასყიდლოდ მასპინძლობენ თავიანთი შეხვედრებისათვის ხელოვანთ, ჟურნალისტებსა და ბიზნესმენებს. ასე რომ, შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონით: 32-05-14 და დაგეგმოთ საქმიანი პაემანი, გამოფენა თუ კონცერტი. ამავე ტელეფონით ხდება სასტუმროში ადგილების შეკვეთა.

„კალიფორნია“ თავის პირველ სტუმრებს ელის.



**გიორგი ლალიაშვილი.**

*სურათებზე: სასტუმროს ფოიე და ერთ-ერთი ნომერი.*

### ახალი თბილისი

# სანიმუშო უბანი

ამას წინათ ჩემს ვაზისუბნელ მეგობარს ვეწვიე: ირგვლივ ისეთი მყუდროება და სისუფთავე დამხვდა, სიმართლე გითხრათ, გაკვირვებული დავრჩი. ადრე აქაუროპა, ისევე როგორც დედაქალაქის ბევრი სხვა დასახლება და უბანი, ნაგვით იყო სავსე. ნეტავ, ახლა რა მოხდა?

რა და, თურმე რაიონში რაც ახალი გამგებელი დავით ლომაია მოვიდა, ეკონომიკამ წამოიწია, საბიუჯეტო შემოსავლების დავალება სრულდება და სისუფთავის დასაცავადაც რაღაც თანხები გამოიძებნა. ადრე ამის თავი არც მერიას ჰქონდა, არც რაიონულ გამგეობას და ქუჩებში „ნაგვის მთები“ იქმნებოდა. რა თქმა უნდა, ეწყობოდა შაბათობები, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, სეზონურ ხასიათს ატარებდა და, ფაქტობრივად, დასახლება დაუსუფთავებელი რჩებოდა.

— ახლა ვაზისუბანი რეგულარულად სუფთავდება, — მითხრა ისნის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ თემურ პაიჭაძემ, — პირველად გაგვიჭირდა, ცენტრალური ქუჩები ნაგვითა და მიწის მონაცვეტით იყო გადალესილი. ასობით ავტომანქანა დასჭირდა მის გაზიდვას, მთლიანად დასუფთავდა და გაიწმინდა ქუჩების მიმდებარე ხევები და ფერდობები, წყალსაქაჩის ტერიტორია, რომლებიც ნაგვითა და სამშენებლო ნარჩენებით იყო დაბინძურებული.

გადაწყვეტილი გვაქვს ვაზისუბანი წესრიგისა და სისუფთავის მხრივ დედაქალაქის ერთ-ერთ სანიმუშო უბნად ვაქციოთ. რაც აქ კეთდება, მოსახლეობას მოსწონს და კმაყოფილია, მაგრამ თუ თვითონაც აქტიურად ამოგვიდგება მხარში, უფრო მეტის მიღწევა შეიძლება. დარწმუნებული ვარ, ამას შევძლებთ. და არა მარტო ამ უბანში, მთელ რაიონშიც.

სასიამოვნო მოსასმენია. როგორც ჩანს, დადგა დრო გაუსაძლისი გასაჭირიდან თავის დაღწევასთან ერთად დედაქალაქის სისუფთავეზეც ვიზრუნოთ. თუ ვაზისუბანს სხვა უბნებიც ამოუდგებიან გვერდში (და უეჭველად უნდა ამოუდგნენ), ვფიქრობ, თბილისი მალე დაიბრუნებს ძველ იერსახეს.

**ზურაბ ვადაჭკორია.**

## ფინანსები

# „ბანკი დღეს საქართველოში უფრო მეტია, ვიდრე ბანკი“

### ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრება „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარეს თამაზ მაღლაკელიძეს

***— ბატონო თამაზ, საბანკო სისტემა საქართველოში ვითარდება. უკვე გამოიკვეთა გარკვეული ტენდენციები, როგორ შეაფასებთ მათ?***

– საბანკო სისტემა მართლაც ვითარდება. მოგეხსენებათ, ყველაფერი არსებული იცვლება, მარადიული ამქვეყნად არაფერია. ეს ცვლილებები შეიძლება შეფასდეს, როგორც განვითარება, სხვა შემთხვევაში კატასტროფა გარდუვალი იქნებოდა. არსებითი სხვაა, რამდენად თანმიმდევრული, გააზრებული და მართვადია ეს პროცესი. ჩემი აზრით, აქ შეინიშნება გარკვეული წინააღმდეგობრივი ტენდენციები, რომელთაც ექსპერტები არ აანალიზებენ. აი, ეს არის დამაფიქრებელი. ისე კი, ეროვნული ვალუტის სიმყარე, ბანკების რიცხოვნობის შემცირება, წამყვანი ბანკების ჯგუფის გამოკვეთა, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. მკაცრი ნორმატივების შემოღებაც პრიციპულად გამართლებულად მიმაჩნია, მაგრამ აქცენტები, შესაძლოა არ ისმება სწორად, აქა-იქ სხვადასხვა ბანკებისადმი სათბურის პირობების შექმნის მცდელობაც გამოსჭვივის, ხანდახან სუბიექტივიზმსაც ვაწყდებით. მაგრამ ეს ყოველივე ფერმკრთალდება იმ საგნობრივი, კონკრეტული და კარგად გააზრებული მხარდაჭერის ფონზე, რომელსაც საბანკო სისტემას უწევს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

**— „გაერთიანებული ქართული ბანკი“ ერთ-ერთი ლიდერი საბანკო დაწესებულებაა. პოლიტიკურ თუ საფინანსო სფეროში არსებულმა რყევებმა იმოქმედა თუ არა მის სტაბილურობაზე?**

– რა თქმა უნდა, ბანკის მდგომარეობაზე გარემომცველი სინამდვილე გავლენას ახდენს, განსაკუთრებით, პოლიტიკური სტაბილურობა და საინვესტიციო კლიმატი, მაგრამ ჩვენ გარკვეულწილად მივეჩვიეთ არაორდინარულ, შესაძლოა, ექსტრემალურ პირობებში ცხოვრებას და მუშაობას. ჩვენი საზოგადოებრივი სინამდვილის თანდათანობითმა გაუმჯობესებამ საშუალება მოგვცა დაგვემთავრებინა ბანკის რეორგანიზაციის პროცესი, დაგვეძლია სამი ბანკის – „შემნახველი ბანკის“, „ინდუსტრია-ბანკისა“ და „ექსიმბანკის“ გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი ყველა პრობლემა. განხორციელდა აქციონირება, გასუფთავდა აქტივები, ბალანსი, შესრულდა ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საკმაოდ მკაცრი ნორმატივები, რამდენჯერმე შემცირდა თანამშრომლების შტატები, რამაც საშუალება მოგვცა მათი მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმის დონესთან მიგვეახლოებინა. შევიმუშავეთ მკაფიო პოლიტიკა ფილიალების მიმართ. წამგებიანი ფილიალები დაიხურა. ეს იყო რთული და ზოგჯერ მტკივნეული პროცესიც, მაგრამ იგი აუცილებელი იყო სოლიდური საბანკო დაწესებულების ჩამოსაყალიბებლად.

ამას თან ერთვოდა უიმედო კრედიტების საკმაოდ მძიმე პრობლემაც. ზოგჯერ კი მავანთა მიერ განზრახ ხელის შემლაც. მაგრამ პრეზიდენტის მხარდაჭერამ ყველაფერი დაგვაძლევინა.

მე და ჩემს კოლეგებს არა მარტო თავის გამოჩენისა და პირადი კეთილდღეობის მიღწევის სურვილი გვამოძრავებდა, რაც მოგეხსენებათ, ყველა ნორმალური ადამიანისათვისაა დამახასიათებელი, არამედ უწინარესად იდეა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა და ეკონომიკური სიძლიერე საბანკო სისტემის, ავტორიტეტული და საიმედო, ევროპული კლასის რამდენიმე ბანკის არსებობის გარეშე, წარმოუდგენელია. ჩვენს ეროვნულ ინტერესებს სწორედ ბანკები და ეროვნული სიმდიდრე უნდა ედოს საფუძვლად. დიდი ილიას დამოკიდებულება ბანკისადმი ყველასათვის ცნობილია. საერთოდ, საქართველოში დღესაც კი ბანკი გაცილებით მეტია, ვიდრე ბანკი.

***— თქვენი იდეის რეალიზაციის ერთ-ერთი მაჩვენებელია ის, რომ „გაერთიანებული ქართული ბანკის“ პარტნიორი გახდა „ევრობანკი“.***

– ეს არსებითი მომენტია. მიდა ბაზარზე ორიენტირებული, მხოლოდ კონკრეტული სფეროთი, ან ერთი ქვეყნის არეალით შემოსაზღვრული ბანკები უპერსპექტივოა. ჩვენ ვეძებდით და ვეძებთ პარტნიორებს, ვმუშაობთ ბანკის იმიჯზე, რათა, საბოლოო ჯამში, საქართველოში გაჩნდეს იაფი ფული წარმოების ასაღორძინებლად. ჩემი და ბანკის სხვა ხელმძღვანელების შეხვედრები თბილისში თუ საზღვარგარეთ – იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, სხვა ქვეყნების წამყვანი ბანკების წარმომადგენლებთან, ორმხრივ სახარგებლო ურთიერთობის დამყარების გზების ძიებისაკენ არის მიმართული.

„ევრობანკთან“ „გაერთიანებული ქართული ბანკის“ საწესდებო კაპიტალის მეწილე და „მარტინ ბაუერთან“ ერთად ჩვენი აქციების დაახლოებით 40 პროცენტის მფლობელია, ნიშნავს რომ „გაერთიანებული ქართული ბანკი“ თავისი არსით საერთაშორისო ბანკია და მის უკან ცნობილი და ავტორიტეტული საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტები დგას. მაშასადამე, ქართულ საფინანსო ბაზარზე ახალი, მდიდარი შესაძლებლობების რეალიზაცია დაიწყება. ყოველივე კი, საბოლოო ჯამში, მოწმობს, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი ბანკის



საიმედოობის ხარისხი, ახლა უკვე შეიძლება მუშაობა „ფულის შექმნაზე“, რაც ბანკის უპირველესი დანიშნულება და მოწოდებაა საერთოდ.

***— ბატონო თამაზ, სულ ახლახან ხმა დაირხა, რომ თქვენ საგადასახადო სამსახურის უფროსად დანიშვნას გიპირებდნენ. რომაელებისა არ იყოს, ჭორი ყოველთვის როდია მცდარი.***

– ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციისა, თუ ყალბი პოზის შესაბამისად, ალბათ, უნდა გიპასუხოთ, რომ არაფერი მსგავსი არ ყოფილა. მაგრამ ლაუფარავად გეტყვით, რომ იყო ლაპარაკი სხვადასხვა დონეზე, იყო სხვა კანდიდატურებიც და, ვფიქრობ, მიღებულია სწორი გადაწყვეტილება, როგორც ყოველთვის, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით. ვფიქრობ, ასეთი გადაწყვეტილება, უწინარეს ყოვლისა, ჩემთვის არის სასიკეთო. ერთი მხრივ, ძნელია უარი თქვა, თუ ქვეყნის მეთაური და სხვა ხელმძღვანელები შემოგთავაზებენ საპასუხისმგებლო პოსტს, რადგან ქვეყანა განვითარების ურთულეს ეტაპზეა და თუ შენ რაღაც საქმეს შეგიძლია ხელი შეაშველო, უნდა გააკეთო კიდეც. მეორე მხრივ, ჩემს კოლეგებთან და მეგობრებთან ერთად კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი „გაერთიანებული ქართული ბანკის“ საერთაშორისო დონის ავტორიტეტულ და სოლიდურ დაწესებულებად ჩამოყალიბებისათვის. ჩემს ამჟამინდელ სამუშაო ადგილზე, ვფიქრობ, მაქვს პროფესიული ზრდის რეზერვიც. აღმასრულებელ ხელისუფლებაში თანამდებობის დაკავება, რა თქმა უნდა, ამ მიმართებით ჩემს საქმიანობას დაამუხრუჭებდა. ბევრი ჩანაფიქრი განსახორციელებელი მაქვს, აგრეთვე, როგორც გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარეს.

საგადასახადო ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა ღირსეული პიროვნება, პროფესიონალი და გამოცდილი კაცი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, წარმატებით გაართმევს თავს ამ რთული სფეროს ხელმძღვანელობას. მისი ინტელექტი, კომუნიკაბელურობა პრინციპულობა და ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილება, ვფიქრობ, ამის გარანტიაა.

***— პიროვნული თვისებები მართლაც ბევრს ნიშნავს თანამდებობაზე მოსარგებად...***

– რა თქმა უნდა. თორემ, როგორც ამბობენ – კადრები რომ იკადრებენ, ჩემს მტერს! თან გააჩნია თანამდებობის ხასიათს – პოლიტიკურია იგი, თუ წმიდა წყლის სამოხელეო, გადაწყვეტილების მიმღებია პიროვნება, თუ მხოლოდ საკოორდინაციო-ანალიტიკური ფუნქციებით შემოფარგლული. მისი კავშირები, თანამოაზრეები, დამოკიდებულება პოლიტიკურ ძალებთან, გნებავთ კლანებთან და ა.შ. საქართველოში ეს ყოველივე დაფარულია, რაც უამრავი საფრთხის შემცველია.

***— კადრებისა და ეკონომიკური რეფორმის ურთიერთობის შესახებ, — თუ შეიძლება.***

– უკეთესი კადრები, რა თქმა უნდა, უკეთეს ეკონომიკას ნიშნავს. ვფიქრობ, რომ მაღალი რანგის პროფესიონალებით განებივრებულები არა ვართ და ისინი, ვინც დღეს სხვადასხვა სტრუქტურებში არიან, ძირითადად ახახავენ პროფესიონალიზმის დღევანდელ დონეს. მთავარი მაინც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მოძებნაა. რეფორმების ედუარდ შევარდნაძისეული კურსი სწორი და შეუქცევადია, მაგრამ ყოვნდება ჩვენი საფინანსო ბაზრის გაჯერებისკენ, რეფორმირებული საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისკენ გაბედული ნაბიჯების გადადგმა. ლარის სტაბილურობამ და პოლიტიკურმა მდგრადობამ შექმნა საფუძველი ეკონომიკის აღორძინებისათვის, მაგრამ საამისოდ პირდაპირი, კერძო ინვესტიციებია აუცილებელი. „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ დონის ინსტიტუტის შემოსვლა კარგი ნიშანია სხვა მსხვილი ინვესტორებისათვის, სხვა საქმიანი ადამიანებისათვის, მაგრამ მათ სჭირდებათ სახელმწიფო გარანტიები. სახელმწიფო კი იმას, რაც ერთი წლის წინათ ერთ მილიონ დოლარად მოგვეიდა, ხუთასი ათასის გარანტიადაც არ იღებს. ეკონომიკური რეფორმის მიმდინარე ეტაპზე უნდა ვიფიქროთ მცირე და საშუალო ბიზნესის იაფი კრედიტებით უზრუნველყოფაზე, გრძელვადიანი კრედიტების გაჩენაზე, წარმოების ამოქმედებისკენ მიმართულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე. გვჭირდება ძლიერი და გამართულად ფუნქციონირებადი საბანკო სისტემა. მისი ჩამოყალიბება კი უცხოურ ბანკებთან თანამშრომლობის გარეშე ძნელია.

ამის გამოცაა ასეთი მნიშვნელოვანი სულ ახლახან მომხდარი ფაქტი. კერძოდ, „ევრობანკმა“ „გაერთიანებულ ქართულ ბანკთან“ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, სულ ახლახან შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა ჩამორიცხა. ეს, ბუნებრივია, გულისხმობს საკრედიტო ხაზის გახსნასაც.

ფრიად ნიშანდობლივია, რომ 9 თებერვლის ტერაქტმა კი არ შეაფერხა „ევრობანკის“ სურვილი გვერდით დაუდგეს საქართველოს, შემოვიდეს, როგორც სრულფასოვანი პარტნიორი, პირიქით, დააჩქარა ეს პროცესი, რაც ჩვენი კომპანიონების ერთგულებასა და კეთილშობილურ მისწრაფებებზე მეტყველებს. ჩვენს ეროვნულ საბანკო სისტემაში პირველად ხდება, რომ სოლიდური დასავლური საფინანსო ინსტიტუტი მეწილედ შემოდის ქართული ბანკის კაპიტალში. „ევრობანკმა“ უკვე დანიშნა საფინანსო საქმის მენეჯერი და საკრედიტო საქმის კონსულტანტი. ეს ნაბიჯებიც, ბუნებრივია, ევროპულ სტანდარტებთან ჩვენი ბანკის მიახლოებას უწყობს ხელს.

ეს პროცესი, ვფიქრობ, შეუქცევადი იქნება.

ესაუბრა
**ბონდო მძინარაშვილი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

## ნემსის ქურდი?

# მიჩვეულს ნუ გადააჩვევო?

ეს რომ ასეა, ამაში ალბათ, ეჭვი უკვე არავის ეპარება. სამწუხაროდ, ეს მავნე სენი ჩვენში იმდენად არის ფეხმოკიდებული, რომ ძნელი წარმოსადგენია, ამ მხრივ უმოკლეს ხანში მდგომარეობის გამოსწორება. ეს რომ ასეა, ამას თავად მუნიციპალური საწარმო „თელასის“ მიერ მოწყობილი რეიდებიც ადასტურებს, რომელთა მეოხებითაც ელექტროენერგიის სულ უფრო მეტი და მეტი დამტაცებელი ვლინდება. ისინი ისე გაიწაფნენ ამ საქმეში, რომ უკვე არაფერს აღარ ერიდებიან. ის კი არა, მისი დატაცებისათვის სულ ახალ-ახალ ხერხებსაც კი იგონებენ.

ამას წინათ „თელასის“ ენერგოინსპექციის მიერ ჩატარებულმა ერთ-ერთმა რეიდმა ხალხის ფანტაზია ამ მხრივ მთელი თავისი მრავალფეროვნებით გამოავლინა, მაგალითად, ინდივიდუალურ მეწარმეს, ჯ. წიწვაძეს ხევძმარის ქუჩაზე არსებულ თონეში ელექტრომრიცხველი ისე ჰქონდა მოწყობილი, რომ ქსელში გამავალი 44,6 კილოვატი სიმძლავრის ნაცვლად 26,6 კილოვატს აღრიცხავდა.

დღეს დედაქალაქში ძალიან ბევრი ე. წ. გაუფორმებელი ობიექტია, რომელთაც არ გააჩნიათ „თელასის“ ტექნიკური პირობა და, აქედან გამომდინარე, მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიაც, რასაკვირველია, არსად აღირიცხება. უამრავი ასეთი ფაქტი გამოვლინდა რეიდის დროს. მაგალითად, სამგორისა და არაყიშვილის ქუჩებზე მდებარე სასადილოები 12 და 4,5 კილოვატს, ფირმა „ქართამ-ჯორჯია“-ს მაღაზია (ჯავახიშვილის ქუჩა № 12) სიმძლავრით 5 კილოვატს მოიხმარდა. ასევე, აღურიცხავ ელექტროენერგიას მოიხმარდა: წერეთლის გამზირზე № 57-ში ინდივიდუალური მეწარმის გ. ბერიაშვილის მინის საჭრელი საამქრო და სააქციო საზოგადოება „მერანი“, ქსნის ქუჩაზე მდებარე გაუფორმებელი თონე კი ასევე გაუფორმებლად მოიხმარდა 37 კილოვატ ენერგიას. წერეთლის გამზირზე № 77-ში ინდივიდუალურ მეწარმეს ნანული ინასარიძეს ასევე გაუფორმებელი ობიექტი აღმოაჩნდა, რომელიც რადიო ქარხნიდან იკვებებოდა.

რეიდების დროს გამოვლინდა მრავალი ობიექტი, რომელიც ელექტროქსელში თვითნებურად იყვნენ მიერთებულნი. მაგალითად: შპს „ნიკა“, დ. აღმაშენებლის გამზირზე № 31-ში მდებარე № 14 ატელიე, აგრეთვე, შპს „ოკა“ (კიევის ქუჩა № 4), სააქციო საზოგადოება „ნინო“, (ნინოშვილის ქუჩა № 8), ვაჟა-ფშაველას გამზირზე კი № 58 საცხოვრებელი კორპუსი თვითნებურად გადაჭიმული ელექტროხაზების საშუალებით იღებდა ელექტროენერგიას, აღნიშნული ობიექტები „თელასმა“, რასაკვირველია, ელექტროქსელიდან ჩახსნა.

ჩატარებული რეიდების შედეგად გამოვლინდა მრავალი ისეთი სახის დარღვევა, როგორიცაა მრიცხველის გვერდის ავლით დამატებითი სიმძლავრის ელექტროენერგიის მოხმარება, ობიექტზე მრიცხველის არარსებობა და ა. შ. მაგალითად, გურამიშვილის გამზირზე, სარაჯიშვილის მეტროს წინ მდებარე საზკვების ობიექტს „6 და კომპანია“-ს მრიცხველის გვერდის ავლით ელექტროხაზზე მიერთებული ჰქონდა დახლმაცივარი, დ. აღმაშენებლის გამზირზე № 81-ში მოთავსებულ საოქრომჭედლო საამქროს ასევე მრიცხველის გვერდის ავლით ჰქონდა მიერთებული სამფაზა ძრავი 2 კილოვატი სიმძლავრით. ქალთა კოლონიაში – საააბონენტო ბუდე № 1604, მრიცხველი ცდომილებით მუშაობდა, წერეთლის გამზირზე 61 ნომერში მდებარე შპს „ეკა“-ს კი მრიცხველი საერთოდ არ ჰქონდა დამონტაჟებული და 4 კილოვატი სიმძლავრის ელექტროენერგიას მოიხმარდა. ერთ-ერთ ფაზაზე მავთული ჰქონდა ახსნილი მეტეხის ქუჩაზე №19-ში მდებარე პურის საცხობს, ასევე „ტარა-90“-ს, რომელიც სამგორის ჩიხის № 23-ში მდებარეობს.

როგორც ვხედავთ, ჩვენს შეგნებამდე ჯერ კიდევ ძნელად დადის ცნობილი გამონათქვამი, – აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო, ამიტომაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღეს ელექტროენერგიასაც ისევე უნდა ვიძენდეთ, როგორც სხვა სასიცოცხლო დანიშნულების საგნებს.

**სოფიკო ნიკოლაიშვილი,**
„თელასის“ პრესცენტრი.

***რედაქციისგან:** მისასალმებელია, რომ სათბობ-ენერგეტიკის, უშიშროების სამინისტროების და „საქენერგოს“ მიერ მოწყობილ ერთობლივ რეიდებს „თელასმაც“ აუბა მხარი. მან ყველაზე მეტად იცის, უნდა იცოდეს, ვინ პარავს დენს, ან სად რამდენი უნებართვო მეორე ხაზია გაყვანილი, რასაკვირველია, მათივე დაქვემდებარების რაიონული სამსახურების მუშაკთა ხელშეწყობით.*



სამხრეთ კორეის ახალი პრეზიდენტის კიმ ტე ჯუნის ინაუგურაციის წინ პოლიციამ ათასობით სავარძელი შეამოწმა სეულის ეროვნული ასამბლეის შენობაში, რათა დარწმუნებულიყო, რომ სკამებში ასაფეთქებელი მოწყობილობა არ იდო.

## PTP: რუსეთი თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობის წინააღმდეგია

დიდი ხარვეზები და შეცდომები ახასიათებს რუსეთის ურთიერთობას უახლოეს მეზობლებთან – თანამეგობრობის ქვეყნებთან. რუსეთი უიმედოდ აგვიანებს ყველგან, კარგავს ხელსაყრელ კონტრაქტებს, ბაზრებს, რის შედეგადაც სუსტდება რუსეთის პოლიტიკური გავლენა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. სანამ რუსეთი ზოზინობს, თანამეგობრობაში ძლიერდება ცენტრიდანული ტენდენციები, ძალას იკრებს ცენტრალური აზიის კავშირი, რომელიც უზბეკეთმა, ყაზახეთმა და ყირგიზეთმა შექმნეს. აზერბაიჯანმა, უზბეკეთმა და საქართველომ დადეს შესაბამისი შეთანხმება და დასაბამი მისცეს ტრანსკავკასიის სატრანსპორტო მაგისტრალის შექმნას. მათ მიემხრნენ უკრაინა და მოლდავეთი, რომლებიც ისწრაფვიან რუსეთისაგან დამოუკიდებლად მიიღონ ნავთობი, გაზი და ბამბა. რაღაც-რაღაცეები რუსეთს თვითონ რჩება მხედველობიდან, რაღაცაში კი სხვები უშლიან ხელს. თანამეგობრობის მიმართ წამყვანი დასავლური ქვეყნების რეალური პოლიტიკური გეზი მიზნად ისახავს რუსეთის საპირისპიროდ გეოპოლიტიკური გავლენის ალტერნატიული ცენტრების შექმნას, განაცხადა PTP ტელევიზიამ.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ბორის პასტუხოვმა თქვა: „მსოფლიოში არსებობენ ძალები, რომლებსაც აბსოლუტურად არ აძლევს ხელს ის ამბავი, რომ ალორძინდეს რუსეთის, როგორც იმ ცენტრის როლი, რომლის გარშემო შეიძლება სხვები გაერთიანდნენ. მაგრამ, როდესაც ჩვენ კვანტს გვითვლიან, ანდა ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ სამხრეთიდან ნავთობისა და გაზის ნაკადები წამოვიდეს რაღაც სხვა ხერხით და სხვა გზით, ოღონდ, ღმერთმა ნუ ქნას ჩრდილოეთის, რუსეთის გავლით, თან ამ მიზნის მისაღწევად თავს არ იზოგავენ, – ჩვენ ეს არასდროს მოგვითმენია და არც მოვითმენთ“.

## ბლეარი შინ-ფეინს არიგებს

როგორც როიტერის სააგენტო იუწყება, გაიმართა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრისა და მისი ირლანდიელი კოლეგის შეხვედრა. ტონი ბლეარმა და ბერტი ეიერნმა იმსჯელეს, როგორ წარმართონ მშვიდობიანი მოლაპარაკება ჩრდილოეთ ირლანდიის მომავლის შესახებ. ბრიტანეთის პრემიერი აპირებს, აგრეთვე, ცალკე შეხვდეს ჯერი ადამსს, ირლანდიის რესპუბლიკური არმიის ირა-ს პოლიტიკური ფრთის შინ-ფეინის პარტიის ლიდერს. ამჟამად შინ-ფეინი ჩამოშორებულია საერთო მოლაპარაკებას 9 მარტამდე დაზავების დარღვევისათვის. ცეცხლის შეწყვეტის ფორმალური ხელშეკრულების მიუხედავად, თებერვალში ირა-ს და პრობრიტანული პროტესტანტული მოძრაობების ბოევიკებმა რამდენიმე მკვლელობა და აფეთქება მოაწყვეს. დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის რესპუბლიკის მთავრობებს განზრახული აქვთ, მოლაპარაკების შედეგად შეიმუშაონ ორმხრივ მისაღები საფუძველი ჩრდილოეთ ირლანდიაში სიტუაციის მოსაწესრიგებლად. მოელიან, რომ კონკრეტულ გადაწყვეტილებას უკვე მაისში გაიტანენ საყოველთაო რეფერენდუმზე.

## ახალი რუსები უძველესი პროფესიის ხარჯზე მდიდრდებიან

ესპანეთის საკურორტო ქალაქის მარბელიის პოლიცია ამ ბოლო დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ქალაქში მცხოვრები რუსების მიმართ, წერს „მუნდო“. ამის მიზეზი გახდა თავდასხმა რუსეთის მოქალაქეზე რომან ფრუნსონზე, რომელიც, პოლიციის აზრით, დაკავშირებული იყო ორგანიზებულ დამნაშავეობასთან. მაგრამ, პოლიციამ დღემდე ვერ შეძლო, დაედგინა მარბელიეში ოფიციალურად რეგისტრირებული 58 ერთობ შეძლებული რუსი მოქალაქის კავშირი მაფიასთან. ამ ადამიანთა საქმიანობის გვარეობის შესახებ შეიძლება იმსჯელო მხოლოდ მდიდრული ვილებით. ზოგიერთი მათგანის, მაგალითად, ფრუნსონის სახლის ღირებულება სამ მილიონ დოლარს აღწევს. როგორც პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, ცნობილია, რომ რუსეთის მოქალაქენი ესპანეთის ტერიტორიაზე ეწევიან აქტიურ მუშაობას ძვირფასი პროსტიტუციის ქსელის შესაქმნელად. და დანაშაულობანი, რომლებიც ესპანეთის მოქალაქეთა მყუდროებას არღვევენ, წარმოადგენენ ან ძველი, ჯერ კიდევ რუსეთული ანგარიშების გასწორებას, ანდა კონკურენტული ბრძოლის შედეგს, დასძენს ესპანური გაზეთი „მუნდო“.



ფილიპინის ყოფილი პირველი ქალბატონის იმელდა მარკოსის მომხრენი მანილის საარჩევნო კომისიის შენობასთან გამოდიან მისი მხარდასაჭერი ლოზუნგებით და პლაკატებით. იმელდამ თავისი კანდიდატურა წამოაყენა პრეზიდენტის არჩევნებში, რომელიც მაისშია დანიშნული.




„АиФ“-ის კოლაჟი.

## კორეა მანამ იშიმშილებს, სანამ არ გაერთიანდება

ჩრდილოეთკორეელი ლტოლვილები ჟურნალისტებს აცნობენ იმ შიმშილობის მასშტაბს, რომელმაც ქვეყანა მოიცვა სამი წლის წყალდიდობებისა და გვალვის შემდეგ, იუწყება როიტერის სააგენტო. 172 ლტოლვილის გამოკითხვამ ცხადყო, რომ მათი ნათესავების, ნაცნობებისა და მეზობლების მესამედზე მეტი შარშან შიმშილით დაიხოცა. ამერიკელ კორეელთა ჰუმანიტარულმა მოძრაობამ ეს და სხვა მონაცემები წარადგინა აშშ სენატში გამართულ პრესკონფერენციაზე. ჩრდილოეთ კორეაში შიმშილობა დაიწყო სამი წლის წინათ, როდესაც ჯერ წყალდიდობამ, მერე კი გვალვამ, ხელი მოუთავეს სიმინდისა და ბრინჯის მთელ მოსავალს. გაეროს შეფასებით, ჩრდილოეთ კორეას სურსათის შესასყიდად 378 მილიონი დოლარი დასჭირდება.

## პოლიციის ვიზიტის შემდეგ ბინას რემონტი სჭირდება

ნიუ-იორკის პოლიციას, ალბათ, მოუწევს შექმნას სპეციალური ბინების სარემონტო სამსახური, მიაჩნია ბრიტანეთის გაზეთ „ტაიმსს“. გაზეთი მასხარად იგდებს ნარკოტიკებთან ბრძოლის რაზმს, რომელიც ამ ბოლო დროს წარამარა წბილდება. პოლიციელები, რომლებიც ხელმძღვანელობენ თავიანთი ინფორმატორთა არცთუ ზუსტი ინფორმაციით, შინ უცვივდებიან მშვიდობიან მოქალაქეებს და იქ ნამდვილ რბევა-დაწიოკებას აწყობენ. მარტო შარშან ასზე მეტმა ნიუ-იორკელმა მიმართა პოლიციას საჩივრით წესრიგის დამცველთა უკანონო მოქმედების გამო. წესრიგის დამყარება მძაფრსიუჟეტიანი ფილმის სცენებს წააგავს, მაგრამ მხოლოდ იქამდე, სანამ ეს პრობლემა პირადად თქვენ შეგეხებოდეთ, წერს გაზეთი. წარმოიდგინეთ, რომ ოჯახის წევრებთან ერთად ვახშმობის დროს ბინაში მოულოდნელად შემოგიცვივდებიან შეიარაღებული ადამიანები, ყველას იატაკზე დააწვენენ, გაუყრიან ხელბორკილებს და შემდეგ მთელ სახლს ააქოთებენ. როდესაც ნარკოტიკებს ვერ იპოვის, პოლიცია, საუკეთესო შემთხვევაში, ბოდიშს იხდის. ალბათ, ეს ეგრეთ წოდებული „წარმოების ხარჯებია“, წერს გაზეთი, მაგრამ პოლიციამ პასუხი უნდა აგოს თავისი არაპროფესიონალიზმისათვის.



ვილნიუსში ათასობით პენსიონერი გამოვიდა საპროტესტო დემონსტრაციაზე ტელეფონის ქირის მომატებასთან დაკავშირებით.

## აბატი ფარიას საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს

ალექსანდრე დიუმას კალმით ასაწერი ამბავი მოხდა კოლუმბიაში. როგორც გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ წერს, 18 ტუსაღი გაიქცა საპატიმროდან მათ მიერ გათხრილი გვირაბით. „პენიას ბლანკასის“ საპყრობილის ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ 160 მეტრი სიგრძის გვირაბის გათხრაში თანამედროვე მონტე-კრისტოებს ციხის ზედამხედველები ეხმარებოდნენ.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას“ მასალების მიხედვით.

გვერდის რედაქტორი
**არჩილ მანჯგალაძე.**

საქართველოს რესპუბლიკა
№50. კვირა, 1 მარტი. 1998 წელი.

## წინაპარი

# ვლადიმირ ჭუხრაი

# სტალინი

## სიმართლე და სიცრუე



სტალინმა თავისი ვაჟიშვილის „ოინებზე", როგორც წესი, არაფერი იცოდა. ჯუგა, რომელსაც ეშინოდა ავადმყოფი სტალინის განაწყენებისა, და რომელიც ვასილის მიმართ პირადი სიმპატიით იყო გამსჭვალული, დუმდა, სხვები კი დიდხანს ვერ ბედავდნენ სტალინისათვის მისი შვილის შესახებ რაიმეს თქმას. თავდაცვის მინისტრი ბულგანინი, მხედართმთავრები და ბერია სტალინს ვასილიზე მხოლოდ კარგს ეუბნებოდნენ. თუმცა, სტალინამდე ნაწილობრივ მაინც აღწევდა ვასილის გადაცდომების ამბავი და ამისთვის ის არაერთგზის დასაჯა. იმის შემდეგ კი, როცა ვასილი სტალინი იმდენად გაუფრთხილებლად მოიქცა, რომ ტუშინოში ავიაციის ზეიმის ერთ-ერთ დღეს სტალინსა და პოლიტბიუროს მთვრალი გამოეცხადა, ის დაუყოვნებლივ მოიხსნა მოსკოვის სამხედრო ოკრუგის სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდლის თანამდებობიდან და მონინის სამხედრო-საჰაერო აკადემიაში გაიგზავნა სასწავლებლად. მაგრამ სწავლა მან არ ისურვა, განაგრძობდა სისტემატურ ლოთობას და სულ უფრო და უფრო ტიალდებოდა.

მამის სიცოცხლის ბოლო წლებში ვასილი მისგან დაშორებული იყო და მისი არავითარი პატივისცემით არ სარგებლობდა.

ი. ბ. სტალინის სიკვდილის შემდეგ დაპატიმრებულმა ვასილი სტალინმა მისი საქმის ძიებისას ასეთი ჩვენება მისცა:

„ვიყენებდი რა ჩემს სამხედრო მდგომარეობას, უგულვებელვყოფდი რა საბჭოთა კანონებს და ვატყუებდი სამხედრო სამინისტროს ხელმძღვანელობას, მე გავანიავე დიდი სახელმწიფო თანხები ღონისძიებებზე, რომლებიც არ იყო გამოწვეული ჩემდამი რწმუნებულ სამხედრო ქვედანაყოფთა სამხედრო მომზადებისათვის რაიმეგვარი აუცილებლობებით... ჩემი ულირსი საქციელით, რაც გამოიხატებოდა სისტემატური ლოთობით, ჩემდამი სამსახურებრივად დაქვემდებარებულ ქალებთან სქესობრივი კავშირებით, სხვადასხვაგვარი სკანდალური შემთხვევებით, რომლებიც ფართოდ ხმაურდებოდა, მე, როგორც ოკრუგის სარდალი, ჩირქს ვცხებდი ჩემს თავს. (...) დაგაევი და სოკოლოვი (გენერალ ვასილი სტალინის ადიუტანტები – რედ.) ჩემთვის გერმანიაში ვალუტით იძენდნენ დიდძალ ძვირადღირებულ ნივთებს, ათეულობით კოსტუმისთვის მასალებს, რამდენიმე კომპლექტ ძვირფას სერვიზს და შინაური მოხმარების ბევრ საგანს, რომელთა ანგარიში ამერია".

1955 წლის 2 სექტემბერს ვასილი იოსების ძე სტალინს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

როცა ვასილი სტალინმა პატიმრობის 6 წელი და 8 თვე მოიხადა (ძირითადად ქალაქ ვლადიმირის ციხეში), მას 1960 წელს, გულის, კუჭისა და სისხლძარღვების მძიმე დაავადების გამო, სასამართლოს განაჩენით, პატიმრობის დარჩენილი დრო ეპატია, მაგრამ ის მალე ისევ დააპატიმრეს იმის გამო, რომ სცადა ჩინეთის საელჩოსათვის მიემართა თხოვნით ჩინეთში საცხოვრებლად გადასვლის ნებართვისათვის, სადაც ის აპირებდა მკურნალობასა და მუშაობას.

ვასილი სტალინი, ამჯერად მოსკოვში ცხოვრების უფლების გარეშე, ხუთი წლით გადაასახლეს ყაზანში, სადაც გარდაიცვალა 1962 წლის 19 მარტს.

ტრაგიკული აღმოჩნდა ხვედრი სტალინის უფროსი ვაჟიშვილის – იაკობ სტალინისაც, რომელიც დიდი სამამულო ომის დრო, ფრონტზე ყოფნისას, ტყვედ ჩავარდა და გერმანელ ფაშისტთა ჯურღმულებში დაიღუპა.

მისი დაღუპვის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ დადგინდა, რომ 1946 წლის 10 ივლისს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სექტორის თანამშრომლებმა ბერლინში დააპატიმრეს გერმანიის ჯარების ცენტრალური ჯგუფის მთავარი შტაბის განყოფილება „I-ც"-ს ყოფილი თანამშრომელი პაულ ჰენსგერი.

დაკითხვაზე ჰენსგერმა განაცხადა: 1941 წ. ქ. ბორისოვში ის, როგორც თარჯიმანი, მონაწილეობდა არტილერიის უფროს ლეიტენანტ იაკობ ჯუღაშვილის, სტალინის შვილის, დაკითხვაში. დაკითხვას წარმართავდა განყოფილება „I-10"-ს კაპიტანი, დოქტორი შულცე, გერმანიის იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს მე-5 განყოფილების მუშაკი. დაკითხვის შემდეგ იაკობ ჯუღაშვილი გადაიყვანეს ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში. მალე სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სექტორის თანამშრომელთა ხელში აღმოჩნდნენ ბანაკ „ზაქსენჰაუზენის" კომენდანტი სს-ის შტანდარტენფიურერი (პოლკოვნიკი) კაინდლი და ამ ბანაკის დამცველი ბატალიონის (დივიზია „მკვდარი თავის") მეთაური სს-ის ობერშტურმანფიურერი (პოლკოვნიკი) ვერნერი.

დაკითხვაზე კაინდლმა აჩვენა: „ზაქსენჰაუზენის" საკონცენტრაციო ბანაკში მდებარეობდა განსაკუთრებული ბანაკი „ა". მასში ისხდნენ წითელი არმიის, ინგლისისა და საბერძნეთის არმიების გენერლები და უფროსი ოფიცრები.

1943 წლის მარტში ბანაკ „ა"-ს №2 ბარაკში გადმოიყვანეს ორი უფროსი ლეიტენანტი – იაკობ ჯუღაშვილი და სტალინის მოადგილის – მოლოტოვის ნათესავი კოკორინი.

ბერლინში ყოფნისას იაკობ ჯუღაშვილმა გერმანიის ხელმძღვანელობასთან ყოველგვარ თანამშრომლობაზე კატეგორიული უარი განაცხადა, რის გამოც სიკვდილის ბანაკ ზაქსენჰაუზენში მოხვდა.

ის ყოველთვის განმარტოებული იყო, ბანაკის ადმინისტრაციას არაფერს სთხოვდა, გარდა გაზეთებისა, რომლებშიც ფრონტზე არსებული ვითარებით ინტერესდებოდა.

თავის გვარს არ ასახელებდა. თავი ყოველთვის დამოუკიდებლად ეჭირა და ერთგვარი ზიზღით ეკიდებოდა ბანაკის ადმინისტრაციას".

იაკობ ჯუღაშვილის სიკვდილის გარემოებაზე (ხაზგასმა ჩემია. – ვ. ჭ.) კაინდლმა აჩვენა: „ბანაკი „ა" შედგებოდა ერთმანეთისაგან ქვის კედლებით გამიჯნული სამი ბარაკისაგან და, ამას გარდა, კედლიდან ორი მეტრის მანძილზე აღმართული იყო სამი მავთულხლართიანი ღობე. ერთ მათგანში გაუშვეს მაღალი ძაბვის დენი. 1943 წლის მიწურულს №2 ბარაკის პატიმრები ბარაკთან ახლოს სეირნობაზე იყვნენ. გაყვანილი, საღამოს 7 საათზე ესესელმა იუნგლინგმა ბარაკში შესვლა ბრძანა, ყველა შევიდა. ჯუღაშვილი არ შევიდა და ბანაკის კომენდანტი მოითხოვა. იუნგლინგმა თავისი ბრძანება გაიმეორა. იაკობ ჯუღაშვილმა ამ ბრძანების შესრულებაზე უარი თქვა. მაშინ იუნგლინგმა უთხრა, რომ ჩემთან დასარეკად წავიდოდა.

ჩემთან ტელეფონით საუბრის დროს იუნგლინგმა მითხრა, რომ სროლის ხმა ესმოდა და ყურმილი დაკიდა. ამ დროს შემდეგი რამ ხდებოდა. ფიქრებს მიცემულმა იაკობ ჯუღაშვილმა მავთულხლართისაკენ მიმავალი ნეიტრალური ბილიკი გადაიარა, გუშაგმა ავტომატი შემართა და „სდექ" შეუძახა. ჯუღაშვილი სიარულს განაგრძობდა. გუშაგმა უყვირა: „გესვრი!".

ეს შეძახება რომ გაიგონა, იაკობ ჯუღაშვილმა გუშაგს ლანძღვა დაუწყო, ხელებით თავის გიმნასტურას ჩაეჭიდა, საყელო მოიგლიჯა, მკერდი გაიღეღა და გუშაგს უყვირა: „მესროლე". გუშაგმა თავში ესროლა და მოკლა იაკობ ჯუღაშვილი, რომელიც მავთულხლართის პირველ ორ რიგს დაეშხლართა.

მოკლული ჯუღაშვილი ასეთ მდგომარეობაში იწვა 24 საათს, ვიდრე არ მივიღე ჰიმლერის განკარგულება, რომ გვამი ჩამოგვეხსნა და გამოსაკვლევად ბანაკის კრემატორიუმში წაგვესვენებინა. შემდეგ კრემატორიუმში მოვიდა ორი ოფიცერი იმპერიის უშიშროებიდან, რომლებმაც შეადგინეს აქტი, რომლის მიხედვითაც ჯუღაშვილი მაღალი ძაბვის დენის დარტყმით მოკვდა, თავში ტყვია კი მას ამის შემდეგ მოხვდა, და რომ გუშაგი სწორად, ინსტრუქციის შესატყვისად მოქმედებდა.

პროფესორთა დასკვნის შემდეგ იაკობ ჯუღაშვილის გვამი დაწვეს კრემატორიუმში, ფერფლი კი ჩაიდო ურნაში, რომელიც იაკობ ჯუღაშვილის მკვლელობის გამოძიების მასალებთან ერთად იმპერიის უშიშროების მთავარ სამმართველოში გაიგზავნა".

დასასრულ კაინდლმა თქვა, რომ ტყვე იაკობ ჯუღაშვილის საქმე მასთან ინახებოდა სეიფში, მაგრამ გერმანიის ოკუპაციის წინ მან ადიუტანტს ამ საქმის დაწვა უბრძანა.

დაკითხულმა ვერნერმა კაინდლის ჩვენება იაკობ ჯუღაშვილის დაღუპვის ვითარების შესახებ დაადასტურა. ჰიტლერელები საბჭოთა ჯარების მიერ დატყვევებულ ჰიტლერელ ფელდმარშალ პაულიუსში იაკობ ჯუღაშვილის გაცვლის წინადადებას იძლეოდნენ.

სტალინმა ასეთი გაცვლის თაობაზე შემოთავაზებული წინადადების პასუხად წარმოთქვა საყოველთაოდ ცნობილი ფრაზა: „მე ჯარისკაცებს მარშლებში არ ვცვლი".

სტალინმა ძალიან განიცადა შვილის სიკვდილი. მას შვილის დაღუპვის შეტყობინების შემდეგ მალე თავის ტვინის სისხლძარღვთა სპაზმი მოუვიდა, შესაძლოა, ცოტაოდენი სისხლის ჩაქცევაც კი ჰქონდა.

სტალინს იაკობის გაცვლა არ შეეძლო. ის ყველა ტყვედ ჩავარდნილს სამშობლოს მოღალატედ მიიჩნევდა. ტყვეობაში გმირული მოქცევის მიუხედავად, მისი ასეთი აზრი ვერც იაკობ ჯუღაშვილმა აიცდინა.

უბედურება არც ი. ბ. სტალინის ქალიშვილს – სვეტლანას ასცდა, სვეტლანას, რომელიც მამას თავდავიწყებით უყვარდა.

სტალინი სულ უფრო და უფრო ხშირად ამჩნევდა ქალიშვილის ქცევის გაუგებარ უცნაურობებს. ის ხან გასაოცრად მორცხვი იყო, ხან უმიზეზოდ მჭმუნვარებდა, ხან კი დაუოკებელი გაშმაგებისა და მრისხანების შეტევები იპყრობდა. მას არც ერთ ადამიანთან ხანგრძლივი მეგობრობა არ ძალუძდა, სულ უბრალო რამის გამო ეკონფლიქტებოდა ახლობლებს.

როცა სტალინმა თავისი ქალიშვილის ქცევების გამო ეჭვები გაანდო ჯუგას, რომელიც მისი ბრძანებით ფარულად უთვალთვალებდა სვეტლანას და სხვებზე უკეთ იცნობდა მის დამახასიათებელ უცნაურობებს, მან სტალინს ურჩია ის სხვისი გვარით ეჩვენებინათ ფსიქიატრებისათვის. დიდხანს ყოყმანის შემდეგ სტალინი დათანხმდა. სვეტლანა დისპანსერიზაციის საბაბით ცალკე აჩვენეს ექვს ფსიქიატრს. ექვსივეს დიაგნოზი არასანუგეშო იყო: შიზოფრენიის მძიმე ფორმა. როცა ჯუგამ სტალინს ექიმების დასკვნა მოახსენა, მან გამწარებით თქვა: „ჩემი ცოლის, სვეტლანას დედის ავადმყოფი გენები ახლაც მომწვდნენ".

ეს ფაქტი ნათელს ფენს მამის სიკვდილის შემდეგ სვეტლანა სტალინას ბევრს საქციელს, სვეტლანა სტალინა, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ დედის გვარზე გადავიდა – ალილუევა გახდა.

აბა, ამქვეყნად რომელი ნამდვილი დედა, თუკი ის სრულ ჭკუაზეა, დასტოვებს სამუდამოდ მცირეწლოვან შვილებს იმისთვის, რომ ინდოეთში გაემგზავროს? აშშ-ში გადასული კი ის თავის სახელს, როგორც ავტორი, მოაწერს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ გამოცემულ ანტისაბჭოთა, ანტისტალინურ წიგნებს – „ოცი წერილი მეგობარს" (1967 წ.) „სულ ერთი წელიწადი" (1970 წ.) და „შორეული ხმები" (1984 წ.), რომლებშიც ლაფში ამოსვრის თავის დიდ მამას.

ამავე დროს ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ხრუშჩოველებმა სვეტლანა სტალინა, ავადმყოფი ადამიანი, განზრახ გააგდეს ქვეყნიდან, იმისათვის გაუშვეს ინდოეთში, რომ ის იქიდან აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს გაეყვანა და შემდეგ კომუნიზის კომპრომეტაციისთვის გამოეყენებინათ იმით, რომ მისთვის ხელი მოეწერინებინათ საძაგელი ნაყალბევებისთვის – ვითომ „მოგონებებისთვის". მისი „მოგონებების" გამოქვეყნება შემთხვევით როდი დაემთხვა სსრკ-ის ხელმძღვანელობის სათავეში საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტრის – ამერიკის უბადრუკი მარიონეტის მიხაილ გორბაჩოვის მოსვლას.

– ამრიგად, სვეტლანა იოსების ასული სტალინა-ალილუევა არანაირი სამშობლოს მოღალატე და არანაირი დისიდენტი არაა, ის საერთაშორისო არამზადებისა და პროვოკატორების ხელში ჩავარდნილი მძიმე ავადმყოფი და ძალზე უბედური ქალია.

* * *

1949 წლის შუა ივლისში გენერალმა ლავროვმა სტალინს მოახსენა ლონდონიდან მიღებულ ცნობაზე: ლენინგრადის პარტიის ქალაქკომის მეორე მდივანი იაკობ თედორეს ძე კაპუსტინი, რომელიც ინგლისში სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდა, თითქოს ინგლისის დაზვერვას გადაებირებინოს.

სტალინმა ჰკითხა:

– ცნობის წყარო სანდოა?

– აქამდე ყოველთვის სანდო იყო, ამხანაგო სტალინ, – მიუგო ლავროვმა.

სტალინმა აიღო ტელეფონის ყურმილი, რომლითაც პირდაპირ დაუკავშირდა აბაკუმოვს. მისი ხმა რომ გაიგონა, თავისი ჩვეულებისამებრ, მიუსალმებლად ჰკითხა:

– რა გაქვთ თქვენ ლენინგრადელებზე? კერძოდ ქალაქკომის მდივან კაპუსტინზე?

სტალინმა აბაკუმოვის პასუხი რომ მოისმინა, უბრძანა:

– დაინტერესდით კაპუსტინით და მისი გარემოცვით.

აბაკუმოვთან საუბრის შემდეგ სტალინი ჩუმად იჯდა. არც ლავროვი იღებდა ხმას, კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ სტალინმა განაგრძო საუბარი ლავროვთან:

– აბაკუმოვმა მომახსენა, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მე-2 მთავარი სამმართველოს ხაზით მასაც აქვს რაღაც, ჯერ შეუმოწმებელი სიგნალები და ამიტომ არ მოუხსენებია ეს ჩემთვის. კაპუსტინი კი, თურმე, ცეკას მდივან კუზნეცოვისა და ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნისა და პარტიის ქალაქკომის მდივნის პოპკოვის ახალი მეგობარია. საინტერესოა, – შეფიქრიანებულად თქვა სტალინმა, – რაში დასჭირდათ კაპუსტინი ინგლისელებს? საეჭვოა, რომ ის მათ ჩვეულებრივ ჯაშუშად სჭირდებოდეთ. აქ რაღაც სულ სხვა რამ იმალება. დღეს საღამოს რვა საათისათვის ვოლინსკოეში მოდი სავახშმოდ ჯუგასთან ერთად. იმან გამოიყოლიოს ყველაფერი, რაც კი ხელთა აქვს ლენინგრადელ ხელმძღვანელებზე და განსაკუთრებით კუზნეცოვსა და ვოზნესენსკიზე. ვიფიქრებთ.

საღამოს ზუსტად რვა საათზე ლავროვი და ჯუგა ვოლინსკოეში სტალინის ახლო აგარაკზე იყვნენ. სტალინი მათ შესასვლელთან შეხვდა და შეუძღვა შესასვლელის მოპირდაპირე დარბაზში, სადაც თეთრსუფრაგადაფარებული გრძელი მაგიდა იდგა. ამავდროულად ამ დარბაზში, რომელიც სტალინის საძილე ოთახის გვერდით იყო, პოლიტბიუროს სხდომებიც ტარდებოდა და სადილსაც მიირთმევდნენ. აქ უკვე ყველაფერი დამზადებული იყო სერობისთვის. ვახშმის დროს ყველა თავის თავს თვითონვე ემსახურებოდა: თეფშზე ის გადაჰქონდა, რასაც ირჩევდა. ლავროვთან და ჯუგასთან სტალინის საუბრის დროს იქ არასოდეს გარეშე ვინმე არ ყოფილა, არც სტალინის პირადი დაცვა, არც აგარაკის უფროსი დიასახლისი ვალენტინა ივანოვნა ისტომინა. ასეთი ვახშმობის დროს ამ დარბაზში არ შემოდიოდნენ. სტალინის მიერ ასე იყო დაწესებული. ლავროვი და ჯუგა შეუმჩნევლად მოვიდნენ მანქანით, რომლის მინებსაც ყრუდ ჰქონდა ჩამოფარებული შტორები და ასევე შეუმჩნევლად მიდიოდნენ აქედან. თუმცა ეს ძალზე იშვიათად ხდებოდა: სტალინი, კონსპირაციის მიზნით, მათთან ყოველ კვირას სხვა ადგილას, მეტწილად თავის კრემლის კაბინეტში შეხვედრას არჩევდა.

როგორც ყოველთვის, ამ ვახშმობის დროსაც აუჩქარებელი მუსაიფი გაიმართა.

– დადასტურდა ცნობები, რომ მოლოტოვმა იცოდა საავიაციო მრეწველობაში დიდი ნაკლოვანებების არსებობა და ფარავდა მათ? – ჰკითხა ჯუგას სტალინმა.

– ფრონტებზე ძველი ავიაციის წარმატების ფონზე მან ეს უმნიშვნელო რამედ ჩათვალა. – მიუგო ჯუგამ.

– მაშასადამე, მან ეს მაინც იცოდა, – დაფიქრიანებით ჩაილაპარაკა სტალინმა, – გასაკვირია, რატომ არ მითხრა ეს ვიაჩესლავმა?..

ჯუგამ ჩანგალი ხელსახოციან თეფშზე დადო.

– ვფიქრობ, რაკი იცოდა, თუ როგორ გიყვართ საავიაციო მრეწველობა, თქვენი გუნების წახდენა არ უნდოდა.

სტალინმა გაიცინა.

– ხედავთ, ეს რა ფილანტროპი გამომჩენია!

ჯუგა შეეკამათა:

– მოლოტოვი, ალბათ, პოლიტბიუროში ბოლომდე თქვენი ერთგული კაცია. სტალინმა უკმაყოფილოდ თქვა:

– ერთგულიაო, მაგრამ შახურინსა და ნოვიკოვზე არ მომახსენა... მისი ცოლის საქმე როგორაა?

ჯუგამ, რომელიც დანაყრების განგრძობას აპირებდა, ისევ დადო ჩანგალი თეფშზე:

– აბაკუმოვი ისევ მოითხოვს მისგან მტრულ ქმედებებზე ჩვენებებს, მაგრამ პოლინა ჟემჩუჟინა ამგვარ ჩვენებებს არ იძლევა.

– მაშასადამე, არ აღიარებს, არა, – ჰკითხა სტალინმა. – შენ თვითონ რას ფიქრობ ამ მანდილოსანზე?

ჯუგამ დაუფიქრებლად მიუგო:

– ვფიქრობ, ის ძალიან მოხარული იქნებოდა, მისი ქმარი პარტიასა და სახელმწიფოში პირველი პირი თუ გახდებოდა. მე კი რომელიმე ანტისამთავრობო შეთქმულებაში მის მონაწილეობაზე ჯერჯერობით არავითარი მონაცემები არ მაქვს ხელთ.

თარგმნა
**ჯუმბერ თითმერიამ.**

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 308, 309, 313-315, 318-320 (1997 წ.), № 1-19, 23, 24, 26, 30, 33, 34, 38-40, 42, 43, 44, 49.

## გამოიცა

**დღეს გთავაზობთ ორი ავტორის ორ რეცენზიას ჯანრი კაშიას მონოგრაფიაზე „თავისუფლება და ფედერალიზმი". თავისთავად ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე ნაშრომს ორი, განსხვავებული პოზიციის ავტორი ეხმაურება, მოწმობს ნაშრომის მნიშვნელობასა და ღირებულებას, ხოლო თვით ნაშრომი კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ მამულს დაშორებული, თავისი ქვეყნის გულშემატკივარი კაცი ყველგან მამულიშვილად რჩება.**

# თავისუფლებაზე თავისუფლად დაწერილი წიგნი

*ქართველმა მკითხველმა მიიღო საინტერესო პრობლემური ხასიათის ნაშრომი „თავისუფლება და ფედერალიზმი". მისი ავტორი ჯანრი კაშია ტოტალიტარიზმის პირობებში გაიქცა საქართველოდან და თავისუფლების ერთ-ერთ კერას, საფრანგეთს შეაფარა თავი. ეს გაქცევა გამოწვეული იყო არა ტკბილი ცხოვრების მოტივით, არამედ თავისუფალი საარსებო სივრცის პოვნის სურვილით, თანაც იმ იმედით, რომ ის შეძლებდა ჩვენი დიდი წინაპრების დაწყებული საქმის გაგრძელებას. ამის დასტურია მის მიერ „ქართულ-ევროპული ინსტიტუტის" დაარსება და „ივერიის" გამოცემის გაგრძელება.*

ილიას გაზეთი „ივერია" გამოდიოდა 1877-1900 წლებში. 1949 წელს პარიზში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა და 1954 წლიდან ამ პარტიის თავმჯდომარემ ელისე პატარიძემ დააარსა ჟურნალი „ივერია" და 1975 წლამდე ედგა სათავეში. 1975 წლიდან „ივერიას" ხელმძღვანელობდა მიხეილ ქავთარაძე. 1991 წლიდან „ივერია" გადაეცა ჯანრი კაშიას მიერ შექმნილ „ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ-ევროპულ ინსტიტუტს" და დღემდე ამ ჟურნალს ხელმძღვანელობს ჯანრი კაშია.

სარეცენზიო წიგნის იდეები წლების განმავლობაში ყალიბდებოდა ამ ჟურნალის ფურცლებზე და ცალკე წიგნებადაც. ეს არის ერთგვარი შეჯამება ისტორიკოსის საზროვნო კრედოსი, ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას რომ აწუხებდა ავტორს. მისი მიზანი იყო მრავალჟანრიოვანი მეცნიერული აზროვნების ფორმაში ეკვლია ისტორიის, ისტორიის ფილოსოფიის, კულტუროლოგიის, პოლიტოლოგიის, ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის მრავალწახნაგოვანი პრობლემები. სარეცენზიო წიგნის პრობლემათა ნუსხა არ ეტევა ერთი რომელიმე დარგის სფეროში. ის თავისებური სოციალური ენციკლოპედიაა, რომელიც აგრძელებს შპენგლერის, გასეტის, ტოინბის, მიხაკო წერეთლისა და სხვა ცნობილ ავტორთა ნაშრომების პრობლემებს. ნაშრომის ღირსება ის არის, რომ იგი ტრიალებს მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემატიკის გარემოში და ყველა მათ საქართველოს ისტორიაზე გარდატეხილად წარმოგვიდგენს. ქართველ მოაზროვნეებს – ილიას, ვაჟას, მიხაკო წერეთელს ფართოდ უღებს კარებს გლობალური პრობლემატიკის გამააზრებელთა სავანეში. ამავე დროს ეხება ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა ერის, სახელმწიფოს, თავისუფლების, პიროვნების, ტოტალიტარიზმისა და დემოკრატიის დაპირისპირების, რელიგიისა და ადამიანის ყოფიერების მიმართების და სხვა მეტად საინტერესო და რთული პრობლემები.

შრომა ერთნაირად არის საინტერესოც და სადავოც. სხვაგვარად არ შეიძლება. თუ სადავო არ იქნება, დოგმატური უნდა იყოს და ინტერესს ვერ გამოიწვევს. ავტორის კრიტიკული აზროვნება ავლენს დოგმატიკისაგან განთავისუფლების სურვილს. მაგრამ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რელიგიისადმი დამოკიდებულებაში მას არა აქვს ასეთი სურვილი და აპოლოგეტად გვევლინება. სხვა სფეროებისადმი კრიტიკული და ობიექტური პოზიციის მქონე სარწმუნოებისადმი მიმართებაში ერთხაც და მეორესაც ივიწყებს და ზოგჯერ ისეთ რამეს მიაწერს რელიგიას, რომ ამას სარწმუნოებაზე ილიას გამონათქვამიც ვერ გაამართლებს. ყოველ შემთხვევაში, რელიგიისადმი ავტორმა ვერ შეიმუშავა ის დისტანციური ხედვა, რომელიც აქვს ერის, ენის, ეთნოსისა და სახელმწიფოს პრობლემებისადმი. კიდევ მეტი, ის ცდილობს, მის მიერ ქრისტიანობისადმი აღმატებითი დამოკიდებულება სხვა მსოფლიო რელიგიების მიმართ კნინობითი დამოკიდებულებით კიდევ უფრო აღამაღლოს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორი ხშირად მიმართავს მე-20 საუკუნის მოაზროვნეებს – გასეტს, შპენგლერს, ჰაიდეგერს, ტოინბის, მაგრამ რატომღაც თანამედროვე მოაზროვნეთა მთელ პლეადას, რომლებმაც განსაზღვრეს მე-20 საუკუნის კულტურისა თუ ცივილიზაციის სახე, მიიჩნევს მე-19 საუკუნის მოაზროვნეებად. ავტორი მსჯელობს ყოფიერების კრიზისზე, რომელიც მე-19 საუკუნეში გადააქვს და მიიჩნევს: „პროცესი, რომელიც მე-19 საუკუნის სინამდვილის გასაგებად ახალი ენის გამომუშავებას ისახავდა მიზნად, მხოლოდ მე-20 საუკუნეში გასრულდა. პრუსტის, კაფკას, ჯოისის, ვაჟა-ფშაველას, ორტეგა-გასეტის, ჰაიდეგერის, ფროიდის, იუნგის, კასირერის, ვიტგენშტეინის და სხვათა შემოქმედება და ხედვის სტრუქტურა ენობრივი გამოთქმადობის თვალსაზრისით უფრო მე-19 საუკუნის დასასრულია, ვიდრე საკუთრივ მე-20 საუკუნე. ყველა ისინი, ზემოთჩამოთვლილნი და სხვანიც, ვისაც მე-20 საუკუნის გამომხატველებად მივიჩნევთ, არსებითად „რომანტიკოსებად" შეიძლება ჩაითვალონ იმ გაგებით, რა გაგებითაც არის „რომანტიული" მთლიანად მე-19 საუკუნის ენობრივი ქსოვილი და სინამდვილის ხედვა, როგორც ბუნებისმეტყველურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებაში, ასევე ლიტერატურაში, ხელოვნებაში და თვით ყოველდღიურობაში. ფაქტობრივად, ყველა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ტერმინი, რომლითაც ხდება მე-20 საუკუნის ვითარების აღწერა და გაგება, ეკუთვნის მე-19 საუკუნეს (თუ უადრესს არა). ამიტომ, მთელი მე-20 საუკუნის დასაწყისს, და ეს ახლა განსაკუთრებით საგრძნობია, **რომანტიკული გულუბრყვილობის** ელფერი გადაკრავს". (ჯანრი კაშია, „თავისუფლება და ფედერალიზმი", თბილისი, 1997, გვ. 42-43).

ყოველ დიდ ეპოქას, იქნება ეს საუკუნისა თუ უფრო ნაკლები დროის მომცველი, თავისი მსოფლმხედველობა აქვს. და თუ ეპოქამ საკუთარი მსოფლმხედველობა ვერ შეიმუშავა და ნასესხებით ცხოვრობს, როგორც შვაიცერი, შპენგლერი და სხვები იტყოდნენ, ის ვერ იქნება არათუ სრულქმნილი, არამედ ღირებულიც. ფილოსოფია და მსოფლმხედველობა მთლიანად, ფიხტეს, ჰეგელის, იასპერსის აღიარებით, ეპოქის აზრობრივი გამოხატულებაა. მე-20 საუკუნის ფილოსოფიას ჩამოართვა საკუთარი ეპოქის გამოხატვის უნარი და დაუტოვე წინა საუკუნის გამააზრებლის როლი, არამარტო ჭეშმარიტებისგან დამორებაა, არამედ დიდი უსამართლობაც. ჩემთვის წარმოუდგენელია, ვინ უნდა იყოს ჩვენი საუკუნის აზრების უკეთ გამომხატველი, ვიდრე წიგნში ჩამოთვლილი ავტორები არიან. არადა, „მასების ამბოხი", რომელსაც ავტორი ხშირად იმოწმებს, სწორედ მე-20 საუკუნეს ეხება და არა მე-19-ს. მართალია, შპენგლერი კრიზისული ეპოქის დადგომას, ე. ი. კულტურის ცივილიზაციაში გადასვლას, პირველი სოციალისტური სისტემების წარმოშობას უკავშირებს და მე-18 საუკუნეზე გადააქვს, მაგრამ მასობრივი კულტურა, მასობრივი ყოფიერება, ადამიანის გაუცხოების უკიდურესი ფორმები; ტექნიკისა და მეცნიერების ბატონობა, ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემები, ყველაფერი ეს მე-20 საუკუნის ხდომილებანია, ისე როგორც „თავისუფლებიდან გაქცევა", „ადამიანის დესტრუქტივირების ანატომია", „დეპერსონალიზაცია", საერთოდ, ეგზისტენციალური კრიზისი მე-20 საუკუნის კუთვნილებაა, არა მარტო დროული, არამედ ყოფიერების გამოხატვის და განაზრების თვალსაზრისითაც. ავტორი მართებულად მიიჩნევს ბოლშევიზმის დამფუძნებლებს – ლენინს და სტალინს მარქსის დასრულებად და არა მის განვითარებად, მაგრამ ისიც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ გაძლომის ტრფიალი მარქსი თუ მათ მიერ აგებულ დაპირებულ სამოთხეში გამოეცხადებოდა, დაუყოვნებლივ მოიცილებდნენ მას თავისი სანტიმენტალური ჰუმანიზმით და, აქვე, იმის ანალოგიური ვითარება შეიქმნებოდა, როგორიც დოსტოევსკისთანაა დიდი ინკვიზიტორისა და ქრისტეს შეხვედრისას, როცა ქრისტე ზედმეტი აღმოჩნდა „მისი საქმეების განმხორციელებელთა" საზოგადოებაში. დიდი ინკვიზიტორის ქრისტესადმი მიმართული სიტყვები შეიცავს მტკიცებას, რომ მხოლოდ ინკვიზიციის დროს გახდა შესაძლებელი ადამიანთა ბედნიერებაზე ზრუნვა. ადამიანი ამბოხი არსებაა. „განა ამბოხებულნი შეიძლება იყვნენ ბედნიერნი? შენ მოგვეცი უფლება და ხომ არ ფიქრობ, რომ წაგვართვა ეს უფლება? რატომ მოხვედი ხელის შემშლელად?". ავტორის მოსაზრება, რომ ლენინი მარქსის განვითარება კი არ იყო, არამედ მისი გასრულება, ანალოგიურია შპენგლერის მტკიცებისა, რომელმაც ევროპის მზის ჩასვენება ევროპის კულტურის ლაღუპვის მაუწყებლად კი არა, არამედ დასრულებად გამოაცხადა (შპენგლერი, „პესიმიზმი").

რას ნიშნავს ეს დასრულება შპენგლერისთვის, შპენგლერმა განმარტა. მაგრამ რას ნიშნავს ჯანრი კაშიასთან დასრულება, ეს არ არის განმარტებული.

სარეცენზიო წიგნის ავტორის გააზრების ძირითადი ფენომენებია ერი, კაცობრიობა, თავისუფლება, კულტურა, ცივილიზაცია, ფედერალიზმი და სხვ. ავტორს გაცნობიერებული და გათავისებული აქვს თავისუფლების პრობლემის ცენტრალურობა ფილოსოფიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის თუ სხვა სახის თეორიათათვის. დეკარტეს კოგიტოს' პრინციპის მრავალი გადააზრება არსებობს: ბერდიაევის „ვიტანჯები, მაშასადამე, ვარსებობ", იტალიური წარმოშობის რუსი ხელოვნებათმცოდნის ალექსანდრე ბენუას „ვწერ, მაშასადამე ვარსებობ". ჯანრი კაშია გვთავაზობს კიდევ ერთ ინტერპრეტაციას: „თავისუფალი ვარ, ე. ი. ვარსებობ". ის მრავალ მოაზროვნეს იმოწმებს, მაგრამ მიაჩნია, რომ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს თავისუფლების გაგებას, რადგან თავისუფლება „ადამიანის ონტოლოგიალი, ანუ ადამიანის არსების გამომთქმელი არსებობის ფორმაა. მისი წვდომა ნიშნავს, ადამიანმა **საკუთრივ** უნდა გაიგოს და არ ექვემდებარება **სხვის** მიერ გამოხატვას და გამოთქმას. „თავისუფლება **სხვის** მიერ პრინციპულად გამოუთქმადი არსებობაა. იგი ყოველთვის მხოლოდ პიროვნულია, მხოლოდ ჩემი და ჩემს მიერ გამოსათქმელი განამდვილებადი" (იქვე, გვ. 263).

ყველაფერი ეს სავსებით მართებულია როგორც მნიშვნელობის, ისე განამდვილების, თუ გამოთქმის აზრით. აქ ავტორი იასპერსის ანალოგიურად მსჯელობს, მაგრამ ამავე დროს ძნელად გასაგებია პავლე მოციქულის დამოწმება: „თავისუფლებისთვის გაგვანთავისუფლათ ღმერთმა". ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს თავისუფლება არც გაუნამდვილებია და არც გამოუთქვამს, არამედ ღმერთის წარმომადგენელმა გამოთქვა და ღმერთმა უბოძა. სად დაიკარგა ის ხაზგასმული ჩემობა, რომლის მიხედვითაც ჩემი თავისუფლება მე უნდა გამენამდვილებინა და გამომეთქვა? მე ღმერთი ხომ არა ვარ და არც მისი მოციქული, თუ მათგან მოდის ჩემი თავისუფლების განამდვილებაც და გამოთქმაც, სად ვარ მე ჩემი საკუთრივეობით, ან როგორია თავისუფლება, რომელიც ნაბოძებია და სხვის მიერ გაგებული? მე ვერ გავხდები ღმერთი, ღმერთს თვითონ თავისუფლება არ სჭირდება, ის ყოვლისშემძლეა და შეუძლია მაჩუქოს თავისუფლება, მაგრამ რამდენად იქნება ეს ჩემი თავისუფლება, ჩემი განამდვილებული ყოფიერება? იქნება სჯობდა იასპერსის მსგავსად გვეთქვა, რომ თავისუფლება არ გამოითქმის, შემეცნებისთვის მიუწვდომელია, ის დამიფრულია და მიფრის გასაღები არ გვაქვს. იქნებ დაგვესკვნა, რომ თუ ეს ასეა, ის ჩემი თავისუფლება არ არის, იქნებ მართალნი არიან ისინი, ვინც თავისუფლებიდან გაქცევას განიხილავს, როგორც თანამედროვე ადამიანის ეგზისტენცს. ავტორი იმოწმებს კანტის დებულებას: „ადამიანი, რომელიც დამოკიდებულია, აღარ არის ადამიანი". მაგრამ თვითონ ადამიანს ხდის ღმერთზე დამოკიდებულად. ამიტომ ამბობდა მეამბოხე მწერალი: „ღმერთი მოკვდა, მაშასადამე, მე ვარ ღმერთი". ადამიანი მეამბოხე არსებაა. მისი ამბოხი დაკავშირებულია იმ ბოძებულ თავისუფლებასთან, რომლითაც ღმერთმა ადამიანს მისცა მისდამი თავისუფალი რწმენის საშუალება. ადამიანისთვის მძიმე და აუტანელი ტვირთია ნაბოძები თავისუფლება და გაურბის მას. ასეთი თავისუფლებას პური ურჩევნია. როგორც დიდი ინკვიზიტორი იტყვის: „ადამიანები მხოლოდ მაშინ გახდებიან თავისუფალნი, როდესაც უარს იტყვიან საკუთარ თავისუფლებაზე ჩვენს სასარგებლოდ და დაგვემორჩილებიან". ამით ისინი საკუთარ თავს იხსნიან საკუთარი თავისაგან. ადამიანს სჭირდება სასწაული და ავტორიტეტი. დიდი ინკვიზიტორის სიტყვით: „ადამიანისთვის არაფერი არაა უფრო მაცდუნებელი და ამავე დროს მტანჯველიც, ვიდრე სინდისის თავისუფლება. ადამიანისთვის არ არსებობს უფრო მტანჯველი საზრუნავი, ვიდრე იმის პოვნა, ვისაც, რაც შეიძლება ჩქარა გადასცემდა თავისუფლების უნარს, რომლითაც ეს უბედური არსება იბადება". მაცდური სულის პირველივე კითხვაში ლაპარაკია იმაზე, რა უფრო სჭირდება ადამიანს: თავისუფლება თუ პური. ამბოხებული ადამიანი ღმერთს უკან უბრუნებს სამოთხეში შესასვლელ ბილეთს. ჰარმონიას ტანჯვა ურჩევნია, – ძალიან ძვირად ფასობს დაპირებული ჰარმონია. საკითხის დაყენება კირილოვის მიერ ასეთია:

თუ ღმერთი არსებობს, მაშინ მთელი ნებელობა მისია, თუ არ არსებობს, მთელი ნებელობა ჩემია და ვალდებული ვარ, გამოვაცხადო თვითნებობა. კირილოვი გრძნობს, რომ თუ ღმერთი არის, მაშინ ადამიანი ვერ იქნება თავისუფალი, თუ ღმერთი არ არის, ადამიანია ღმერთი და მას შეუძლია თვითონ მიანიჭოს თავის თავს თავისუფლება, რომელიც შეუძლია თვითმკვლელობისთვის გამოიყენოს. კირილოვმა იცის, რომ ადამიანისათვის ღმერთის მიერ ბოძებული თავისუფლება ადამიანური თავისუფლება არ არის. წიგნის ავტორი გვერდს უვლის ამ სიძნელეებს და აცხადებს: ღმერთმა ადამიანი თავისუფლებისთვის თავისუფალი შექმნა. იქნებ ადამიანი სულაც არ არის შექმნილი თავისუფლებისთვის, ამას ისიც ადასტურებს, რომ ადამიანს სჭირდება მასზე მაღლა მდგომი ინსტანციის გამოგონება.

„ადამიანი მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ ღმერთს იგონებდა, რათა სიცოცხლე გაეგრძელებინა, და თვითმკვლელობით არ დაემთავრებინა, ამაშია მთელი მსოფლიო ისტორია აქამდე", – აცხადებს კირილოვი. კანტის მტკიცება, რომ ადამიანში რელიგიური გრძნობა მუდმივია, სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანს სჭირდება ღმერთი, ღმერთს კი, როგორც სრულყოფილ არსებას, არ სჭირდება არც ადამიანი და არც არაფერი საერთოდ. როგორც დოსტოევსკი იტყვის: „ადამიანის ყოფიერების მთელი კანონი იმაშია, რომ შეეძლოს მუხლის მოდრეკა უზომოდ დიდის წინაშე, ადამიანებს რომ წაავართვათ უზომოდ დიადი, სიცოცხლეზე უარს იტყვიან და გულგატეხილობაში ამოხდებათ სული. უზომო და უსასრულო ისევე აუცილებელია ადამიანისათვის, როგორც ის მცირე პლანეტა, რომელზედაც ცოცხლობს". ამდენად, ადამიანის თავისუფლების პრობლემა ისე ადვილად გადასაწყვეტი არ არის, როგორც ავტორი წარმოგვიდგენს. უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ საერთოდ გადაუწყვეტადია. ის ეკუთვნის იმ „წყეულ კითხვათა" რიგს, რომელნიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ადამიანის თავზე. ადამიანს შეუძლია ამ წყეულ კითხვათა დასმა, მაგრამ არ ძალუძს მათზე პასუხის გაცემა. ადამიანის ტრაგედია შეიძლება სწორედ ამაში მდგომარეობს, რაც კანტმა გააცნობიერა. მისი ძირითადი შრომის „წმინდა გონების კრიტიკის" პირველი გამოცემის წინასიტყვაობა იწყება სიტყვებით:

იხ. მე-8 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№50, ᲙᲕᲘᲠᲐ, 1 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1998 ᲬᲔᲚᲘ

## ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ

„ადამიანის გონებას განსაკუთრებული ბედი დაჰყოლია მისი ცოდნის ერთგვარობაში, მას აწუხებს ისეთი საკითხები, რომელთა მოცილება არ ძალუძს, რადგან ისინი მისთვის თვით გონების ბუნებას მოუხვევია თავს, მაგრამ არც პასუხის გაცემა შეუძლია, ვინაიდან ისინი აღემატებიან ადამიანის გონების ყველა უნარს“ (ი. კანტი, წმინდა გონების კრიტიკა, თბილისი, 1979, გვ. 14).

საინტერესო ავტორის წინაშე ვდგავართ, მას ყველა ის პრობლემა იზიდავს, რომელიც ერთნაირად მწვავედ დგას ადამიანის ყოფიერების გაცნობიერების აუცილებლობის სახით, ამავე დროს ყველა ერთნაირად რთული და ადამიანის გონებისთვის ძნელად მისაწვდომი, თუ საერთოდ მიუწვდომელია. ასეთ რთულ და გონების „დამაბნელებელ“ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება არა მარტო ღმერთის „არსებობის და ადამიანის თავისუფლების, არამედ კულტურისა და ცივილიზაციის პრობლემებიც. კულტურა, ეს ადამიანის ადამიანური ქმნილება, ერთი შეხედვით, ადამიანს არ უნდა აყენებდეს სირთულეების წინაშე, რადგან ადამიანის შექმნილია და რატომ ვერ უნდა განსაზღვროს ადამიანმა ეს პრობლემა ერთმნიშვნელოვნად, მაგრამ მას შემდეგ, რაც ადამიანმა საკუთარ თავსა და თავის ქმნილებაზე რეფლექსია მოახდინა, მის წინაშე მუდამ დგას კითხვა კულტურის შესახებ. წიგნის ავტორი აღნიშნავს, რომ კულტურის ოთხასზე მეტი განსაზღვრება არსებობს. ფაქტობრივად, კულტურის სტატისტიკოსები 492 განსაზღვრებაზე მსჯელობდნენ სამი ათეული წლის წინათ, დღეს კი 600 განსაზღვრებაზე ლაპარაკობენ. ათასიც რომ გახდეს, კიდევ გამოჩნდება ათასმეერთე. პრობლემის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა კი პერსპექტივაშიც არ ჩანს. არანაკლები სირთულეებია ცივილიზაციის გააზრებასთან დაკავშირებით. არ არის ერთმნიშვნელოვანი გაგება კულტურისა და ცივილიზაციის მიმართების საკითხშიც. ზოგიერთი ამ ორი ცნების შინაარსს იგივეობრივად მოიაზრებს. ტოინბისთვის ცივილიზაცია კულტურის გამომხატველია, შპენგლერისთვის კი კულტურის მხოლოდ ერთი საფეხურია. თუ შპენგლერი მსჯელობდა რვა კულტურაზე, რომელნიც ერთმანეთისაგან იზოლირებულად წარმოედგინა, ტოინბი მსჯელობს 26 ცივილიზაციაზე (სარეცენზიო წიგნის ავტორს უწერია 25). მათგან ოცდაერთმა მიაღწია სრულყოფას, ხუთი კი ჩანასახის ვითარებაში დაიღუპა. ტოინბის მიმოწერაში რუს აკადემიკოსთან, გულაგის ყოფილ ბინადართან კონრადთან, აღნიშნულია, რომ ტოინბი ეთანხმება შპენგლერის იდეებს და მათ მოძღვრებათა განსხვავებას ხედავს იმაში, რომ რაც შპენგლერთან კულტურით აღინიშნება, მასთან ცივილიზაციად იწოდება და რომ მან შპენგლერის კულტურათა რიცხვი თითქმის სამჯერ და უფრო მეტად გაზარდა. შპენგლერისთვის კულტურისა და ცივილიზაციის მიმართება განსხვავებულია. ცივილიზაცია მისთვის კულტურის ზამთარია, კულტურის კვდომის საფეხურია. არა დაღუპვის, არამედ შემოქმედების ამოწურვის, ტექნიციზმისა და ქალაქური ცხოვრების წესის დამკვიდრების მნიშვნელობით. ზოგიერთისთვის კულტურა და ცივილიზაცია ორი განსხვავებული ფენომენია. სარეცენზიო წიგნის ავტორი ნაწილობრივ ტრადიციულ განზომილებაში მოძრაობს, ნაწილობრივ ორიგინალურად ცდილობს გადაწყვიტოს კულტურისა და ცივილიზაციის, როგორც ერთიმეორის შემდგომი საფეხურების გაგება, რომელთა სინთეზად წარმოუდგება ისტორიის განვითარების შემდგომი

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. ᲛᲔ-7 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ.

# თავისუფლებაზე თავისუფლად დაწერილი წიგნი

ეტაპი. ავტორი აკრიტიკებს შპენგლერისა და ტოინბის თეორიებს იმის გამო, რომ მათ ვერ შეარჩიეს ერთიანი კრიტერიუმი კულტურისა და ცივილიზაციისთვის, და იმისთვის, რომ „შპენგლერის, ისევე, როგორც ტოინბის მთლიან კონცეფციაში არც ენის საკითხი არაა გადაჭრილი, ხოლო ამის გარეშე ცივილიზაციათა ტიპოლოგიურობაზე მსჯელობა მეტად პრობლემური ხდება. განსაკუთრებულ და გადაუჭრელ პრობლემად რჩება ამასთანავე ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ საკითხი და მისი ადგილი ცივილიზაციების ონტოსტრუქტურაში, ისევე როგორც ცივილიზაციათა ურთიერთმიმართებისა და ისტორიული კავშირების ანუ ურთიერთცოდნის ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲒᲐᲛᲡᲭᲕᲐᲚᲕᲘᲡ საკითხი“ (ჯ. კაშია, თავისუფლება და ფედერალიზმი, გვ. 248). ავტორი ფიქრობს, რომ ცივილიზაცია უნდა განვიხილოთ თავისუფლების განასერში. „როგორადაც არ უნდა განსხვავდებოდნენ ან ტიპოლოგიზირდებოდნენ ცივილიზაციები, ისინი ადამიანის ყოფიერების, არსების გამომთქმელ პარადიგმებს და ფენომენოლოგიურად ადამიანის არსების გამომთქმელი გარკვეულობის ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲐᲡ წარმოადგენენ... თავისუფლება ადამიანის ყოფიერების არსებით მახასიათებლებს განეკუთვნება, ადამიანის ადამიანობა და მისი არაცხოველური მეტაფიზიკური არსება თავისუფლებით დასტურდება. კულტურა და ცივილიზაცია კი ადამიანის ყოფიერების სრული ფორმაა, თავისუფლების განხორციელების შესაძლებლობათა ველი. ამდენად თავისუფლება ცივილიზაციის ონტოსია, ცივილიზაცია არსებითი თვალსაზრისით არის ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲘᲡ ფორმა“ (იქვე გვ. 248-249). ამ დებულებათა მნიშვნელობა ცივილიზაციათა გაგებისა და ანალიზისთვის უდავოა, მაგრამ ასეთივე უდავო და ნათელი როდია მტკიცება „ცივილიზაცია იმანენტურად უნდა იქნას შესწავლილი და გაგებული ᲔᲜᲘᲡ მატრიცულ სისტემაში“. თუ თავისუფლებაა ძირითადი, რასაც ცივილიზაცია გამოხატავს, რატომაა ეს ენით განპირობებული? თუ ავტორი იწუნებს ერობის პრინციპს, როგორც ცივილიზაციათა კრიტერიუმს, ენა კი ერის ძირითადი მახასიათებელია, რა უპირატესობა აქვს ენას ერთან შედარებით? კიდევ უფრო გაუგებარია განსაკუთრებით ხაზგასმული დებულება „ცივილიზაციათა ფორმით ღმერთი თავისუფლების შესახებ ესაუბრება ადამიანს“. ცივილიზაციას ადამიანი ქმნის და არა ღმერთი. ეს ადამიანური ქმნილება ადამიანის ყოფიერების შესაძლებლობათა რეალიზაციაა, აქ ღმერთის შემოყვანა ადამიანის დევალვაციაა. ცივილიზაციის გზით ღმერთი კი არ აცნობს ადამიანს თავისუფლებას, არამედ ადამიანი თავისუფლებით აგებს ბუნებრივად არარსებულ სინამდვილეს, რომელსაც ზოგი კულტურას, ზოგი ცივილიზაციას უწოდებს. ეს ავტორისთვისაც ცხადი უნდა იყოს, რადგან იქვე ავტორი ამტკიცებს, „განუწყვეტელი ცვალებადობის წყარო და საფუძველი არის ინტერესთა გადაკვეთა და წინააღმდეგობა, მათი ჰარმონიზების გზების ძიება, ომი და მშვიდობა, ნგრევა და აღშენება... ყოველივე ის, რაც ესოდენ დამახასიათებელია ადამიანური არასრულყოფილებისთვის“ (გვ. 249), რაც ღმერთის განდიდება კი არ არის, არამედ მისი დაკნინება, როდესაც არასრულყოფილი ადამიანის საქმიანობას, ომსა და მშვიდობას, შენებასა და ნგრევას, მიაწერთ ღმერთს. ეს ხომ სოციალურ ურთიერთობათა სფეროა, რასაც ავტორიც ეთანხმება, ამდენად ეს არის სოციალური ჯგუფების რეაქცია გამღიზიანებლებზე, რომელსაც ქმნის მათი სოციალური გარემო. ავტორი განასხვავებს სამ ეტაპს: კულტურას, ცივილიზაციას და ცივილურობას. ამ უკანასკნელში ერთიანდება პირველი ორი. მიაჩნია, რომ სამივე გამოთქვამს თავისუფლებას უფლება-მოვალეობათა და განხორციელებადობის ფორმაში. შესაბამისად „ცივილურობა ეს არის ბუნებრივ უფლებათა და მოვალეობათა ანუ თავისუფლებათა წყობა. ცივილიზაცია ეს არის რაციონალურ უფლება-მოვალეობათა ანუ თავისუფლებათა წყობა. ცივილიზებულობა კი არის სამოქალაქო თავისუფლებათა განხორციელების პირობების ინსტრუმენტალური ფორმა. ცივილიზებულობის სტრუქტურაში ამდენად თავს იყრის კულტურისა და ცივილიზაციის მოქმედი სახიერება. არც კულტურას და არც ცივილიზაციას ცივილიზებულობის გარეშე არავითარი ქმედითობა არა აქვს“ (იქვე, გვ. 253-254). ამასთან ერთად, აღსანიშნავია ავტორის მხრივ შპენგლერისა და ტოინბის თეორიათა უმართებულო კრიტიკა. მისი აზრით, „მეოცე საუკუნის ორი მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი ცდა ევროპის ცივილიზაციის არაქრისტიანული პრინციპის საფუძველზე გაგებისა (შპენგლერი) და მსოფლიო ცივილიზაციების რელატივისტური შესწავლისა (ტოინბი), ერთნაირად მატერიალისტური და აბსტრაქტული აღმოჩნდა. აშკარაა, რომ მეოცე საუკუნის ისტორიოსოფია ვერ გათავისუფლდება მატერიალისტური და ათეისტური იდეოლოგიური „ჰუმანისტური“ კლიშეებიდან“.

ვფიქრობთ, შპენგლერისა და ტოინბისთვის მატერიალიზმის დაბრალება დიდი უსამართლობაა. ორივე აღიარებს იდეისა და სულიერი ძალების წარმმართველობას. ერთადერთი რომის ისტორიის პერიოდი მიაჩნია შპენგლერს მატერიალური პრინციპის საფუძველზე ახსნადად. კიდევ უფრო შორს არიან ისინი ათეიზმისაგან. რატომაა შპენგლერის თეორია არაქრისტიანული პრინციპის საფუძველზე აგებული, ხოლო რელატივიზმი ერთნაირად ახასიათებს, როგორც შპენგლერს, ისე ტოინბის. ავტორი განიხილავს ცივილურობის და ცხოვრების სტილის საკითხს. შპენგლერისეული კულტურის სტილის საკითხი აქ დაკავშირებულია ქალაქისა და სოფლის მიმართების პრობლემასთან. მნიშვნელოვანია ავტორის მიერ დასმული კითხვა: რამდენად საფუძვლიანია მსჯელობა ერთ დასავლურ ცივილიზაციაზე „საქართველო, სომხეთი, რუსეთი და რიგი ევროპული თუ არაევროპული ქვეყნები, რომლებიც აქამდე „აღმოსავლური ბლოკის“ ცნებაში ერთიანდებოდნენ სოციალურ-პოლიტიკური წყობის საფუძველზე, არიან ისინი ცივილურობის სპეციფიკური ფორმის მატარებელნი, თუ საერთოდ არ ეკუთვნიან არავითარ ცივილიზაციას? თუ შეიძლება „საბჭოთა ცივილიზაციის“ ცნებას მიეცეს რაიმე აზრი? მაშინ როგორ უნდა დალაგდნენ სხვა ცივილიზაციები? კითხვათა უსასრულო გრძელი რიგი არავითარ შესაძლებლობას არ ტოვებს ასე თუ ისე ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ როგორც საგანზე, ასევე იმ სურათზე, რომელსაც რეალურად წარმოგვიდგენს მსოფლიო ისტორია“ (იქვე, გვ. 255).

ვფიქრობთ, რომ ავტორის მოსაზრებები გარკვეულად პასუხს სცემენ ამ კითხვას. ის ამტკიცებს, რომ ცივილიზაცია და ცივილურობა არ შეიძლება დაფუძნდეს ერების დონეზე, მაგრამ ძნელად დასაჯერებელია, რომ ამ საკითხზე პასუხის ერთადერთი გზა „რელიგიისაკენ, კერძოდ, ქრისტიანობისაკენ სვლაა“. ძნელად გასაგებია, თუ ეროვნულ საფუძველზე არ აიგება ცივილიზაცია, როგორ აშენდება ის ენების საფუძველზე და როგორ შევვიძლია მივიღოთ ენობრივი მატრიცით ბერძნული, იტალიური, ესპანური, ფრანგული, გერმანული, ინგლისური და სხვა კულტურები და ცივილიზაციები. ავტორი იმავე გვერდზე ამტკიცებს, „თავისუფლების გარეშე საუბარი კულტურაზე და ცივილიზაციაზე, მათს ტიპოლოგიაზე და ფორმებზე, საფუძვლებსა და სტილზე და ა. შ., აზრს მოკლებულია“. (იქვე, გვ. 256).

აქ უნებურად გვახსენდება ევგენი ბრაუდოს რეპლიკა შპენგლერის მისამართით: „შპენგლერი უჩვეულოდ ფართო ნატურაა. მისთვის ძალზე ალვილია მესამე თავში უარყოს ის, რასაც ამბობდა მეორეში. ხოლო მეოთხეში ერესად გამოაცხადოს ის, რაც მტკიცდებოდა მეორესა და მესამეში“.

გერმანიაში „ანტიშპენგლერის“ სახელწოდებით ორი წიგნი გამოიცა. ორივეს არგუმენტაცია შპენგლერის ნააზრევში წინააღმდეგობათა დემონსტრირებაა. ასე რომ, ამ ხასიათის წიგნებისათვის წინააღმდეგობანი უჩვეულო არ არის.

ავტორი თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით ხშირად განიხილავს ფილოსოფიის სხვა არსებით პრობლემებს. იგი აანალიზებს გნოსეოლოგიურ და ონტოლოგიურ პრობლემათა კავშირს თავისუფლებასთან და გვთავაზობს სოკრატეს დებულების კლასიკურ ფორმულირებას. „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“. ვფიქრობთ, სკეფსისის გარეშე სოკრატეს არც ერთი დებულება არ არსებობს. დოგმატური ფორმა შეუთავსებელია სოკრატესეულ აზროვნებასთან. ამიტომ პროფესორმა სერგი დანელიამ ამ დებულებას შემდეგი ფორმა მისცა: „მე ვფიქრობ, ვიცი, რომ არ ვიცი“. სიტყვები „მე ვფიქრობ“, არის ის სკეფსისი, რომელიც ათავისუფლებს ცოდნას დოგმატურობისაგან.

ავტორი ცოდნის ორ სახეობას განასხვავებს: ფილოსოფიურსა და მეცნიერულს. ეგზისტენციალისტების მსგავსად ფილოსოფიას მეცნიერების გარეთ გაიტანს. მას აინტერესებს, რა მიმართება აქვს ცოდნის ფილოსოფიურ სფეროს თავისუფლებასთან.

განსაკუთრებით შეინიშნება ნაშრომის ორი ძირითადი პრინციპის დოგმატური ფორმით გამოთქმა. 1. ქრისტიანობა თავისუფლებისა და მსოფლიო ისტორიის გასაღებია. ის ერთადერთი ჭეშმარიტი და მსოფლიო რელიგიაა. და 2. ფედერალიზმი თავისუფლების ერთადერთი ფორმაა და საქართველოსთვის ისტორიულადაც და რეალურადაც მორგებული. არც ერთის და არც მეორის დასაბუთება ავტორს არ მოეპოვება, დაუსაბუთებელ პრინციპებზე აგებული თეორია დოგმატურობისა და ტენდენციურობისაგან თავისუფალი ვერ იქნება.

ავტორი კრიტიკულად აანალიზებს მარქსის დებულებას: რელიგია ხალხის ოპიუმია, მაგრამ გვერდს უვლის სხვა მოაზროვნეების უფრო ფუნდამენტურ პრინციპებს. კერძოდ, ღმერთის სიკვდილის ნიცშესეულ დებულებას, ასევე ფროიდის მტკიცებას რელიგიის ილუზორულობის შესახებ. მათი განხილვა კი აუცილებელი იყო წიგნისათვის, უცხო თვალსაზრისთათვის პასუხის გასაცემად და მათში გამოთქმული ეჭვების განსაქარვებლად.

რაც შეეხება ფედერალიზმს, არ არის მართებული, თითქოს, ისტორიულად საქართველო აგებული იყო ფედერალიზმის პრინციპებზე. საქართველოს დანაწევრება კუთხეებისა და ეთნოჯგუფების მიხედვით იყო წყარო, როგორც შინააშლილობის, ასევე გარეშე მტრების თავდასხმის შემთხვევაში, „გათიშე და იბატონე“-ს პრინციპის განსახორციელებლად. რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, ფედერალიზმის პრინციპის გატარება არათუ არ შეასუსტებს, არამედ გააძლიერებს სეპარატისტულ მისწრაფებებს. კვლავ ძალუმად იფეთქებს ურთიერთშუღლი და შინაური აშლილობა. ჩვენ ჯერაც არა გვაქვს **ერთიანი** ეროვნული ცნობიერება. ყოველ შემთხვევაში, რაც გვაქვს, ის არამყარია და ვერ გაუძლებს სეპარატიზმისა თუ დამოუკიდებლობისადმი სწრაფვის ცდუნებას. ალბათ, არ იქნება მართებული დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე მითითება. ზოგიერთ მათგანში ცნობიერების დონე ძალზე მაღალია. ბევრ მათგანს კი იქაც აწუხებს სეპარატიზმი, იქნება ეს ესპანეთი, ინგლისი, თუ ოდნავ აღმოსავლეთით — იუგოსლავია. როგორი მაცდუნებელიც უნდა იყოს ფედერალიზმის პრინციპი, უნდა გავაცნობიეროთ, რომ მას შესაბამისი ნიადაგი სჭირდება. ის არ არის ჩვენს ტანზე შეკერილი ტანსაცმელი და სხვაზე მოსარგები, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენც მოგვერგება. ჩვენთან სომხური კომპაქტური დასახლების ქცევაც საკმარისია ილუზიების გასაფანტავად.

ვფიქრობ, ასეთი სერიოზული ნაშრომისათვის ეროვნული მოძრაობის მონათვლა „კვაზიეროვნულ მოძრაობად“ უმართებულოა და შეუფერებელიც. როგორიც უნდა იყოს ჩვენი პოზიცია ეროვნული მოძრაობის ლიდერების მიმართ, ფაქტია, რომ ქართველმა ხალხმა შეძლო იმ მონსტრის თუ თიხისფეხა გოლიათის დამარცხება და დამსხვრევა, რასაც სოციალისტური წყობა და საბჭოთა კავშირი ეწოდებოდა და იმ ილუზიის განქარვება, რომ „განვითარებული სოციალიზმით“ კომუნიზმის კარიბჭესთან ვდგავართ. რუსეთის იმპერიის 200-წლიანი ბატონობის შემდეგ, დიდი ჯაფისა და მსხვერპლის შედეგად, ვეღირსა დამოუკიდებლობის მოპოვება და თუ ამას ვერ შევინარჩუნებთ, მსგავსი შესაძლებლობა შეიძლება დიდხანს არ გამოჩნდეს. იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთს ტალახს ვესროდეთ, მივსდიოთ კონსტანტინე გამსახურდიას პრინციპს და ის ტალახიც ჩვენი შემოქმედების მასალად გამოვიყენოთ. დავდგეთ საერთო ნიადაგის თეორიის პრინციპზე. სამწუხაროდ, ჩვენს ცხოვრებაში ეს პრინციპიც და მისი ავტორიც იმდენად დავიწყებულია, რომ არჩილ ჯორჯაძის 120 წლისთავი მასმედიამ დუმილით ჩაატარა, მაშინ, როდესაც ყოფილ ფუნქციონერებს ქება-დიდებით უხდიან იუბილეებს. აქაც ვიმეორებ: ნუ გავიხსენებთ ა. ჯორჯაძეს, თუ ეს ვინმეს სჭირდება, მაგრამ ნუ დავივიწყებთ მის ჯანსაღ იდეას: ეროვნულ ინტერესებს დავუქვემდებაროთ ყოველივე, რამეთუ ერის ერთობა მისი გამარჯვების საწინდარია. გათიშვა კი გარდაუვალ მარცხს გვიქადის. ბევრი ვაშპირია ჩვენს გარშემო, რომელნიც ჩვენს შეცდომებს მაქსიმალურად გამოიყენებენ.

საბოლოოდ, სარეცენზიო წიგნის შესახებ უნდა ითქვას: ის მნიშვნელოვანი ნაშრომია და მოითხოვს საფუძვლიან განაზრებებს. მის გარშემო მსჯელობა ერთი და ორი წერილით არ უნდა დამთავრდეს.

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲙᲝᲓᲣᲐ

# ორი რეცენზია ერთ წიგნზე



გამოიცა

**ჯანრი კაშიას საინტერესო და ორიგინალური მონოგრაფია „თავისუფლება და ფედერალიზმი“ საქართველოსთვის ფრიად აქტუალური პრობლემის — პოლიტიკური და სოციალური სივრცის მოწყობის — ისეთ გადაწყვეტას ეხება, რომელსაც ძალუძს თავისუფალი და ღია საზოგადოების ფუძემდებელი პრინციპების რეალურ ცხოვრებაში დამკვიდრება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოცემული მონოგრაფია საქართველოს ჭირ-ვარამზე ღრმად დაფიქრებული პატრიოტის, მოქალაქისა და მეცნიერის პირუთვნელი ნააზრევია. ავტორსა და მის შრომას სრული უფლება აქვთ დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი დემოკრატიზაციის პრობლემებისადმი მიძღვნილ თანამედროვე ლიტერატურაში, ვინაიდან იგი ღრმად იკვლევს ფედერალიზმის რაობასა და გადამწყვეტ როლს ნამდვილად თავისუფალი, ღია და დემოკრატიული საზოგადოების დამკვიდრების პროცესში.**

## ფედერალიზმი როგორც პიროვნული და ეროვნული თავისუფლების გარანტია

პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებულ დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოებში დიდია ტოტალიტარიზმის სხვადასხვა ვარიანტით აღდგენის საშიშროება, რამეთუ სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად მისი პრინციპები ჯერ კიდევ მრავალ „ჰომოსოვიეტიკუსს“ ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი და ფესვები მისი მენტალიტეტის საკმაოდ ღრმა შრეებში აქვს გადგმული. ამიტომ თუ არ გავისიგრძეგანებთ ტოტალიტარული რეჟიმიდან ღია, დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლის პირობებს, ნამდვილი პიროვნული და ეროვნული თავისუფლების მიღწევის სოციალურსა თუ პოლიტიკურ გარანტიებს, მაშინ შეიძლება ფორმით ახალი, მაგრამ შინაარსით ძველი და უფრო უარესი ტოტალიტარიზმის ტყვეობაში აღმოვჩნდეთ. პოსტსაბჭოურ სივრცეში დღეს ამის ნიმუშია ბელორუსია.

საბჭოთა ტოტალიტარიზმის დანგრევამ და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებამ შეიძლება დაბადოს იმის ილუზია, რომ უკვე თავისუფლები ვართ. ახალი სუვერენული სახელმწიფოების მშენებლობის პროცესის სიძნელეები ძალიან ადვილად უბიძგებენ მათ მესვეურთ ისეთი პოლიტიკური, თუ სოციალური ფორმით მოწყობისაკენ, რომელიც ეროვნული სახელმწიფოებრიობის უპირატესობის ხარჯზე პიროვნების თავისუფლების შელახვას უფრო მოასწავებს, ვიდრე მის გარანტირებულ დაცვას.

ტოტალიტარიზმის რეციდივებისაგან თავის დაღწევა შესაძლებელია მხოლოდ ფედერალიზმის პრინციპების თანამიმდევრული გატარებით საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ იერარქიაზე; მაგრამ დეცენტრალიზაციისა და ფედერალიზმის პრინციპების ცხოვრებაში გატარებას ხელს უშლის ის სპეციფიკური ვითარება, რომელიც, ავტორის აზრით, სამოცი-ოთხმოციანი წლების „სტაგნაციურმა“ კომუნისტურმა ტოტალიტარიზმმა შექმნა საქართველოში; ამ ვითარებამ „საქართველოს მოსახლეობის საშუალო მატერიალური ცხოვრების დონეს და მოთხოვნილებებს იმდენად მაღლა აწევის შესაძლებლობა მისცა, ზნეობრივი დაცემის ხარჯზე, რომ ცხოვრების სიიოლის სრული განწყობა შთანერგა“ (გვ. 20). ამ უზნეო, მატერიალური „კარგად ცხოვრების“ პირობებში აღზრდილ მთელ ოთხ-ხუთ თაობას კი მეტად სპეციფიკური კვაზიპოლიტიკური და კვაზისოციალური აზროვნება დარჩა მემკვიდრეობად. ეს კი, ავტორის აზრით, გასაგებს ხდის, თუ რატომ ვერ ეგუება საქართველოს მოსახლეობის, მისი „მრავალპარტიული აქტივის“ უმრავლესობა თავისუფლების პრინციპებზე გადასვლას და საქართველოს ფედერალიზაციის აზრს. მას ღრმად სწამს, რომ თანამედროვე საქართველოს ბუნებრივი და წარმატებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური, ერთობ ცივილური კეთილმოწყობა, ქართველი ერის (საქართველოს მოსახლეობის), ანუ ყოველი მოქალაქის საარსებო პირობების განუწყვეტელი გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლების პრინციპებზე დაყრდნობით და საქართველოს ფედერალური მოწყობის გზით.

საქართველომ უკვე „მოსინჯა“ განვითარების ყველა სხვა გზა, რომელმაც „ტაძრამდე“ ვერ მიგვიყვანა. რჩება მხოლოდ ფედერალიზაცია, რომლის გზითაც სავსებით შესაძლებელია ერთსა და იმავე დროს ტრადიციული ქართული პოლიმორფისტული კულტურული მატრიცის აღდგენა და თანამედროვე ცივილიზებული საქართველოს აშენება. სწორედ ამ თვალსაზრისის გაგების სიძნელე მიუთითებს, წერს ავტორი, თუ რა ღრმად არის რღვევისა და ალრევის მეტასტაზები წასული და რა საფუძვლიანად აღმოფხვრა კომუნისტურმა იდეოლოგიამ პიროვნული, სოციალური და პოლიტიკური თავისუფლებების გაგება. ყოველივე ეს სწორია, მაგრამ ძალიან გადაჭარბებული. ქართველ ერში არასდროს ჩამკვდარა თავისუფლების წყურვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის დღემდე ვერ მოვიდოდა. უბრალოდ, ქართველი ერი და მისი პოლიტიკური ელიტა აცნობიერებს ფედერალიზმის არა მხოლოდ დადებით, არამედ „არასასურველ“ მომენტებსაც, რომელთაც შეუძლიათ დღევანდელ მთლიანობადაკარგულ საქართველოს კიდევ უფრო მეტი ზიანი მიაყენოს და ბოლომდე მიიყვანოს მისი დაშლის პროცესი. ფედერალიზმის პრინციპების განხორციელება ძალიან ფაქიზი და საფრთხილო საქმეა, რადგან ხელსაყრელ საგარეო ვითარებასთან ერთად დიდ პოლიტიკურ ერუდიციას და ნებას საჭიროებს.

დღეს, როდესაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ აკონტროლებს მისი ტერიტორიის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს, როდესაც შესუსტებულია მისი ძალაუფლება მთელ რიგ რეგიონებზე, თავად პოლიტიკურ სისტემას კი აზანზარებს კორუფცია, როდესაც სეპარატისტები არ თანხმდებიან ერთიან, მაგრამ სწორედ ფედერაციულად მოწყობილ საქართველოში შემოსვლას, გაერთიანებას, ძნელი არაა იმის დანახვა, თუ რატომ უყურებს ქართველი კაცი და მისი პოლიტიკური ელიტა ფედერალიზმის პრინციპებს ეჭვის თვალით. დღეს, როდესაც საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში ცენტრიდანული ძალები სჭარბობს ცენტრისკენულ ძალებს, როდესაც მხარეებს შორის მოლაპარაკებები კონსენსუსს ვერ აღწევს, მართლაც რომ ძნელია ფედერალიზმის პრინციპების განხორციელება, მაგრამ არა შეუძლებელი.

ევროპისაკენ მიმავალი გზა ფედერალიზაციაზე გაივლის. თუ ამის თქმა სამ-ოთხი წლის წინათ თითქმის შეუძლებელი იყო, რამეთუ მის აღსაქმელად არც ერთი ასპექტით მზად არ ვიყავით, დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობისა და მისი პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი და სერიოზული ნაწილი თანახმაა მიიღოს საქართველოს ფედერალური მოწყობის იდეა და ხელი შეუწყოს მის ცხოვრებაში დამკვიდრებას. თუ კარგად ავწონ-დავწონით ფედერალიზმის პლუსებს და მინუსებს და გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს მრავალეროვან და მრავალფეროვან საქართველოში, როდესაც არ არსებობს მისი ერთიანობის ძლიერი სულიერ-გონითი თუ იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი მაინტეგრირებელი ფაქტორები, ერთადერთ სწორ გზად ფედერალიზმის პრინციპების საფუძველზე მისი სოციალური და პოლიტიკური წყობის აგება მიმაჩნია. მხოლოდ მას ძალუძს ეთნიკურ კონფლიქტთა მიზეზების და ეთნოსთა შორის უნდობლობის აღმოფხვრა.

შეუძლებელია ავტორს არ დაეთანხმო, როდესაც წერს „დეცენტრალიზაციისა და ფედერალიზაციის აღნიშნული პრინციპი თავის თავში ატარებს მასობრივი ჰიპერსოციუმის დაშლის, მასობრივი დეკულტურიზაციისა და „ქარიხვეტიობის“ (უფესვურობის) საფრთხის თავიდან აცილების, „ადგილობრივი“ ინტერესებით, თვითმართვისა და ცივილურ-სახელმწიფოებრივ ინტერესთა ერთიანობის – „მრავალთ ერთიანობის“, ანუ არსებით ევროპეიზაციის – შესაძლებლობას, ამ ცნების ყველაზე ღრმა – ქრისტიანულ-ცივილური აზრით“ (გვ. 25).

**თუ საქართველო აშენებს თანამედროვე ღია საზოგადოებას და ესწრაფვის ლიბერალური წყობის დამკვიდრებას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე სოციალური ფილოსოფია, პიროვნების თავისუფლებასა და სოციალურ თავისუფლებაზე დაფუძნებული ლიბერალური სამართლებრივი წყობის განვითარება, მართლაც რომ თავისთავად გულისხმობს ფედერალური პრინციპის ზედგომას ყველა** სხვა პრინციპებზე. თვით პიროვნების თავისუფლების **პრინციპი სხვა არაფერია, თუ არა ფედერალური პრინციპის მოქალაქეობრივი, ანუ სოციალური ასპექტით წარმოდგენა.** ამიტომ ამ საკითხის გარკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს მომავალი წყობის მაქსიმალურად შესატყვისი ფორმის საპოვნელად.

**მართალია, საქართველოს ფედერალური მოწყობის საკითხი ახალი არ არის, მაგრამ იგი არ ამოდიოდა თვით საქართველოსთვის დამახასიათებელი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციიდან. ამიტომ არ იქცა, ავტორის ღრმა რწმენით, „ქართული ფედერალიზმი“ ახალი, პოსტკომუნისტური ეტაპის მნიშვნელოვან მოძრაობად, რამაც თავისი დაღი დაასვა საქართველოს მოსახლეობის სწრაფვას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. სწორედ ფედერალიზმის პრინციპებისადმი უნდობლობაში და საქართველოს რეალური პირობების და შესაძლებლობების გაუთვალისწინებლობაშია მისი წარუმატებლობისა თუ უბედურების მიზეზი.** ამ მიზეზის აღმოფხვრის ერთ-ერთ სერიოზულ მცდელობად შეიძლება სარეცენზიო ნაშრომი „თავისუფლება და ფედერალიზმი“ მივიჩნიოთ. მასში გაანალიზებულია სოციალური ფილოსოფიის ისეთი ფუნდამენტური პრობლემები, როგორებიცაა: ეთნოსის, ერის, ერი-სახელმწიფოს, კაცობრიობის, კულტურისა და ცივილიზაციის, საზოგადოების, კლასის, პიროვნების რაობა. ნაჩვენებია ამ ცნებათა ინსტრუმენტული და ღირებულებითი ასპექტები. ამ პრობლემების ანალიზისას ავტორი ეყრდნობა ქრისტიანულ კულტურულ მატრიცას და თანამედროვე სოციალური ფილოსოფიის, სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის მიღწევებს. ამ წანამძღვრებიდან ამოსული, ცდილობს დაასაბუთოს არა მხოლოდ საქართველოს სოციალური და პოლიტიკური მოწყობის საქმეში ფედერალიზმის უპირატესობები და მიზანშეწონილება, არამედ აყენებს ფედერალიზმის ახლებურ გაგებას, რომელსაც პირობითად შეიძლება „ქართული ფედერალიზმი“ ეწოდოს. ამ პრობლემების კვლევისას ავტორი მრავალ საკამათო, მაგრამ საყურადღებო მოსაზრებებს აყენებს, რომელთა გაუთვალისწინებლობა ნამდვილად არ ეგების. ამ მოსაზრებათა საფუძველზე საბუთდება, რომ **ფედერალური წყობა ჯერჯერობით ერთადერთი წყობაა, რომელშიც ერთნაირად არის გათვალისწინებული როგორც სახელმწიფოს ინსტრუმენტულობა, ასევე ერის, პიროვნებისა და საზოგადოების თავისუფლება. სწორედ ეს ვითარება მიგვახედებს ფედერალიზმისაკენ, როგორც კაცობრიობის, სახელმწიფოს, ერის, საზოგადოებისა და პიროვნების თვითმოწყობის და ურთიერთში მოთავსების ჰარმონიული სიმეტრიული სისტემისაკენ.**

ავტორის მოსაზრებანი ფედერალური სისტემის თაობაზე, უპირველეს ყოვლისა, იმით არის საინტერესო, რომ იგი არ კმაყოფილდება მხოლოდ პოლიტიკური ჭრილით და მას სოციალურ ასპექტშიც განიხილავს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **„ფედერალური წყობა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სოციალური სისტემაა და მის საფუძველს წარმოადგენს თავისუფალი პიროვნება და თავისუფალი საზოგადოება“**. (გვ. 374). თავისუფალი პიროვნების საზოგადოებაში სიმეტრიული მოთავსების ქრისტიანული პრინციპით ეს პიროვნება სწორედ ფედერალურად არის ჩართული საზოგადოებაში (და საზოგადოება მასში) მთელი თავისი თავისუფლებებისა და ვალდებულებების სუვერენობით. ამიტომ, შეუძლებელია არ დაეთანხმო ავტორს, როდესაც წერს, რომ „თავისუფალი საზოგადოება მხოლოდ ფედერალურ პრინციპებზე აგებული საზოგადოებაა“.

ავტორი კარგად აცნობიერებს იმ კულტურულ და ცივილურ დისპროპორციებს, რომლებიც სახელმწიფოს შიდა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში წარმოშობს საკითხებს, რომელთა გაუთვალისწინებლობას შეუძლია კატასტროფამდე მიიყვანოს არა მხოლოდ რომელიმე რეგიონი თუ სახელმწიფო, არამედ მთელი კაცობრიობაც კი. „ამგვარ ვითარებაში მხოლოდ ისეთი სისტემა შეიძლება იყოს ვითარების გამაწონასწორებელი, რომელიც ერთნაირად აძლევს საშუალებას ყოველ საკაცობრიო ერთეულს, განვითარდეს თავისი საკუთარი პრინციპების მიხედვით, და, სხვასაც მისცეს საშუალება განავითაროს თავისი თავი; გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და ცივილური განვითარების ინტერესთა გათვალისწინებით შექმნას ისეთი საერთო ხელშემწყობი პირობები და საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გაუთქვეფავად მოთავსებას უფრო დიდ ერთობაში, თავისუფლებისა და სუვერენობის სრული შენარჩუნებით. **არც ერთ დღემდე არსებულ ფორმას სოციალურ-პოლიტიკური წყობისა, არ ჰქონია ისეთი შესაძლებლობები, როგორიც აღმოაჩნდა ფედერალურ წყობას, დაფუძნებულს მოქალაქეობისა და თავისუფლების, სუვერენულ, პროცესუალურ, თვითმაორგანიზებელ და თვითდამხვეწავ პრინციპზე, რომლის საფუძველი ქრისტიანული ცივილიზაციის მატრიცაშია ფესვგადგმული“** (გვ. 376).

ფედერალიზმი აუცილებელ კავშირშია პლურალიზმთან, მაგრამ მისგან განსხვავებულიცაა. პლურალიზმთან იგი კავშირშია იმდენად, რამდენადაც ფედერალიზმი „მრავალთ ერთობის“ იდეიდან მომდინარეობს; პლურალიზმის თეორიულ პერსპექტივაში განხილულ ფედერალიზმის იდეას ფესვები იმ თვალსაზრისში აქვს გადგმული,

იხ. მე-10 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№50. კვირა. 1 მარტი. 1998 წელი.

გამოიცა

# ფედერალიზმი როგორც პიროვნული და ეროვნული თავისუფლების გარანტია

რომლის მიხედვითაც დემოკრატიული საზოგადოება უნდა იყოს თავისუფალი და ღია მრავლობითობისა და განსხვავებულობებისათვის, და რომ „ერთობა სხვადასხვაგვართაგან" იქმნება. თუ ამ წანამძღვრებს მივიღებთ, მაშინ ლოგიკურად დავასკვნით, რომ პოლიტიკა თავისი წყობისა და ფუნქციონირების ფორმებში, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გამოხატავდეს საზოგადოების შემადგენელ სხვადასხვაობებს.

პლურალისტურია წყობა, თუ იგი ქმნის გარკვეული ავტონომიის მქონე ჯგუფებიდან შედგარ ერთობას, რომელშიც ყველა ერთად დადგენილი და მუდმივი ფორმით მონაწილეობს ცენტრალური ერთობის პოლიტიკური თუ სოციალური ნების ჩამოყალიბებაში. ფედერალიზმი ახლოს დგას პლურალიზმის ცნებასთან, მაგრამ მათ შორის არსებობს არსებითი სხვაობაც, რომლის გაუთვალისწინებლობა ფედერალიზმის ცნებას ნახევრად მეცნიერულ, ანუ პალიატურ წარმონაქმნად აქცევს. ავტორი აცნობიერებს ამ სხვაობას იმით, რომ მას პლურალიზმისათვის დამახასიათებელი ჯგუფის ცნების ნაცვლად ტერიტორიულად განსაზღვრული ჯგუფის ცნება შემოაქვს. სწორედ ტერიტორიულობის ნიშანია ძირითადი, რადგან **„ფედერალისტური წყობა ქმნის ავტონომიური ტერიტორიული ჯგუფებიდან შედგენილ ერთობას და არის იმგვარი ხელისუფლების ფორმა, რომელიც ძალაუფლების განაწილებისა და განხორციელებისას ეყრდნობა ავტონომიურ ტერიტორიულ ხელისუფლებას. ეს ადგილობრივი ხელისუფლება მუდმივი და დადგენილი წესით მონაწილეობს ცენტრალური ერთობის დაწესებულებებსა და გადაწყვეტილებებში"**.

ამგვარად, პლურალიზმისაგან განსხვავებით, ფედერალიზმი დამატებით ითხოვს ჰორიზონტალურ გაშლასაც და ავტონომიურობისა და თავისუფლების საფუძველზე წარმოადგენს სოციალური და პოლიტიკური წყობის ორგანიზების პრინციპს. ფედერალიზმის არსის საუკეთესო დახასიათებად, მისი სამი კონსტიტუციური პრინციპის: ძალაუფლების განყოფის, ავტონომიისა და თანამონაწილეობის ავტორისეული ანალიზი მიმაჩნია;

1. **განყოფის პრინციპი ხელისუფლების ორ წყობას — ცენტრალურ, ანუ ფედერალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ, ანუ წევრთა ხელისუფლებას შორის საკანონმდებლო კომპეტენციათა განაწილების ზუსტ განსაზღვრაში გამოიხატება.** არსებითად, ამგვარი განაწილება გამომდინარეობს ეროვნული (სახელმწიფოებრივი) საზოგადო ინტერესებისა და ადგილობრივი კონკრეტული ინტერესების საგანთა შეფარდებიდან. სწორედ ამგვარი შეფარდება ქმნის ყოველი ფედერალური ერთეულის დინამიკური განვითარების უაღრესად ხელსაყრელ პირობებს, რადგან ერთდროულად, ერთი მთლიანი სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინების გვერდით იძლევა ნაწილთა ურთიერთდაკავშირების საშუალებას თვით ამ ნაწილთა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ფედერალური კონსტიტუცია იძლევა საშუალებას ისე ჰარმონიულად შევათანხმოთ ცენტრისა და რეგიონების ძირეული ინტერესები, რომ არც ერთი მათგანი არ შეილახოს.

2. **ავტონომიის პრინციპის არსი ის არის, რომ ხელისუფლების ყოველი წყობა ავტონომიურია, ან „სუვერენული", კანონისა და სამართლის ფუნქციების საკუთარ სივრცეში, რომელიც უკვე წინარე პრინციპებით არის განსაზღვრული.** არავითარი იერარქიული კონტროლი, არავითარი საფეხუროვანი უფლებები არ შეიძლება განხორციელდეს ერთი ხელისუფლებისა მეორეზე. მხოლოდ დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლებას შეუძლია განასორციელოს სამართლებრივი კონტროლი, გადაწყვეტილებათა კონსტიტუციური და სამართლებრივი შესატყვისობის თვალსაზრისით.

3. **თანამონაწილეობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ ფედერალური ერთეულები უნდა იყვნენ წარმოდგენილნი და თანამონაწილეობდნენ ფედერალურ გადაწყვეტილებებში.** არსებითად, ამგვარი მონაწილეობა გამოხატულია ფედერალურ ორპალატიანობაში, სადაც განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი მეორე პალატა (სენატორების, უხუცესთა) მეტ-ნაკლებად თანაბრად წარმოადგენს ყველა ფედერალურ ერთეულს საერთო ჰარმონიულობის მისაღწევად.

განასხვავებს რა ფედერაციას დეცენტრალიზებული და დეკონცენტრირებული ხელისუფლებისაგან, ავტორი ხაზს უსვამს ერთ მნიშვნელოვან მომენტს, რომელიც მიუთითებს, რომ **ფედერაცია არა მხოლოდ დეცენტრალიზაციის მაღალი საფეხურია, არამედ იგი ტერიტორიული შინაარსით არის განპირობებული.** ამ ვექტორზე **ფედერაცია იქმნება რამდენიმე სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, რომ გაერთიანდნენ ერთ სახელმწიფოში და დაიდგინონ საერთო მიზანი, საკუთარი თავისუფლების შენარჩუნებით.** ამიტომ ფედერალიზაციის პროცესი არის ცენტრალიზაციაზე უარის თქმის პროცესი, რომელიც მიმართულია საერთო ინტერესების საზღვრებში ფედერალური ერთეულების დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის შენარჩუნებისაკენ. **კონფედერაციისაგან განსხვავებით, რომლის შემადგენელ წევრებს მისგან თავისუფალი გასვლის უფლება აქვს, ფედერაციის წევრებს ამგვარი უფლება არა აქვთ.**

ავტორი კარგად ხედავს, რომ ფედერალიზმი ცენტრალიზაციისადმი შეუთავსებელი წყობაა. ეს კი სვამს პრინციპული მნიშვნელობის კითხვას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნას ურთიერთშეთანხმებულნი სახელმწიფოებრივი და სოციალური სტრუქტურები ერთმანეთთან ისე, რომ არ აზიანებდეს ფედერალიზმის პრინციპებს, არ აორმაგებდეს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ აპარატს და ხელს უწყობდეს საერთო მიზნების განხორციელებას. ამ კითხვაზე პასუხს ავტორი საკანონმდებლო ორპალატიანობის, პოლიტიკურ პარტიათა აცენტრალიზმის, გადასახადთა და ფინანსთა სისტემის დახასიათებით იძლევა.

**ფედერალური — „მრავალთ ერთობის" პრინციპიდან გამომდინარე, ავტორს ბუნებრივად მიაჩნია ისეთი საკანონმდებლო წყობის შემუშავება, რომელიც ერთდროულად მოსახლეობის რაოდენობრივ სხვაობასაც ასახავს და ფედერალურ ერთეულთა თანასწორობასაც. ამგვარი კი შეიძლება იყოს არჩევნების გზით შექმნილი ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო.** იგი უნდა შედგებოდეს ორი თანაბარი საკანონმდებლო ძალაუფლების მქონე ნაწილისაგან, რომელთაგან ერთში — წარმომადგენელთა დარბაზში — დეპუტატთა რაოდენობა ფედერალური ერთეულის მოსახლეობის პროპორციულია, ხოლო მეორეში — სენატორთა, ან უხუცესთა დარბაზში — ყოველი ერთეული თანაბრად არის წარმოდგენილი დადგენილი რიცხვით. ორდარბაზიანი საკანონმდებლო ორგანოს არსებობა ხელს უწყობს ერთსა და იმავე დროს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების და თვით საკანონმდებლო ხელისუფლების შიგნით ურთიერთკონტროლს, რაც ფედერალური წყობის არსებითი პრინციპია თუ პირველი, როგორც პარტიულ ჯგუფთა წარმომადგენლობითი ორგანო, ტენდენციას იჩენს ცენტრალიზაციის გაძლიერებისაკენ, მაშინ მეორე, ანუ უხუცესთა დარბაზი, მისი გამაწონასწორებელია, და, ამდენად — ფედერალური პრინციპის ბუნებრივი დამცველი. ამგვარად, ორი დარბაზის არსებობა უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთო-სახელმწიფოებრივ მისწრაფებათა გაწონასწორებას და პოლიტიკურ თუ სოციალურ სტრუქტურათა შეთავსებულობას.

**ფედერალიზმის პრინციპების განხორციელება მოითხოვს, რომ ფედერალური პარტიები ემყარებოდნენ მაქსიმალურად დეცენტრალიზებულ ტერიტორიულ ორგანიზაციებს.** ავტორი სწორად შენიშნავს, რომ მონოლითური, ავტორიტარული და ტოტალიტარული ტიპის პარტიები არ იძლევა ადგილობრივი ავტონომიისა და თავისუფლების გამოვლენის საშუალებას. ფედერალური საზოგადოების არსებობის აუცილებელ პირობას არა პარტიული სუბორდინაცია „ცენტრსა" და „პერიფერიას" შორის, არამედ მხარდამჭერთა პლურალიზმი, რომელიც ორიენტირებულია საარჩევნო პროგრამებსა და მისი განხორციელებისთვის შესარჩევ პირებზე. ამგვარად, ფედერალიზმის პრინციპის განხორციელება მოითხოვს როგორც ამომრჩევლის, ისე ასარჩევის პიროვნულ ერთგულებას და მათ მიმართებას როგორც ადგილობრივი, ისე სახელმწიფოებრივი ინტერსებისა და მიზნებისადმი და გაერთიანებას გარკვეული პროგრამის შესასრულებლად. აქედან კი გამომდინარეობს არჩევნების მაჟორიტარული პრინციპის უპირატესობა პროპორციულზე, რაც იძლევა კიდეც ადგილობრივი და საერთო სახელმწიფოებრივი მიზნების ოპტიმალური შეთავსების შესაძლებლობას.

**პრობლემის გადაწყვეტას,** რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა დონის ბიუროკრატიული აპარატის შენახვისას და მის მიერ გაწეული ხარჯების დაფარვისას წარმოიშობა, ავტორი **ხელისუფლებათა შორის კოოპერაციის ანუ კოოპერაციული ფედერალიზმის კონცეფციის შემოტანით ცდილობს. ეს არის ხელისუფლებათ შორის კოოპერაციის პროცესი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში საერთო მიზნით მისაღწევად საერთო ფინანსირებისა და პროგრამების მეშვეობით.** ავტორის მართებული შენიშვნით, თავისუფალ ურთიერთობათა ლოგიკას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპექტში სწორედ კოოპერაციისაკენ და თანამშრომლობისაკენ მიჰყავს როგორც პიროვნებათაშორისი, ისე ხელისუფლებათაშორისი და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების პროცესი, რომელშიც უკვე მხარეთა დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ხარისხი დამოკიდებული ხდება თვით მონაწილე მხარეთა მიერ ინფორმაციის ფლობასა და სწრაფი კვალიფიცირების დონეზე, ანუ, არსებითად, ცოდნასა და შემოქმედებაზე. ამ პროცესის ყველაზე გავლენიანი მონაწილეები სწორედ ის ავტონომიური ერთეულები ხდებიან, რომელთაც ძალუძთ შეთანხმების პროცესის ნებისმიერ ფაზაში ჩაერიონ, თავისი ცოდნით, ინფორმაციის მრავალფეროვნებითა და სხვადასხვა მხარესთან ურთიერთობის დამყარების სიადვილით.

ფედერალიზმის პრინციპების წარმატებით გატარების საწინდარს ავტორი ეროვნული ეკონომიკის პრინციპების დაცვაში ხედავს. ეროვნულია ეკონომიკა, რომელიც ესადაგება იმ მატრიცას, რომელიც განსაზღვრავს მთელი სახელმწიფოს ჰარმონიულ არსებობას და იმ პრინციპებს, ამ მატრიცის ღირებულებრივი საფუძვლიდან რომ გამომდინარეობს. სხვაგვარად, ეროვნული ეკონომიკა სწორედ იმ თვალსაზრისით არის ეროვნული, რომ ის უზრუნველყოფს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას და განაპირობებს სოციალური ცხოვრების ზესვლას თავისუფალი საზოგადოებისაკენ, რომელიც ერთსა და იმავე დროს იქნება დამცველი თავისი სამოქალაქო უსაფრთხოების სიერციისაც და მოქალაქეობრივი თავისუფლებებისაც ეკონომიკური მონდიალიზაციის მძლავრი შემოტევის პირობებშიც". ამ პრინციპული დებულებიდან გამომდინარეობს ის, რომ **საქართველოს ეკონომიკა უნდა ეფუძნებოდეს იმ რესურსებს, რომლებსაც შეუძლია სრულყოფილად დააკმაყოფილოს მთელი მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილებები. ავტორის სამართლიანი შენიშვნით, საქართველო ეკუთვნის ერთ-ერთ ყველაზე მაღალი თვითდაკმაყოფილების კოეფიციენტის მქონე ქვეყნებს.** განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ, აქტსაც, რომ საქართველოს შინაგანი წყობა არის „ბუნებრივად პოლიცენტრული და მრავალსახოვანი". ყოველ მის კუთხესა თუ რეგიონს აქვს თავისი პირველადი განვითარებისათვის საკმარისი და აუცილებელი პროდუქტის წარმოების ყველა შესაძლებლობა, რაც ქმნის საქართველოს შიდა ბაზრის განვითარების საწინდარს. ყოველივე ეს კი, ავტორის სწორი დანასკვით, არის საქართველოს რეგიონთა ფედერირების, ანუ შეკავშირების მძლავრი საშუალება.

**თუ ერთხელ კიდევ მთლიანობაში გავიაზრებთ ავტორისეულ მოსაზრებებს ფედერალიზმისა და პიროვნული თუ ეროვნული თავისუფლებების ურთიერთდამოკიდებულებების შესახებ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ფედერალიზმი არ არის დახშული სქემა და არც მზა ყალიბი, რომელსაც ყველამ უნდა მისდიოს.** იგი უნდა გავიგოთ, როგორც სახელმწიფოს ფედერალიზაციის განუწყვეტელი პროცესი. ეს კი იმას **ნიშნავს, რომ არსებობს გარკვეული საფუძველმდები პრინციპები, რომელთა გამოყენების იმდენივე შესაძლებლობა არსებობს, რამდენი სახელმწიფო, თუ მეტიც, საზოგადოებაა ქვეყანაზე. ხოლო ამ პრინციპთა განვითარებისა და რეალიზაციის შინაგანი ლოგიკა ფედერალისტური მრავალცენტრული ცივილიზაციის გზით, ანუ სრული მოქალაქეობრივი თავისუფლების გზით მიდის. საქართველო ღირსია მიდიოდეს პიროვნული და ეროვნული თავისუფლების გზით. ამ გზის ერთ-ერთი სერიოზული ორიენტირი თეორიული კონცეფციის ფორმით სახეზეა, ახლა გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს მთელ მოსახლეობას და მის პოლიტიკურ ელიტას ეკუთვნის.**

ამირან ბერძენიშვილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. მე-9 გვერდზე.

## არდავიწყება

# კვალდაჩნეული მოკლე ცხოვრება

აფორიაქებული, ამღვრეული, უმართავი და დაქსაქსული იყო მაშინ საქართველო.

...1993 წლის 17 სექტემბერს, დაჭრილებითა და დევნილებით გაჭედილი მორიგი თვითმფრინავი დაეშვა თბილისის აეროპორტში.

ჩამოსულების დიდი ნაწილი ავტობუსებში ჩასვეს და სასტუმრო „ივერიაში“ წაიყვანეს.

...გოგიტამ ლტოლვილებს აეროპორტში ველარ მიუსწრო, გადაწყვიტა პირდაპირ სასტუმროში მისულიყო.

„ივერიის“ წინ უამრავი ხალხი ირეოდა. დაბნეულები, უსახლკარონი, მშიერ-მწყურვალნი, სასოწარკვეთით ელოდნენ, თუ რით დასრულდებოდა ყოველივე.

გოგიტა ბავშვებისა და ქალების ერთ-ერთ ჯგუფს მიუახლოვდა.

— გამარჯობათ! მე გოგიტა ვარ, კირკიტაძე. ორი დღეა, რაც აფხაზეთიდან დავბრუნდი! ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე, კარგა ხანს ვიყავი იქით. ელოდებით ვინმეს?!

— არავის. ალბათ, მოგვხედავს მთავრობა, ასე ხომ არ დაგვყრიან ქუჩაში? — უნდობლად გამოელაპარაკა ერთ-ერთი.

— ქალბატონო, მესმის თქვენი, რა გასაჭირიც ნახეთ. თუ მენდობით, გულწრფელად გთხოვთ, დამიჯერეთ, წამობრძანდით ჩვენთან!

პასუხი არავინ გასცა!

გოგიტა მიხვდა, რომ ამ გულგატეხილ, ავისმნახველ ხალხთან ძნელი იყო საუბარი.

მანქანაში ჩაჯდა და თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ სასტუმროსთან ისევ მობრუნდა, ისევ იმ ჯგუფს მიუახლოვდა:

— ეს ჩემი მეუღლეა, მაკა! იქნებ, ამას მაინც დაუჯეროთ, წამობრძანდით ჩვენთან!

ასე მოხვდა ორი ძმის, სოხუმელების, ნოდარ და ალიოშა კუჭუხიძეების ცოლშვილი კირკიტაძეების ოჯახში.

* * *

— მე, ჩემი ძმა და ძმისშვილი, 19 წლის გია, სოხუმში დავრჩით; ექვსი სული — ქალები და ბავშვები კი, რის ვაი-ვაგლახით ჩავსხით თვითმფრინავში და თბილისისკენ გამოვისტუმრეთ.

ეეჰ, ახლა იოლია ამაზე ლაპარაკი!

სოხუმი რომ დაეცა, ჩვენ, სხვებთან ერთად, ჭუბერიდან გადმოვედით, ორი დღე მოვუნდით ზუგდიდში ჩასვლას.

ათი დღის შემდეგ თბილისში ჩამოვედით, „ივერიას“ მივაკითხეთ და იქ მოგვცეს გოგიტას მისამართი.

ჩვენ ჩამოსვლამდე ის იყო მათი პატრონი, ერთი წუთითაც არ მიუტოვებია, სულ გვერდში ედგა. როგორ შეიძლება ამის დავიწყება? აფხაზეთის ომმა ბევრ რამეზე გამიტეხა გული, ბევრი სიავე და გაუტანლობა ვნახე... მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ამ ქვეყნად კიდევ მრავლად არიან სიკეთის მკეთებლები, მათ გარეშე ქვეყანა დაემხობოდა.

... ორ წელიწადზე მეტი ვიცხოვრეთ იმათ სახლში. მერე ჩემი ოჯახით მეცხრე საავადმყოფოს საერთო საცხოვრებელში გადავედით.

თანდათან ყველაფერი მოწესრიგდა. ჩემმა უფროსმა ქალიშვილმა წარჩინებით დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი და ასპირანტურაშია. ამავე დროს ვაკის რაიონის სასამართლოში მუშაობს, უმცროსი კი უცხო ენას ეუფლება, მეოთხე კურსზეა.

ჩემი ძმის ოჯახი დღესაც კირკიტაძეების სახლში ცხოვრობს. შრომობენ, შვილებიც გზაზე დააყენეს, უფროსმა უკვე დაამთავრა უმაღლესი, მეორე — სტუდენტია.

ასეა! ვჯახირობთ, ვწვალობთ, სხვაგვარად როგორ გავიტანთ თავს?! დღეები კი მიდის და ველოდებით, როდის დავუბრუნდებით ჩვენს სახლ-კარს!

ყველაფერს მოეელება, მაგრამ ერთი საფიქრალი მაქვს: დიდი, ადამიანური თანაგრძნობა, რომელიც გოგიტამ, ამ ახალგაზრდა კაცმა ჩვენი ოჯახების მიმართ გამოიჩინა, რითი ან როგორ დავაფასოთ!

ეს ყველაფერი ნოდარ კუჭუხიძემ მიამბო. აღელვებული ლაპარაკობდა... ხანდახან ცრემლი ერეოდა, ღელავდა, ხმაც ებზარებოდა ვაჟკაცს.

— ბევრჯერ მინდოდა, რომ ვინმესთან მივსულიყავი და მეამბნა, რაც გადაგვხდა, გამომეხატა უსაზღვრო მადლიერება, მაგრამ ვერ მოვახერხე!

შესანიშნავად მესმის ამ კაცის, რომელიც გაუკუღმართებულმა ცხოვრებამ დღევანდელობამდე მიიყვანა.

დღეს, საქართველოს ყველა კუთხეში, კუჭუხიძეების ოჯახთა მსგავსი დევნილები მრავლად არიან, ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული ტრაგედიის გამო, ტრაგედიისა, რომლის გამეორებას დღესაც ცდილობს ზოგიერთი ნაძირალა. ეს არ მოხდება!

ის კი არის, რომ ჩვენს შორის მრავლად არიან უანგარო, კეთილი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ ჭირი და ვარამი შეუმსუბუქონ ქარცეცხლში გამოვლილ თანამემამულეებს.



* * *

— გოგიტა 1992 წელს, გაზაფხულზე გავიცანი „დინამოს“ სტადიონზე, სპეცდანიშნულების მთავარი სამმართველოს ჩამოყალიბებისას, ვარჯიშზე.

მერე ლაგოდეხში წავედით ერთად, საწვრთნელ შეკრებაზე. მას შემდეგ ერთმანეთს არ დავშორებივართ. ათას ქარცეცხლსა და დავიდარაბაში გამოვიარეთ. დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს ყველა „ცხელ წერტილში“ ვიბრძოდით.

იშვიათად შემხვედრია ასეთი კეთილი, ალალი ახალგაზრდა, უშიშარი მებრძოლი, ბრწყინვალე მსროლელი, ავაზასავით მოქნილი, სხარტი და შეუპოვარი.

მიძნელდება მასზე საუბარი, ჩემს უახლოეს მეგობარზე. ჩვენ ნათლიმირონითა ვართ ერთმანეთთან დაკავშირებული.

მიუხედავად ახალგაზრდობისა, თანატოლებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ყველას უნდოდა მასთან ახლობლობა... — მესაუბრება გია ბარნაბიშვილი, სასაზღვრო ძალების მოტო-სამანევრო ჯგუფის უფროსის მოადგილე. — როცა იმ დღეებს ვიგონებ, პირველ რიგში, დაღუპული ბიჭები მიდგას თვალწინ: ვანო რბგაიძე, გელა ქუმსიაშვილი, გია თარხნიშვილი, დათო კიკვაძე... რომელი ერთი ჩამოვთვალო...

* * *

გოგიტა კირკიტაძე ერთი იმ მრავალთაგანია, ვინც „მართალთა გზით“ იარა.

დაიბადა ცნობილი მშენებლის იური კირკიტაძის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სწავლობდა სამშენებლო ფაკულტეტზე. ორი წლის შემდეგ დაბრუნდა და სწავლა კვლავ გააგრძელა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ერთი წელი სპეციალობით იმუშავა.

დაოჯახდა, ვაჟიშვილიც შეეძინა.

მერე... მერე კი ეს სიცოცხლით სავსე ჭაბუკი დადგა იქ, სადაც იმ დროს ნაღდი მამულიშვილები იყვნენ — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში.

ომის შემდეგაც სამშობლოს ემსახურებოდა. თავის სპეციალობას აღარ დაბრუნებია — სასაზღვრო ჯარში განაგრძო სამსახური.

არავინ იცის, საიდან მოვარდება უბედურება... ერთ საღამოს ვილაც გარეწრებმა მანქანაში ჩაცხრილეს 24 წლის ვაჟკაცი.

სანუგეშო მხოლოდ ის არის, რომ „...აღსრულდა მამამისი და თითქოს არ მომკვდარა, რადგან დატოვა თავისი მსგავსი...“ — გიორგი და ცისფერთვალება. ნიკუშა!

**გურამ გომართელი.**

სურათზე: გოგიტა კირკიტაძე.

## რა შეუძლია სიტყვას!

# ძალა — სიხარულის აღმამფრენი

**ზამთრის ერთ წვიმიან საღამოს სამსახურიდან შინ ვბრუნდებოდი. რა თქმა უნდა, მეტროთი. რა თქმა უნდა, ვაგონში ტევა არ იყო. მგზავრები ერთმანეთს ვეკვროდით. სამაგიეროდ, ერთი დიდგულა ბიჭი უზრუნველად გადაწოლილიყო სკამზე, ფეხი ფეხზე გადაედო და მგზავრების ტანსაცმელზე ტალახის „ავტოგრაფებს“ ტოვებდა.**

ახალგაზრდის ამ უბოდიშო და დემონსტრაციულ გამოწვევას ახლო წარსულის მოვლენებით დათრგუნული ადამიანები მორიდებით და უსიტყვოდ ითმენდნენ. რა მოხდა, ავტომატს ხომ არ გიღერებს, ცოტა უხამსად იქცევა, მუჭში მარტო მზესუმზირა უჭრია და სიამოვნებით აკნაწუნებს, რამხელა წინგადადგმული ნაბიჯია!

მატარებელი „ვაგზლის მოედანს“ რომ მიუახლოვდა და მგზავრები გასასვლელის საიერიშოდ გაემზადნენ, შევნიშნე, რომ უტიფარ ახალგაზრდას ერთი ხანშიშესული მამაკაცი მიუახლოვდა, ელეგანტური და იმგვარად ჩაცმული, მეტროთი რომ იშვიათად ნახავთ — ასეთები მიწის ზემოთ, უფრო საკუთარი ტრანსპორტით მგზავრობენ. იგი თავს დაადგა ახალგაზრდას, დაიხარა და ისეთი საუბარი გაუბა, ძველი ნაცნობები გეგონებოდათ.

არ ვიცი, რა უთხრა ისეთი, ან იქნება ადამიანის სულზე თავისი ზემოქმედების წყალობით მონუსხა ახალგაზრდა, რომელიც მცირე ხნის დაბნეულობის შემდეგ, სკამზე შესწორდა, ვეება ფეხები მოკეცა, მზესუმზირა ჯიბეში ჩაიყარა და, რომ ვთქვა, სიწითლემ გადაუარა, — არა, მაგრამ ის თავკერძა გამომეტყველება რომ წაეშალა სახიდან, ეს აშკარა იყო. მესიამოვნა, რომ ყველაფერი უაყალმაყალოდ დასრულდა და გასასვლელთან დავდექი, ჩემი ჩასვლის დროც მოახლოვდა.

— „ჩაბრძანდებით? — ჩამესმა თბილი, ხავერდოვანი ბარიტონი. ამ ხმამ უცებ სადღაც გადამტყორცნა, მხოლოდ წამით, წამითაც კი არა. ეს ხმა ჩემი სიყმაწვილის, ჩემი ახალგაზრდობის მუდმივი თანამგზავრი იყო. სწრაფად მოვტრიალდი, არა იმიტომ, რომ კითხვაზე პასუხი გამეცა, მაინტერესებდა, ვინ იყო ამ, ჩემთვის ნაცნობი და ახლობელი ხმის პატრონი. დავაკვირდი და...

ეს იყო ის ხანშიშესული მამაკაცი, იმ თავხედი ახალგაზრდის „მომთვინიერებელი“ და, რაც მთავარია, სიჭაბუკეში ჩემთვის ყველაზე ახლობელი, ჩემი სულიერი დამრიგებელი, ჩემი პატარა ქალაქის დიდი მსახიობი, მაყურებლის, დიდის და პატარის, სათაყვანებელი კერპი. დიდი ხნის წინათ დავტოვე ჩემი მშობლიური ქალაქი და ძალიან დიდხანს ჩემს მეხსიერებაში არ წაშლილა მისი არტისტული ინდივიდუალობის ხიბლი, მისი გმირების განუმეორებელი სახეები.

ვესტიბიულშივე გამოვეცნაური, ვუთხარი, რომ გულში ვერ გავიჩერე მისადმი, როგორც მსახიობისადმი ჩემი მადლიერება. რა თქმა უნდა, ის ვერ მიცნობდა, მის უამრავ თაყვანისმცემელთა შორის მე ერთი რიგითი, უჩინარი ჭაბუკი ვიყავი, მაგრამ ნამდვილად კი შევნიშნე, რომ დაღლილ თვალებში საოცარი ცეცხლი ჩაუდგა. მკლავში ხელი გამიყარა. მეც ეს ცეცხლი გადმომედო და გული გადავუშალე, გავახსენე თითქმის ყველა სპექტაკლი, რომლებშიც ის მთავარ გმირს თამაშობდა, ის დაუვიწყარი თეატრალური ზეიმები; როგორ უყვარდა ხალხს, როგორ ვბაძავდით მას ახალგაზრდები.

გვიან შევნიშნე, რომ ჩემს სათაყვანო მსახიობს იმ საოცარი ცეცხლის ნაცვლად თვალებში მწუხრი ჩასწოლოდა. აღარ მეყურებდა, სადღაც შორს იხედებოდა და მესმოდა მისი სევდიანი მონოლოგი იმის თაობაზე, თუ როგორ მიატოვა სცენა (მატერიალურად ძალიან გამიჭირდაო), მერე როგორ გაერია ბიზნესს აყოლილ ადამიანთა მარაქაში, სოციალური კეთილდღეობისთვისაც მიუღწევია, ახლა ზურგმაგარი ფირმის ავანჩავანია, შვილებიც გზაზე დაუყენებია, უცხოეთის ორიოდე ქვეყანაც მოუვლია და აგერ, ახლოსაც „პატარა“ აგარაკი წამოუჭიმავს...

მესმოდა მისი მონოლოგი და თვალწინ დამიდგა იგი, სცენაზე მდგარი მავრი, „ოტელოს“ ფინალურ სცენაში...

დამშვიდობებისას მოვუბოდიშე, რომ ჩემი ბევრი ლაპარაკით გუნება წავუხდინე.

— პირიქით, პირიქით, მეგობარო! თქვენ მე დღეს ბედნიერება მომანიჭეთ, როგორც ძველად...

ეს ბოლო სიტყვა უკვე შორიდან თქვა მიმავალმა, მკერდზე ხელი მიიდო და ისე თქვა, თითქოს მეც მეკუთვნოდა და უხილავ მაყურებელსაც, იმ შორეულ, დაუვიწყარ მაყურებელს, რომელიც მას, როგორც ჩანს, სიხარულის აღმამფრენ, სულისჩამდგმელ ძალას აძლევდა.

უდავოდ, ეს ძალაა მიზეზი თეატრში განცდილი იმ ნეტარების მონატრებისა, რომლის ერთ მისხალსაც ვერ ცვლის ჭეშმარიტი ხელოვანი თავის ამჟამინდელ თავმოსაწონებელ პრაქტიკულ ცხოვრებაზე.

**P. S. მას შემდეგ იგი აღარ მინახავს. ბუნებრივია, არ იცის, რომ ეს წერილი დავწერე, ამიტომ მის გვარს არ ვამხელ, ვაითუ არ ესიამოვნოს, ეწყინოს და ის სიხარულიც გავუქარწყლო.**

**ვასილ კასრაძე.**

## თანადგომა



# ნატვრა ასრულებოდეთ...

ცოტა ხნის წინათ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსა და ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის ინიციატივით სპეციალიზებული პანსიონატის შექმნის ერთობლივი პროგრამა შემუშავდა, რომელსაც ხელი მოაწერა ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

ამ პროგრამის საფუძველზე შეიქმნა ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტთან ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა პანსიონატი „ნატვრის ხე". იგი საბიუჯეტო ორგანიზაციაა და სახელმწიფო ყოველთვიურად 18000 ლარსურიცხავს.

მას სათავეში ჩაუდგა ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოდო ეგუტია. ენერგიული, მტკიცე ნებისყოფის, ბავშვებზე დედასავით მზრუნველი, თითოეულის ტკივილის გამზიარებელი. პანსიონატში 70 ბავშვია და ზოგიერთი მას დედასაც ეძახის. ქალბატონ დოდოს ადამიანის სულიერ სამყაროში წვდომის საოცარი უნარი აქვს. ბევრ დათრგუნულ მშობელს ცხოვრების ხალისი დაუბრუნა და ოჯახური პრობლემების დაძლევაშიც დაეხმარა.

პატრონის ხელს პანსიონატში შესვლისთანავე იგრძნობთ. ირგვლივ სიმშვიდე და წესრიგია, სილამაზე და სისუფთავე. ოთახები თანამედროვე აპარატურით არის აღჭურვილი, ყველა თავისი საქმით არის დაკავებული. სკოლამდელი და სასკოლო ასაკის 70 ბავშვი დილიდან საღამომდე არის აქ.

კვალიფიციური სპეციალისტები ილვწიან ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ცხოვრების, სწავლისა და მკურნალობისთვის შესაფერისი პირობების შესაქმნელად. მათი სოციალური რეაბილიტაციისათვის, საყოფაცხოვრებო ჩვევების ჩამოყალიბებისათვის და, რაც მთავარია, გარემოსთან ბავშვების ადაპტაციისათვის.

ბავშვები აქ ეუფლებიან ქართულ ენას, ისტორიას, უცხო ენას, მათემატიკას, ჩაბმულნი არიან მუსიკისა და ცეკვის წრეებში, ვარჯიშობენ, დგამენ სპექტაკლებს.

აქ ახალ მოდელებსაც ამუშავებენ: ეტლს მიჯაჭვული ბავშვები მათთვის სპეციალურად დამზადებულ სკამებზე გადაიყვანეს. ვინც კიდურებს ვერ ამოძრავებდა, საგანგებო ტრენაჟორები დაუმზადეს, დადებით შედეგებსაც მიაღწიეს. ბავშვებმა ნაბიჯები გადადგეს, მოძრაობა დაიწყეს, სახეზე ღიმილიც გაუჩნდათ. პატარებს დაბადების დღესაც აღუნიშნავენ, ასაჩუქრებენ, ვინმეს წამალი დასჭირდება? წამალსაც ყიდულობენ, ქირურგიული ჩარევა ესაჭიროება? — დირექცია ამასაც აკეთებს. ორჯერადი გაძლიერებული კვება აქვთ. ბავშვებს ორი ავტობუსი ემსახურება. ერთი სიტყვით, აქ კეთდება ყველაფერი, რაც ოჯახებმა, მშობლებმა გასაგები მიზეზებით დააკლეს.

პანსიონატის ერთ-ერთი აღზრდილი დღეს უკვე სტუდენტია. ერთი მათგანი იქვე პანსიონატში პედაგოგად მუშაობს.

ბავშვები ლოცვებსაც სწავლობენ. დირექციამ თხოვნით მიმართა საპატრიარქოს და ახლა მათი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გამარტივებულ სასულიერო ლიტერატურას ამუშავებენ.

ამჟამად, პანსიონატში კასპის ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერიდან გადმოყვანილი 11 ბავშვი მკურნალობს. შესაფერისი შენობა რომ ჰქონდეთ, სხვებსაც მიიღებდნენ. სამწუხაროდ, ფართის სიმცირის გამო ბევრის თხოვნას ვერ აკმაყოფილებენ.

ბავშვებს ხშირად აქვთ სიხარულის დღეები, მათთან სტუმრად მოდიან ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მსახიობები, ყოველ წელს პრეზიდენტის საახალწლო ნაძვის ხეზე სტუმრად იწვევენ. სითბოსა და მზრუნველობას არ აკლებს პატარებს საერთაშორისო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის", მისი პრეზიდენტი ნანული შევარდნაძე. გულთბილ ბარათებს უგზავნის საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II.

ამჟამად, ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტი მუშაობს პროგრამაზე, რომლის მიხედვითაც შეიქმნება ცენტრი, სადაც ინვალიდები დასაქმდებიან, ცდილობენ პანსიონატს შენობის პრობლემა გადაუწყვიტონ.

მომსვლელთა ყურადღებას ჰოლში აღმართული ჭრელი ბაფთებით შემკული უზარმაზარი „ნატვრის ხე" იპყრობს, რომელზეც ბავშვები თავიანთ სურვილებს მიაბნევენ ხოლმე. მათ ნაოცნებარს პანსიონატის ხელმძღვანელობა შეძლებისდაგვარად უსრულებს.

ბავშვებს სჯერათ, რომ სასწაული აუცილებლად მოხდება.

ღმერთმა ქნას, ნატვრა ასრულებოდეთ!

**მაია ასაკაშვილი.**

***სურათზე:** ქალბატონი ნანული შევარდნაძე სტუმრად პანსიონატის აღსაზრდელებთან.*

## მოწყალება

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტის ნოდარ ცქიტიშვილის ინიციატივით შემუშავდა მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობის ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს კეთილშობილურ მიზანს — მოსწავლე-ახალგაზრდობის ზრუნვას მარტოხელა მოხუცებზე და ყმაწვილების მოწყალების ჰუმანური პრინციპებით აღზრდას.

პროგრამის ექსპერიმენტი პირველად სამგორის რაიონის 117-ე სკოლაში შესდგა.

# მოხუცებიდან მხოლოდ ოთხმა შეძლო მოსვლა

— წითელი ჯვრის ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები შეხვდით სკოლის პედკოლექტივს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს. გავაცანით ჩვენი პროგრამა, რომელიც მოიწონეს და მხარი დაგვიჭირეს, — თქვა ახალგაზრდული წითელი ჯვრის მოწყალების სამსახურის ხელმძღვანელმა ოთარ დავითაძემ.

პროგრამა სამ ეტაპად გაიყო: სკოლაში შეიქმნა ახალგაზრდული წითელი ჯვრის პირველადი ორგანიზაცია, ჩამოყალიბდა მოხალისეთა 18 რაზმი (240 მოსწავლეს აერთიანებს), და, რაც ყველაზე მთავარია — სკოლის ხელმძღვანელობამ ახალგაზრდულ წითელი ჯვრის პირველად ორგანიზაციას მიაწოდა ათი მარტოხელა და მიუსაფარი, ბედის ანაბრად მიტოვებული მოხუცების სია, რომლებიც ერთ დროს სკოლაში მუშაობდნენ და ახლა პენსიაზე იმყოფებიან. აი, ასეთ მარტოხელებზე იზრუნებენ ყმაწვილები. პროგრამის განხორციელებაში თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს მოწყალების სამსახურის კოორდინატორმა თემურ შერგელაშვილმა და თავადვე უპატრონა მის განხორციელებას.

117-ე სკოლაში 1750 მოსწავლეა. საქმიანობაში, როგორც ზემოთ ითქვა, ჯერჯერობით 240 მოსწავლე ჩაება, რომელთაც უკვე მორიგეობა დააწესეს — ერთ მოხუცზე იზრუნებს სამი ყმაწვილი.

ამ დღეებში გაიმართა ახალგაზრდული წითელი ჯვრის პირველადი ორგანიზაციის პრეზენტაცია. 117-ე სკოლაში მოიწვიეს მარტოხელა მოხუცები, რომელთაგან მოსვლა მხოლოდ ოთხმა შესძლო. მათ გადასცეს სხვადასხვა პროდუქტები — ზეთი, შაქარი, ლობიო, კარაქი, შოკოლადის კანფეტები, ყავა, ჩაი, ბანანი, საპონი, სანთელი, ასანთი, ხელსაწმენდები...



მოხალისეთა რაზმის წევრები დანარჩენ უმწეო მოხუცებს სახლში ეწვივნენ და ამანათებიც მიუტანეს.

საჩუქრების შეძენაში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს წითელი ჯვრის პრეზიდენტს ნოდარ ცქიტიშვილს, მოწყალების სამსახურის კოორდინატორს თემურ შერგელაშვილს, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაციას.

სკოლის მოხალისეთა რაზმებს შორის გაიმართა საინტერესო და მხიარული შეჯიბრება. საუკეთესო და გამარჯვებულ რაზმს გადასცეს აუდიომაგნიტოფონი, ტყავის ბურთი, გარდამავალი თასი, ლარნაკები, 150 ცალი წიგნი.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების (როგორც პროგრამის განმახორციელებელი), წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, ეროვნული წითელი ჯვრის საზოგადოების, სამგორის რაიონის გამგეობის, პრესისა და ტელერადიო დეპარტამენტის წარმომადგენლები.

ახალგაზრდული წითელი ჯვრის მოწყალების სამსახურმა უკვე დაიწყო თავისი პროგრამის განხორციელება თბილისის რაიონებში. შემდგომში პროგრამა საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც განხორციელდება.

**იზა ჯაჭვაძე.**

***სურათზე:** 117-ე სკოლის მოსწავლეები დასახმარებლად მივიდნენ პენსიონერთან.*

## დახმარება

# „ჰიუმენითი" — უმწეოთ

ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო სამედიცინო ასოციაცია „ჰიუმენითი" ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ორგანიზაციას წარმოადგენს. ასოციაციამ, რომელიც ორი წელია ფუნქციონირებს, შეიმუშავა უმწეოთათვის სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პროგრამა, რომელიც ნაწილობრივ საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა დააფინანსა.

„ჰიუმენითის" პროგრამა ითვალისწინებს მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებისათვის გადაუდებელი კვალიფიციური სამედიცინო დახმარების გაწევას, მედიკამენტებით მომარაგებას, პროფილაქტიკურ გამოკვლევას, კონსულტაციებს, ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას.

ასოციაცია „ჰიუმენითის" პროგრამაში ჩართულნი არიან ლტოლვილები (17 ათასი), მარტოხელა პენსიონერები (8300), ინვალიდი ბავშვები (1700), აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახები (1300), ინვალიდები (700), კულტურის მუშაკები, განათლების მუშაკები, მეცნიერები, საპატრიარქოს მრევლი, რომელთაც დახმარება სჭირდებათ, ქვრივები, უსინათლოები.

ასოციაცია კვირაში ერთხელ აწარმოებს მასობრივ სამედიცინო პროფილაქტიკური გამოკვლევებს ლტოლვილებთან.

თებერვლიდან ასოციაცია „ჰიუმენითი" და საქართველოს საპატრიარქო ერთობლივად ახორციელებენ უნიკალურ პროგრამას, რომელიც უმწეო მოსახლეობისათვის სულიერი დახმარების გაწევას ითვალისწინებს.

**ლელა დონაძე.**

## კადრი



**გაზაფხულის ჩამავალი მზე.**

მალხაზ მაჭავარიანის ფოტო.

## წინადადება



# თბილისიდან ლტოლვილი

მსოფლიო ავიაციის ისტორიაში სამარადისოდ ჩაწერილია იმ პიონერთა სახელები, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად საძირკველი ჩაუყარეს მის განვითარებას.

ქართველ ხალხს ეამაყება ის, რომ ჯერ კიდევ 1910 წელს ავიაციის გარიჟრაჟზე ჩვენმა თანამემამულემ ბესარიონ ქებურიამ პარიზის აეროკლუბის № 209 პილოტ-ავიატორის დიპლომი მიიღო და საჩვენებელი ფრენებით რუსეთის შემოვლით ჩამოვიდა საქართველოში. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დროისათვის ექსპერიმენტებითა და ხიფათით სავსე ახალმა ასპარეზმა უკვე 40 მფრინავის სიცოცხლე იმსხვერპლა.

არც ქებურიას დაკლებია ფათერაკები. მას ბამბუკის თვითმფრინავით უხდებოდა ფრენა, რომელსაც მხოლოდ 25-ცხენისძალიანი ძრავა ჰქონდა, რაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ერთხელ, როდესაც მას მოულოდნელად ძრავა გაუჩერდა ცაში და კატასტროფა გარდუვალი იყო, მან ორ ხეს შუა ფრთებით გაჩხირა თვითმფრინავი და თვითონ დიდი სიმაღლიდან გადმოხტა. ფეხი მოიტეხა, მაგრამ ხიფათი არაფრად ჩააგდო, პირიქით ახლობლებს ამშვიდებდა: „არაუშავს რა, შევაკეთებ აეროპლანსა და ისევ ვიფრენო. ბათუმში ფრენის დროს ძლიერი ქარის გამო იძულებული გახდა, წყალზე დაშვებულიყო. ტალღებში ილეწებოდა, მაგრამ მაინც არ უშვებდა ხელს აეროპლანს და როდესაც მენავეებმა მიუსწრეს, თავი იმართლა: ძრავა რომ ჩაძირულიყო, მისი გამოწერა საფრანგეთიდან ბევრ დროსა და დიდ სახსრებს მოითხოვდა. მას კი ფრენის გარეშე სიცოცხლე არაფრად ულირდა.

საქართველოში პირველი აეროპლანის გამოჩენას ალტაცებითა და ზოგნი კი შიშით შეხვდნენ. როცა ცნობილმა მეღუქნემ იგრუხუნემ ახალი დუქნის გახსნა დააპირა, ფიროსმანს სთხოვა, ფირნიშზე დიდი ასოებით „АЭРОПЛАН“-ი მიმიწერეო, მაგრამ მანამდე ფაეტონი დაუქირავა და რამდენიმე ცნობილ ყარაჩოღელთან ერთად ქებურიას საჩვენებელ ფრენაზე გაამგზავრა, თან ორი ტომარა ბატიბუტიც გაატანა: „ესო, ქებურია რომ აფრინდება, ხალხს ზევიდან გადმოაყაროსო და დაიჯერებენ, რომ ეშმაკისეული არ არის; ჩემთანაც, დუქანში უფრო თამამად შემოვლენო. ქებურიამ ბატიბუტი გადმოყარა, რამაც ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, რომ ხალხი მინდორში გამოცვივდა და დასაფრენი ადგილი თითქმის აღარ იყო. იგი იძულებული გახდა ქუჩაში დაესვა აეროპლანი. დაშვებისას კი ბორბლით ლობეს მოედო და გადატრიალდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი იმ დუქანში ქეიფით დამთავრდა. ბოლოს ბესარიონი გამოტყდა, რომ შემთხვევამ უხიფათოდ არ ჩაიარა – მან ნეკნი მოიტეხა. დუქანი შემდეგ ნიკალამ მოხატა. ერთი კედელი მთლიანად ქებურიას და მის აეროპლანს დაეთმო.

ქებურიას სიმამაცით აღტაცებული ხალხი მას ლექსითაც კი უმღეროდა:

„ბესარიონ ქებურია
ვაჟკაცობით ქებულია,
წყალზე გადის უხიდოთ,
ცაში ადის უკიბოდ“.

ვასო აბაშიძე კი თავისი ბენეფისის დროს სიყვარულით ეხუმრებოდა ნაავარიევ ბესარიონს.

„ცაში ვეძებდი ქებურიასა
ქებულსა
და არ მეგონა, ვნახავდი
მიწაზე გდებულსა.

1911 წელს ქებურიამ ახალი კონსტრუქციის მონოპლანი ააგო თავისი ხელით, რომელსაც 50-ცხენისძალიანი ძრავა დაუყენა. გადაფრინდა თბილისიდან ქუთაისში, სენაკიდან – ფოთში, სოხუმში, ბათუმში. ყველგან აწყობდა საჩვენებელ ფრენებს და კითხულობდა საინტერესო ლექციებს ავიაციის შესახებ.

ბესარიონ ქებურია არა მხოლოდ პირველი პილოტი-ავიაკონსტრუქტორი გახლდათ, არამედ იმდროინდელი მთავრობის თავმჯდომარის – შალვა ელიავას სიტყვებით, ამიერკავკასიაში ავიაციის ფუძემდებელიც იყო. არავინ იცის, რამდენი წინააღმდეგობა გადალახა მან, ვიდრე ააგო პირველი აეროდრომები, დაამკვიდრა პირველი ტრასები. იყო დრო, როდესაც პირველი მგზავრები დილაუთენია ბესარიონის სახლთან იკრიბებოდნენ გოგოლის ქუჩაზე და, თუ ღრუბლიანი ამინდი არ იყო, ავტომობილით აეროდრომისაკენ მიემართებოდნენ.

ამიერკავკასიაში, თავდაპირველად, ავიაციის მშენებლობა სააქციო საზოგადოების სახსრებით წარმოებდა და აქ დიდ როლს ასრულებდა ბესარიონ ქებურიას ავტორიტეტი, რომლის მაგალითზეც აქციონერების გარდა ბევრმა ახალგაზრდამ დაუკავშირა თავისი ბედი ავიაციას. 1930 წელს, როდესაც შეიქმნა სამოქალაქო ავიაციის სამმართველო, ბესარიონ ქებურიას ინიციატივით რუსთაველის გამზირზე ამ შენობას კიდევ ერთი სართული დაემატა. ომის დროს კი მოხუცებულმა ბესარიონმა მოხალისეების დახმარებით შმობლიურ ჩხოროწყუში აეროდრომი ააგო.

ბევრ ხიფათს გადაურჩა და თითქმის 90 წელს მიაღწია ბესარიონ ქებურიამ, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ ყველაზე დიდ მარცხს თბილისის აეროპორტში განიცდიდა, სადაც მისი ძეგლის ნაცვლად ავტოსადგომია და თვითონ კი ერთ-ერთ საწყობში განისვენებს. ჩვენ იქ წარწერაც ვიპოვეთ: „გამცილებლები აკრძალულია“. ვინ და რატომ აუკრძალა ქართველ ხალხს მისი სახელოვანი წინაპრის სიყვარული და თაყვანისცემა?

იმედი გვაქვს, რომ სამოქალაქო ავიაციის მესვეურნი დროულად გადაწყვეტენ ხელოვნურად შექმნილ ამ პრობლემას. იმედია, ძეგლადქცეული ბესარიონ ქებურია კვლავაც გაგვაცილებს თბილისის აეროპორტიდან და ბედნიერ მგზავრობას გვისურვებს.

**ბადრი ივანიძე.**



## სოციალური სფერო

**შეკითხვებზე პასუხობს საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამმართველოს უფროსი ირინე ღლონტი.**

# უფასო კონსულტაცია

***ვარ 78 წლის, მეუღლე 76 წლისაა, ბინაში ჩაწერილი ვართ მხოლოდ ჩვენ ორნი. გვყავს 3 შრომისუნარიანი შვილი, რომელთაც შექმნილი აქვთ ოჯახები და ცხოვრობენ თბილისში სხვადასხვა მისამართზე. ჩავითვლებით თუ არა მე და ჩემი მეუღლე მარტოხელად და მოგვეცემა თუ არა სახელმწიფო სოციალური დახმარება?***

ნინო ნემსაძე,
**თბილისი.**

„უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სახელმწიფო სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 31 დეკემბრის № 780 ბრძანებულების პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო სოციალური დახმარება 1998 წლის 1 იანვრიდან ყოველთვიურად დაინიშნება და გაიცემა არამომუშავე მარტოხელა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პენსიონერებისაგან შემდგარ ოჯახებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ოჯახის წევრებს არ ჰყავთ კანონით გათვალისწინებული მარჩენალი, ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

ალნიშნული პირობების მიხედვით თქვენ და თქვენს მეუღლეს სოციალური დახმარება არ დაგენიშნებათ.



* * *

***წლების განმავლობაში ჩვენი ოჯახი უსამართლოდ იყო რეპრესირებული. დედა გადასახლებაში დაიღუპა. დავრჩით მე და მამაჩემი, რომელიც ამჟამად ღრმად მოხუცია. მეც პენსიონერი გახლავართ, ვცხოვრობთ გაჭირვებით.***

***გავიგეთ რაღაც სიახლეა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა საპენსიო უზრუნველყოფაში, მაგრამ სრულყოფილად ვერავინ აგვიხსნა რა გვეკუთვნის მე და მამაჩემს პენსიის სახით და სად მივმართოთ. გთხოვთ, დაგვეხმაროთ ამ საკითხის გარკვევაში.***

ვიქტორია ლუაშვილი,
**ტყიბული.**

საქართველოს 1997 წლის 12 დეკემბრის კანონის („საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“) მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-13 მუხლი, რომელიც ძალაში შევიდა 1998 წლის 1 იანვრიდან, რეპრესირებული და შემდგომ რეაბილიტირებული პირებისათვის, აგრეთვე, მათი გარდაცვალების შემთხვევაში შრომისუუნარო მშობლებისა და მეუღლისათვის ითვალისწინებს პენსიების გადიდებას ომის ინვალიდებისათვის დაწესებული ოდენობით.

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთ, რომლებიც რეაბილიტირებულნი არიან, აგრეთვე, გარდაცვლილი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის მშობლებსა და მეუღლეს ა/წლის 1 იანვრიდან პენსიები (პენსიის სახის მიუხედავად) განესაზღვროთ 45 ლარის ოდენობით თვეში.

კანონის მესამე მუხლის შესაბამისად პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად მიიჩნევა:

– პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია;

– პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები) მშობელი და პირდაპირი ხაზის სხვა ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას;

– პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის შრომისუუნარო ან საპენსიო ასაკს მიღწეულ შვილს (ნაშვილებს) 1998 წლის 1 სექტემბრიდან პენსია (პენსიის სახის მიუხედავად) გაუდიდდება ომის ინვალიდებისათვის დაწესებული ნორმის ოდენობით (45 ლარი თვეში);

– კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად პირის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარება ხდება სასამართლოს მიერ და პენსიის გადიდებისათვის მოქალაქემ უნდა წარადგინოს აღნიშნულზე სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) ან რეაბილიტირებული პირის მოწმობა.

– პენსიის გადიდებისათვის ასევე მიიღება ამ კანონის ძალაში შესვლამდე ყოფილი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ პირის რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესახებ დადგენილება (გადაწყვეტილება).

აქვე განვიმარტავთ, რომ სათანადო საბუთების წარდგენის შემთხვევაში ზემოაღნიშნული კატეგორიისათვის პენსიის გადაანგარიშების შესახებ მიცემული აქვთ მითითება საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონულ განყოფილებებს, ამიტომაც ამ საკითხზე მათ უნდა მიმართოთ.

თუ გაგაჩნიათ რეაბილიტაციის ცნობა, დედათქვენს პენსია 45 ლარი მიეცემა 1998 წლის 1 იანვრიდან, ხოლო პირადად თქვენი პენსიის გადიდება მოხდება მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან.

* * *

**ვარ II მსოფლიო ომის მონაწილე, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი. მუშაობას ვაგრძობ.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ გაიზარდა თუ არა ჩემი პენსია ახალი წლიდან და თუ გამეზარდა, რატომ მეძლევა სამუშაო ადგილზე პენსია ძველი ოდენობით?**

კასაბერ ნინიძე,
**თბილისი.**

გირჩევთ დაუყოვნებლივ მიმართოთ საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროში (წერეთლის პროსპექტი № 144, III სართული) პერსონალური პენსიების განყოფილებას, სადაც მოგცემენ ცნობას გადიდებული პენსიის ოდენობის შესახებ, რომლის სამუშაო ადგილზე წარდგენის შემდეგ, თქვენ, როგორც ომის მონაწილე ხელფასთან ერთად სრულად მიიღებთ პენსიას გადიდებული ოდენობით.

* * *

***მოგმართავთ უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი 62 წლის პენსიონერი ქალი, ჩემი ღრმად მოხუცებული დედა, მამის ფრონტზე დაკარგვის გამო იღებს პენსიას. დამხმარე და პატრონი არავინ გვყავს, ვარსებობთ მცირე პენსიით.***

***გთხოვთ, გაგვიმარტოთ რამდენი ლარით გაიზარდა ჩვენი კატეგორიის პირთა პენსია ახალი წლიდან და კვლავ მოხდება თუ არა პენსიიდან თანხების დაკავება ელექტროენერგიის დავალიანების დასაფარავად?***

თამილა კოტორაშვილი,
**გურჯაანი.**

1998 წლის 1 იანვრიდან შრომისა და სოციალური პენსიების მიმღებ არამომუშავე ყველა კატეგორიის პენსიონერს (მათ შორის მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის მიმღებ თითოეულ წევრს), პენსია 1,2 ლარით გაუდიდდათ და თვეში 13 ლარით განესაზღვრათ, ხოლო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაღუპულთა ქვრივებს (რომლებიც მეორედ არ გათხოვილან) პენსიები გაუდიდდათ ასევე 1,2 ლარით და განესაზღვრათ 16,2 ლარის ოდენობით თვეში.

აქვე გაცნობებთ, რომ არამომუშავე ყველა კატეგორიის პენსიონერს პენსიიდან ელექტროენერგიის გადასახადის დასაფარავად თვეში 1,8 ლარი დაუკავდებათ. ეს არის დროებითი ღონისძიება შექმნილ ენერგოკრიზისთან დაკავშირებით.

## ჯანსაღი ცხოვრების წესი

# ველოსიპედით სეირნობაც არ გვაწყენდა

**გუშინწინ სეზონი გახსნეს საქართველოს ველომრბოლელებმა. საგზატკეცილო შეჯიბრებაში ორი დღის შემდეგ ლიდერთა შორის არიან დიმიტრი შალიკიანი და ახალგაზრდა პერსპექტიული ველოსიპედისტი გიორგი მგელაძე, რომელთა მწვრთნელიც გახლავთ სპორტის ოსტატი ხვიჩა გავაშელი.**



• მისი სპორტული ბიოგრაფია სამოცდაათიანი წლების მიწურულს დაიწყო თბილისის განათლების სამმართველოს ველოსტადიონზე (დირექტორი – საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი სოსო გოცირიძე). 13 წლისაც არ იყო ხვიჩა გავაშელი, მეგობრის თხოვნით პირველად რომ აღმოჩნდა აქ. მაშინ რკინის რაშებზე ამხედრებულ ბიჭებს მოჰკრა თვალი თუ არა, თავადაც მოუნდა გაქროლება. თითქოს მიუხვდაო გულისნადებს ახალგაზრდების დამრიგებელი შოთა მაყოლაშვილი, ყმაწვილს ველოსიპედი შესთავაზა...

– ორი წელიწადიც არ მქონდა ნავარჯიშები, ბატონმა შოთამ საქალაქო პირველობაზე თანატოლებს რომ გამაჯიბრა. – იგონებს ხვიჩა. – მაშინ საპრიზო ადგილზე გავედი. მერეც არაერთხელ გამოვსულვარ საქართველოს პირველობებზე. სამჯერ ჩემპიონიც გავხდი გუნდურ რბოლაში.

— ***მწვრთნელობა როდის დაიწყე?***

– 1987 წელს. ცხადია, გამოუცდელი ვიყავი და თავიდან გამიჭირდა, მაგრამ უფროსი კოლეგები, განსაკუთრებით ბატონი სოსო გოცირიძე ამომიდგა გვერდით. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი დაუზარელი კაცია, ყოველმხრივ ცდილობს ველოსპორტის განვითარებას, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ უსახსრობის ამბავი...

— ***როგორ ფიქრობთ, ველოსპორტში მომეცადინეთა რაოდენობის შემცირება მხოლოდ უფულობის ბრალია?***

– რა თქმა უნდა. მე რომ მწვრთნელობა დავიწყე, მაშინ ახალგაზრდებთან 100-ზე მეტი კაცი მუშაობდა სხვადასხვა რეგიონში. დღეს კი 20-მდე ენთუზიასტი თუ შემორჩა ველოსპორტს. ხელფასები დაბალია და იმასაც ზოგჯერ 3-4 თვის დაგვიანებით გვაძლევს ხაზინა. ინვენტარზე და ფორმებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია – სპორტსმენები საკუთარი სახსრებით თუ რამეს შეიძენენ, თორემ ჩვენთვის გამოყოფილი თანხები შეჯიბრებების გასამართავადაც არ გვეყოფის. ამის მიუხედავად, ფედერაციის თავდადებული მცდელობითა და შემწეობით, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ველოსპორტი არ ჩაკვდეს საქართველოში. ბოლო დროს გამოცოცხლება იგრძნობა ქუთაისში, ლაგოდეხში, ქობულეთში. დედაქალაქელები უმთავრესად ძველ ველოსტადიონზე ვვარჯიშობთ.

ამჟამად 16 კაცს ვამეცადინებ. მათ შორის დიმიტრი შალიკიანი ეროვნული ნაკრების წევრია, ხოლო გიორგი მგელაძე და ლექსო სამნიაშვილი ახალგაზრდული გუნდის ლიდერები არიან. შარშან ჩვენმა ბიჭებმა თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზეს საგზატკეცილო ველორბოლაში და 14 გუნდს შორის მესამე ადგილი დაიკავეს. ეს დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რადგან მონაწილეთა უმრავლესობა ხუთი ათას დოლარად ღირებული ველოსიპედებით ასპარეზობდა, ჩვენები კი ოთხმოციან წლებში შეძენილი ხარკოვული ველოსიპედებით გამოდიოდნენ. უცხოეთში ამგვარი ველოსიპედებით შეჯიბრებებზე კი არა, ბუნებაში სასეირნოდაც აღარ დადიან. ხელშეწყობა რომ გვქონდეს, უკეთეს შედეგებსაც მივაღწევდით.

დღეს ბევრს ვლაპარაკობთ მოსახლეობის გაჯანსაღების პრობლემებზე. ეკოლოგიურად დაბინძურებულ გარემოსა და უმოძრაობის პირობებში ველოსიპედებით სეირნობა უებარი საშუალება იქნებოდა ადამიანთა ჯანმრთელობისათვის. ამიტომ, ალბათ, მთავრობამაც უნდა იზრუნოს ველოსპორტის განვითარებაზე, რომ იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს.

ესაუბრა
**ვაჟა ნოსირელი.**

**სურათზე: ხვიჩა გავაშელი თავის შეგირდებთან.**

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

## ექო

# „არაპირდაპირი ინტერესები" — პირდაპირ „აიაქსზე"

საქართველოს საკლუბო გუნდების ევროპული ტურნირებიდან უკვე ტრადიციულ საწყის ეტაპზე გამოვარდნის შემდეგ ჩვენში საფეხბურთო შტილი დგება. „უმუშევრად" დარჩენილი სპეციალისტები და სპორტული ჟურნალისტები ახლა სხვათა კლუბებით ინტერესდებიან, პირველ რიგში იმათ შანსებს არკვევენ, სადაც ჩვენი თანამემამულეები თამაშობენ. საინფორმაციო სააგენტო „ბეა" თავის მასალაში „პასუხი – მინდორზე" (იხ. „სრ", 19.02) „ირიბ ინტერესებს" უწოდებს. ბუნებრივია, ამ ინტერესების სფეროში დღეს მოქცეულია ამსტერდამის „აიაქსიც", სადაც, როგორც საგაზეთო წერილშია აღნიშნული, „უპირველესი ქართველი ფორვარდი შოთა არველაძე გამოდის".

ამით დავიწყოთ. სად, რომელმა ელექტრონულ-გამომთვლელმა მანქანამ განსაზღვრა, რომ შოთა არველაძე უპირველესი ქართველი ფორვარდია? თუ წერილის ავტორი თავის სუბიექტურ აზრს გვიზიარებს, განა უკეთესი არ იქნებოდა, წაგვემძღვარებინა უწყინარი „ჩემი აზრით", „როგორც მეჩვენება", „ვფიქრობ" და ა. შ. თორემ ასეთი ხაზგასმულობა, რომ შოთა არველაძე უპირველესი ქართველი ფორვარდია, უპირველესად, თავად შოთას, ამ დიდებულ ფეხბურთელს, თავმდაბალ და თავისი თავისადმი კრიტიკულად განწყობილ ადამიანს ჩააყენებს (ჩემი აზრით!) უხერხულობაში.

უნდა ვთქვა, რომ მაშინაც კი, როცა მიშა მესხი მესხობდა, ქართველ გულშემატკივართა შორისაც კი მრავალი ოპონენტი ჰყავდა და მის უპირველესობას (მე კი სწორედ ასეთად მესახებოდა იგი) კითხვის ნიშანიც ახლდა ხოლმე. ბუნებრივიცაა, ფეხბურთი სპორტია და არა ზუსტი მეცნიერება, როცა, ვთქვათ, რვაჯერ შვიდი ყველა განედზე და მერიდიანზე ზამთარ-ზაფხულ 56-ია.

საგაზეთო მასალიდან ვგებულობთ, რომ ამ დღეებში „რადიო როსიის"-ში მოახლოებული საფეხბურთო ბატალიებისადმი მიძღვნილი გადაცემა გამართულა. სხვა სიტყვებით: რუსი ფეხბურთის სპეციალისტები და ჟურნალისტები თავიანთ რუსულ რადიოში, თავიანთი, რუსული კლუბების ევროტურნირებში გამოსვლების შანსებს აანალიზებდნენ. „ბეას" ყური რადიოზე აქვს მიდებული და უსმენს, სპეციალისტები, რომელთაც ავტორი შემდგომ უბრჭყალებოდ აღარ იხსენიებს (ახია იმათზე!), როგორ უწოდებენ შოთა არველაძეს „საშუალო დონის ფეხბურთელს, რომელსაც თავის გამოჩენა მხოლოდ დავრდომილ და სუსტ გუნდებთან შეუძლია". ლამის ეროვნული ღირსების შელახვად მიიღოს ავტორმა რუსი „ფეხბურთის სპეციალისტების" (ბრჭყალები ავტორისაა!) მიერ შოთა არველაძის ასეთი ატესტაცია. თუმცა, იქვე შენიშნავს, „ყველას და, მათ შორის, ცხადია, რუს ჟურნალისტებსაც თავისი აზრი აქვთ და ამ მოსაზრებებში მათ ვერავინ შეედავება".

მით უმეტეს, არ უნდა გაგვალიზიანოს მსგავსმა შეფასებებმა და დასკვნებმა. თავის დროზე ამარილდიც კი დიდი ყოყმანისა და იჭვნეულობის შემდეგ წაიყვანეს ჩილეში, მსოფლიო ჩემპიონატზე. თუ როგორ გაიბრწყინა იქ მისმა ტალანტმა, ამაზე სიტყვას აღარ აქვთ, ასეთი რამეებიც ხდება ფეხბურთში და ამითაცაა იგი საინტერესო.

ავტორი მოუწოდებს „აიაქსსაც" და შოთა არველაძესაც პირველსავე, ამსტერდამულ მატჩში გაუსწორონ ანგარიში „სპარტაკს", რადგან „რა მოხდება შემდეგ, მოსკოვის დათოვლილ ან ატალახებულ მოედანზე, რომელიც ფეხბურთის თამაშის გარდა, ყველაფრისათვის გამოდგება, არავინ იცის". ეტყობა, ცუდად ვიცნობთ „ლუჟნიკს" და მის მიწისქვეშა თბო-და სადრენაჟო კომუნიკაციებს, თორემ ასე არ დავწერდით. ზამთარშიც კი სტადიონის მინდვრის საფარი თბება და ტალახსა და თოვლს იქ ვინ გააჩერებს.

„ლუჟნიკს" ჩვენზე უკეთესი პატრონები ჰყავს, ჩვენ ჩვენს სტადიონს მივხედოთ, თორემ, მეოთხედი საუკუნეა „დინამოს" სტადიონზე, სხვა უამრავი შესასრულებელი სამუშაოების გარდა, ბალახის საფარის რეკონსტრუქციაც კი არ ჩატარებულა. ბოლოს ეს სამუშაოები ისევ ლუჟნიკელმა სპეციალისტებმა შეასრულეს და, ეტყობა, წლეულსაც ისევ ისინი შემოგვეშველებიან, ვისაც საფეხბურთო მოედანს ვუწუნებთ.

**გურამ ვაშაკიძე,**
„სრ" საკ. კორ.

## ფეხბურთი

# იოჟეფ საბოს აზრით

იოჟეფ საბო – უკრაინულ ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ექსტრაორდინარული პიროვნება – სამოციან წლებში კიევის „დინამოში" თამაშობდა და მისი წამყვანი ფეხბურთელიც იყო. სტაჟიან გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ მისი ძლიერი, მეტად ლამაზი დარტყმები და სრულიად მოულოდნელი, მოწინააღმდეგისთვის გამაოგნებული გადაწყვეტილებები. სწორედ ამ თვისებებით გამოირჩეოდა საბო. გარდა ამისა, იგი საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც გამოდიოდა და წარმატებასაც მიაღწია. ეს გახლავთ მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატზე მოპოვებული მეოთხე ადგილი, რაც სხვა თაობის საბჭოთა ფეხბურთელებს არ ღირსებიათ. იოჟეფ საბო „დინამოშიც" და ნაკრებშიც დიდ ოსტატებთან ერთად თამაშობდა, ისეთებთან, როგორებიც იყვნენ მუნტიანი, რუდაკოვი, ბიშოვეცი, მესხი, მეტრეველი, ივანოვი და სხვები. მაგრამ მიუხედავად ამისა, ვინმეს ჩრდილში არასდროს მოქცეულა და ყოველთვის გააჩნდა თავისთვის დამახასიათებელი ხელწერა. საბო – უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელია – ამჟამად ვალერი ლობანოვსკის ასისტენტად მუშაობს.

— ***საკმაოდ საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. სულ მცირე ხნის წინათ თქვენ იყავით უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ხოლო ვალერი ლობანოვსკი მხოლოდ თქვენი კონსულტანტი იყო. ახლა როლები შეიცვალა: ლობანოვსკი მთავარი მწვრთნელი გახდა, თქვენ კი — მისი ასისტენტი. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?***

– და თქვენ რა გინდათ, რომ ვთქვა? საერთოდ, ჟურნალისტებს უყვართ სენსაციების ძიება, რათა თავისი მასალა უფრო საინტერესო გახადონ და ეს გასაგებიც არის, მაგრამ ასეც ხომ არ შეიძლება? მე, მაგალითად, ამ სიტუაციაში ვერაფერს უჩვეულოს და, მით უმეტეს, დამამცირებელს ვერ ვხედავ. თქვენი კითხვაც ხომ იქით იყო მიმართული, რომ სწორედ ეს მოგვესმინათ. მე კი, კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, აქ არაფერი უჩვეულო არ არის. პირიქით, ერთგვარად ლოგიკურადაც კი გამოიყურება ყველაფერი.

— ***სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რამ გამოიწვია თქვენი გალიზიანება, მაგრამ იქნებ განგვიმარტოთ, რაში გამოიხატება ამ სიტუაციის ლოგიკურობა?***

– კი ბატონო, მე გახლდით ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, რომელსაც დასახული ჰქონდა მიზანი – ნაკრები მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრილიყო. არც ჩემთვის და არც გუნდისთვის ამის გარდა სხვა მისაღები ვარიანტი არ არსებობდა. მიზანი ვერ შესრულდა. თუ რატომ, ეს უკვე სხვა საქმეა. რაც შეეხება ლობანოვსკის, მისმა „დინამომ" დიდ წარმატებებს მიაღწია. ამას ვერავინ უარყოფს. მაშ, რატომ უნდა გვიკვირდეს მწვრთნელის გამოცვლა?

— ***კი მაგრამ, თქვენც ხომ დაგტოვეს გუნდში?***

– ჩემთვის არავის უთქვამს, რომ ცუდად ვიმუშავე. ჩემი ნაშრომი დამაკმაყოფილებლად შეაფასეს, მაგრამ მიზნის შეუსრულებლობის გამო, ნაკრებში ახალი სისხლის მოდენა ამჯობინეს. ახალი სისხლი არა მარტო ახალ ფეხბურთელებს ნიშნავს, არამედ ახალ მწვრთნელსაც. მე კი, კარგა ხნის განმავლობაში ემუშაობდი ნაკრების მწვრთნელად და ჩემი გამოცდილებით, უდავოდ, დიდად დავეხმარები ლობანოვსკისაც და მთლიანად უკრაინის ნაკრებსაც. სწორედ ამ მიზეზთა გამო დავრჩი გუნდში.

„ბეა".

## თბილისს რომ სტუმარი ჰყოლია



# ლეგენდები იცინიან

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ათწლეულების მანძილზე იზიდავდა სპორტული სამყაროს გამორჩეულ წარმომადგენლებს. ვინ მოთვლის, რამდენი ბეჭდაუდებელი ფალავნის ელვისებური ფანდები ახსოვს დედაქალაქის სპორტის სასახლის ხალიჩას.

გადის დრო, თაობათა კერპები თანდათან ტოვებენ სარბიელს და, სამწუხაროდ, წუთისოფელსაც. ასეთია ცხოვრების ულმობელი კანონი. დასანანია, რომ ალექსანდრე კოტორაშვილის მიერ შემოთავაზებულ ფოტოზე აღბეჭდილი ოლიმპიური ჩემპიონები – ივან იარიგინი და დეივიდ შულცი (მარცხნიდან მეორე და მესამე) ადრიანად დაგვემშვიდობნენ. ციმბირელი ფალავანი ავტოკატასტროფამ შეიწირა, ამერიკელი ვაჟკაცი კი ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის მრავალგზისი სტუმრები საქართველოს მეგობრებად დარჩნენ...

გვერდის რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

# სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური გვერდი

## ჭადრაკი

# ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს



როგორც ვიუწყებოდით, გუშინწინ გაიმართა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მეორე ყრილობა, რომელმაც ფედერაციის ოთხწლიანი მუშაობა შეაჯამა და ახალი ხელმძღვანელობა აირჩია.

ხანგრძლივი სჯა-ბაასის და კამათის შემდეგ ჭადრაკის ფედერაციის ახალ პრეზიდენტად საერთაშორისო დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი აირჩიეს, ვიცეპრეზიდენტად სპორტულ და საერთო საკითხებში — დიდოსტატი დავით გურგენიძე, ვიცეპრეზიდენტად კომერციულ დარგში — ეროვნული ოსტატი კახი ჩიგოგიძე, გენერალურ მდივნად — ზურაბ კუტალაძე.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა სახელოვანმა მოჭადრაკე ქალებმა, რომლებსაც განსხვავებული აზრი ჰქონდათ პრეზიდენტობის კანდიდატურაზე, კენჭისყრაში არ მიიღეს მონაწილეობა. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალ პრეზიდენტს, ვფიქრობთ, დიდი ძალისხმევა დასჭირდება განაწყენებული მოჭადრაკე ქალების შემოსარიგებლად.

სურათზე: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი.

## წყალბურთი

სტამბოლში 4-8 მარტს გაიმართება საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. რუმინეთის, გერმანიისა და თურქეთის გუნდებთან ერთად შეჯიბრებაში საქართველოს წარგზავნილებიც იასპარეზებენ. ნაკრების სტამბოლში გამგზავრებამდე შევხვდი საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ გოიაშვილს და ჭაბუკთა ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელს სოსო მაისურაძეს, რომლებმაც საქართველოს წყალბურთის პრობლემებსა და პერსპექტივებზე ისაუბრეს.

ვლადიმერ გოიაშვილი: ამჟამად საქართველოში წყალბურთის ასაღორძინებლად პირველი ნაბიჯები იდგმება. უმთავრეს ყურადღებას ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს ვაქცევთ, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე გამარჯვებების მოპოვებამდე ლოდინი, ალბათ, კარგა ხანს მოგვიწევს. თავად განსაჯეთ: ნაკრების წევრები სავარჯიშოდ, მართალია, შეღავათიან ფასებში, მაგრამ თვითონ იძენენ აბონემენტებს, ხელფასებზე ან სტიპენდიებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. არადა, იმ ავადსახსენებელი რეჟიმის დროს კვებაც უზრუნველყოფილი გვქონდა სახელმწიფოსგან, სპორტული ფორმაც და მნიშვნელოვანი შეჯიბრებების წინ საწვრთნელი შეკრებებიც, სადაც ყალიბდებოდა კიდეც ერთიანი კოლექტივი. დღეს კი ყველაფერი ეს მოშლილია.

შარშან სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა ჩვენს ფედერაციას, რომელიც ოთხ სახეობას აერთიანებს, 40 ათასი ლარი გამოუყო. ხაზინას წლის ბოლომდე ძლივს გამოვგლიჯეთ 38 ათასი. წლეულს ჩვენმა ჭაბუკებმა ორ შეჯიბრებაში იასპარეზეს – თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე და რუსეთის პირველობაზე. ორივეგან ნასესხები ფულით წავიდნენ. თებერვლის დასაწყისისთვის სესხის გასასტუმრებელ თანხებს შეგვპირდნენ. თვე მიილია და ფულის მოცემას არავინ ფიქრობს. ის კი არა, ფედერაციის მუშაკებს უკვე ხუთი თვეა ხელფასი არ მიუღიათ. და ეს მაშინ, როცა რუსმა კოლეგებმა გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი გასაჭირი და საწევრო შესატანისაგან – დაახლოებით 2 ათასი დოლარის ოდენობით – გაგვათავისუფლეს, თურქებმა კი ყველა ხარჯი თავად გაიღეს მგზავრობის გარდა.

ამგვარ პირობებში, ცხადია, ცოტა უხერხულიცაა ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბებაზე საუბარი. საქართველოს წყალბურთელთა იმიჯი ხომ საერთაშორისო სარბიელზე ერთობ მაღალი იყო. ბოლო წლებში კი ჩვენმა ნაკრებმა 15-17 ბურთის სხვაობით წააგო მატჩები, რაც ეროვნული ტრადიციების შეურაცხყოფად მიმაჩნია. შე-

# ჭაბუკთა მოზღვავება „ლაგუნა-ვერეში"

ჯიბრებებზე წაუსვლელობაც რომ უხერხულია? გადავწყვიტეთ, „დინამოს" ბაზაზე შეგვექმნა საქართველოს ნაკრები, მაგრამ ამ ორგანიზაციას ახლა ძალიან უჭირს. შარშან დინამოელებმა ხუთი თვე უსასყიდლოდ ივარჯიშეს „ლაგუნა-ვერეში". წლეულსაც ასეთივე მდგომარეობაში არიან. საგანგაშოა ისიც, რომ ნაკრების შევსებაც არსაიდან ჩანს. ქუთაისმა წყალბურთის სამყაროს ისეთი ვარსკვლავები მისცა, როგორებიც არიან გივი ჩიქვანაია, ოთარ მიმინოშვილი, მურთაზ გულედანი, მიხეილ გიორგაძე და სხვები. ახლა კი იქიდან არაფერი ისმის, ან როგორ გაიგონებ, როცა სამივე აუზი გაპარტახებულია, ალდგენაზე არავინ ფიქრობს. ანალოგიური მდგომარეობაა ბათუმშიც. არადა, წყალბურთის სიყვარული ჩვენთან ტრადიციულია და ამაში შარშან შემოდგომაზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: მინაურულად გადავწყვიტეთ, „ლაგუნა-ვერეში" წყალბურთის ფასიანი ჯგუფები გაგვეხსნა მოზარდებისთვის, 500-ზე მეტი ბავშვი მოგვაწყდა ერთდროულად. მათგან 300 დღემდე ვარჯიშობს. მართალია, ყველა მათგანი წყალბურთელი და მოცურავე ვერ გამოვა, მაგრამ ამდენი მოზარდი ხომ მოვწყვიტეთ ქუჩას? თანაც ჯანმრთელობას იკაჟებენ და, სხვა თუ არაფერი, კრიტიკულ სიტუაციაში თავსაც გადაირჩენენ და სხვასაც შეეშველებიან.

სოსო მაისურაძე: ბატონმა ვლადიმერმა უკვე აღნიშნა, რომ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა, რომელიც 1982 წელს დაბადებული ბიჭებით არის დაკომპლექტებული, წლეულს ორ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში იასპარეზა. ამ ასაკზე იმიტომ შევჩერდით, რომ 1999 წელს მათთვის ევროპის პირველობა გაიმართება და აქედანვე გადავწყვიტეთ მზადება.

ჯერ ვოლგოგრადში 3-8 იანვარს რუსეთის პირველობის ზონალურ ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა ჭაბუკებს შორის. დავამარცხეთ ასტრახანის, სევასტოპოლის, ნიჟნი-ნოვგოროდის, ყაზანისა და ვოლგოგრადის გუნდები და მეორე ეტაპზე გავედით. იქაური შეხვედრები ნიჟნი ნოვგოროდში 23-28 მარტს არის დაგეგმილი. თუ იქაც ანალოგიურ წარმატებას მივაღწიეთ, ფინალურ „პლეი-ოფებში" მოგვიწევს თამაში.

ბიჭებს სპორტული ფორმა რომ შეენარჩუნებინათ, თებერვლის დასაწყისში თურქეთის საერთაშორისო ტურნირში ჩავებით, სადაც უნგრელებმა, რუმინელებმა, ბულგარელებმა, ებრაელებმა და თურქებმაც იასპარეზეს. ორი მატჩი წავაგეთ – უნგრელებთან და რუმინელებთან, დანარჩენებს კი მოვუგეთ და საბოლოოდ II-IV ადგილები გავიყავით მასპინძლებთან და რუმინელებთან ერთად. იმდენად მოეწონათ ჩვენი თამაში, რომ ყველამ მიგვიპატიჟა სტუმრად, თან მგზავრობის გარდა ყველა ხარჯის ანაზღაურებას შეგვპირდნენ. რადგანაც თურქეთში წასვლა შედარებით იაფი გვიჯდება, მათს მიწვევაზე მაშინვე დავეთანხმეთ. **4-8 მარტის ტურნირისთვის გუნდი ასეთი შემადგენლობით მიემგზავრება: მეკარეები — გიორგი არაზაშვილი და ვლადიმერ ოგანეზოვი, მცველები — ვახტანგ თურმანიძე, გიგა მაზიაშვილი, ლევან მანჟულაშვილი, შუა ხაზის მოთამაშეები — ირაკლი გოგიჩაიშვილი, ირაკლი დოკვაძე, ვლადიმერ ბაიბურთიანი, გიორგი მაისურაძე, თავდამსხმელები — რევაზ გიორგაძე და მიხეილ ოგანეზოვი.** ამ წყალბურთელთა უმრავლესობის მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვით **ჯონდო მაჭარაშვილსა და გიორგი დოლიძეს.** ბიჭები „ლაგუნა-ვერეში" ათჯერ ვარჯიშობენ კვირაში: კომპლექსის დირექციის ხელშეწყობით, ოთხჯერ – უფასოდ, ხოლო ექვსჯერ – შეღავათიან ფასებში. აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატისა და სპორტკლუბის მხრიდან დიდი ყურადღება და დახმარება. საგულისხმოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ექოს" პრეზიდენტის, ყოფილი წყალბურთელის ვაჟა სამალბეგიშვილის შემწეობაც. შარშან მან 5 თვის ვარჯიშების ფული ჩაგვირიცხა, წლეულსაც გვპირდება ასეთსავე დახმარებას. იქნებ ბატონ ვაჟას მაგალითს სხვებმაც მიბაძონ?

მაისში მარიუპოლი 1979 წელს დაბადებულთა მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირს უმასპინძლებს. ჩვენ სამი წლით უმცროსი ბიჭებით ვაპირებთ ამ შეჯიბრებაში ჩაბმას, თუ დაგვიშვეს.

საქმე ის არის, რომ მსგავს შეჯიბრებებზე შავი და თეთრი ქუდების კომპლექტი უნდა გვქონდეს, რაც 800 დოლარი მაინც ღირს, ჩვენ კი უსახსრობის გამო ძველი ან ნათხოვარი ქუდებით გამოვდივართ. არც სპორტული ტრუსები გვაქვს ერთნაირი. მსოფლიო პირველობაზე ასე აჭრელებულებს აუზში არავინ ჩაგვიშვებს. ქართველი ბიზნესმენებიდან იქნებ ვინმემ გულთან ახლოს მიიტანოს ჩვენი გასაჭირი და შეგვეხიდოს!

ესაუბრა

**ვაჟა დანელია**



სურათზე: საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები.

## ჩოგბურთი



# შმასპინძლა მესხის აკადემიამ

თბილისის მერიის სპორტის სამმართველომ და საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დედაქალაქის ღია პირველობა მოაწყვეს 1982-1983 წლებში დაბადებულთა შორის. ჭაბუკებში ყველას ლადო ჩიხლაძემ სძლია, გოგონებში კი თამარ ზედგენიძემ იმარჯვა.

საგულისხმოა, რომ შეჯიბრებას სპონსორობა „კოკა-კოლამ" და მაღაზია „ვულე-ვუმ" გაუწიეს.

სურათებზე: ვაჟთა შორის გამარჯვებული ლადო ჩიხლაძე; ნინო ჭიჭინაძე (მარცხნივ) წარმატებას ულოცავს თამარ ზედგენიძეს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ტექსტი და ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მილოცვა



ჩვენო საყვარელო გიორგი, მოგილოცავთ დაბადების დღეს. 2 მარტს 17 წლის გახდები, და თუმცა აქედან შორს, ამერიკაში ხარ, უეჭველად იგრძნობ შენი დედიკოს, ბაბუა-ბებიის ალერსსა და სიყვარულს. დაე, მრავალჯერ მოგვილოცოს ეს ბედნიერი დღე, ჩვენო სიამაყევ!

**დედა — დიანა სანიშვილი, ბებია და ბაბუა.**

1998 წლის 20 მარტს 14 საათზე .მოწვეულია სააქციო საზოგადოება „სპეცჰიდრომშენის" აქციონერთა კრება.

**დღის წესრიგი:**

1. 1997 წლის საწარმოო-საფინანსო შედეგების განხილვა და 1998 წლის პერსპექტივები.
2. აუდიტორული შემოწმების შედეგების განხილვა.
3. საორგანიზაციო საკითხები.

მისამართი: თბილისი. ანდრონიკაშვილი 145 ა.

**მეთვალყურეთა საბჭო.**

## ხსოვნა



### ვაჟა ფრუიძე

ქართველ სწავლულთა რიგებს გამოაკლდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კვების დანამატების განყოფილების გამგე, სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვაჟა გიორგის ძე ფრუიძე.**

ვაჟა ფრუიძე დაიბადა 1921 წ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში და უკვე 1950 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1960 წ. კი სადოქტორო. 1994 წლიდან არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1961 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. თავდაპირველად ხელმძღვანელობდა თამბაქოს განყოფილებას. 1972-87 წლებში იყო დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. ამ პერიოდში მან ჩამოაყალიბა სანელებლებისა და ტექნოლოგიის განყოფილება, რითაც საფუძველი ჩაუყარა კვების მრეწველობის ახალ დარგს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესრულდა ისეთი სამუშაოები, რომელმაც განსაზღვრა განყოფილების გასვლა საკავშირო დონეზე, რის საფუძველზეც ინსტიტუტი სსრკ-ს მასშტაბით მეთაური ორგანიზაცია გახდა სანელებლების ტექნოლოგიის დარგში. ბატონი ვაჟა სიცოცხლის ბოლომდე ამ განყოფილების უცვლელი ხელმძღვანელი იყო. იგი 120-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, 10-მდე საავტორო გამოგონება ეკუთვნის. მიღებული აქვს საკავშირო ჯილდოები. იგი იყო დიდი სამამულო ომის ვეტერანი. მისი სახით ქართულმა მეცნიერებამ და ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა. ვაჟა ფრუიძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ნათესავებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია.

## ქ. თბილისის სტუდენტთა სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის ადმინისტრაცია

**აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:**

– კლინიკური ლაბორატორიის ექიმ-ლაბორანტი
– ექიმ-უროლოგი
– ექიმ-გინეკოლოგი
– ექიმ-ფსიქიატრი
– თერაპევტი
– ექიმ-დერმატო-ვენეროლოგი
– ექიმ-სტომატოლოგ-თერაპევტი
– ექიმ-სტომატოლოგ-ქირურგი
– სტომატოლოგიური კაბინეტის მედდა

შემდეგი პირობებით:

1. უმაღლესი ან I კატეგორიის მქონე სპეციალისტები
2. სპეციალობით მუშაობის არაუმცირეს 10 წლის სტაჟი
3. რეფერატი პრობლემატურ საკითხებზე სპეციალობის მიხედვით
4. ზეპირი გასაუბრება
5. საბუთები – დადგენილი წესის მიხედვით.

კონკურსი გაიმართება განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის შემდეგ მისამართზე: ი. ჭავჭავაძის გამზირი № 37 (სტუდქალაქის ტერიტორია), ტელ: 22-33-01.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს პურპროდუქტებისა და სურსათის დეპარტამენტში არსებული ვაკანსიების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის წესი და პირობები:

1. კონკურსში მონაწილეთა განცხადებები მიიღება პრესაში გამოცხადებიდან 15 დღის განმავლობაში.
2. კონკურსში მონაწილეთა განცხადებების განხილვა მოხდება პრესაში გამოქვეყნებიდან 20 დღეში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის სახელზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №41, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო (ოთახი № 639).

**განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:**

1. კადრების აღრიცხვის ფურცელი.
2. ავტობიოგრაფია.
3. განათლების მოწმობა.
4. პირადობის მოწმობა (განმცხადებლები წარმოადგენენ პირადად).

საკონკურსო პირობები პურპროდუქტებისა და სურსათის დეპარტამენტში არსებული 2 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად:

– უმაღლესი განათლება, ინჟინრის სპეციალობით.
– კომერციული საქმიანობისა და პურპროდუქტების სისტემაში მუშაობის სტაჟი, არანაკლებ 5 წლისა.
– სახელმწიფო სტრუქტურებში და დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება. სასურველია კომპიუტერის გამოყენებისა და უცხო ენების ცოდნა.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ შემდეგ ნომრებზე: 93-23-34, ოთახი № 639.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

## გაითვალისწინეთ!

*ქალაქ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ შარშანდელი 20 მაისიდან ნებადართულია „საქართველოს რესპუბლიკის" მხოლოდ იმ ეგზემპლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემელი შპს „პრესის" სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული. ყველა დანარჩენი მოპარულია.*

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის ჟურნალისტები იუწყებიან
ტარიელ კვანჭილაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ დოდო ყარაულაშვილს მამის
ალექსანდრე ყარაულაშვილის
გარდაცვალების გამო.

## გახსენება

### მამუკა დარახველიძე



ერთი წელიც არ ყოფილა საკმარისი იმისთვის, რომ დავიჯეროთ, – „შენ ჩვენს გვერდით აღარა ხარ". ვერ დაიჯერა გულმა, ყოველ წუთს გვგონია, გაიღება კარი და შემოხვალ ისევ ისეთი ლამაზი, მხრებგაშლილი და ღიმილიანი, როგორც იყოდი, „ჩქარა-ჩქარა"-ს ძახილით აგვაფორიაქებდი, იხუმრებდი, უცბად ყველას მოგვეფერებოდი და ისევ გარბოდი. შენი ცხოვრებაც ერთ ასეთ დღეს ჰგავდა. 32 წელი ისე გაატარე, ყველაფრის მოსწრებას ცდილობდი, მხოლოდ ერთი რამ მოასწარი: უსაზღვრო სიყვარული დატოვე ყველას გულში, ვინც გიცნობდა და შეგხვედრია.

ჩვენო საფიცარო ძამიკო! ძალიან გვენატრები და ალბათ, სიცოცხლეს გავიმეტებთ იმისთვის, რომ ერთხელ კიდევ მოგვეფეროთ, გულში ჩაგიკრათ და გაკოცოთ ისე, როგორც იმ საბედისწერო დღეს, 1 მარტს, ყველას რომ დაგვემშვიდობე და წახვედი თითქოს ცოტა ხნით, თურმე კი – სამუდამოდ...

არა, შენ ჩვენთან ხარ ყოველთვის. ვუყურებთ კადრებს შენი მონაწილეობით და შენთან ერთად ვიცინით, ვმღერით, ვცეკვავთ და ბოლოს ვტირით. შენ ხომ ყველას სიკვდილი გაგვიადვილე, რადგან იმ ქვეყნად შენ გვეგულები მასპინძლად, პატრონად, გვერდში მდგომად და გამამხნევებლად, როგორც ამ ქვეყანაში იყავი, ყველას იმედი, სანათესაოს სიამაყე და მშობლების ნებიერა ბიჭი, მშობლების, რომლებიც გააუბედურე შენი ამ ქვეყნიდან წასვლით. ერთი ნატვრა დაუტოვე იმისა, რომ მალე გნახონ, მალე შეგხვდნენ, მალე ჩაგიკრან გულში, მოგეფერონ და მაშინ მათზე ბედნიერი აღარავინ იქნება, ახლა კი მონატრებას შენს თამუნაზე ფიქრით, ზრუნვით და მოფერებით იკლავენ.

არ ვიყავით ასეთი სიმწარის ღირსი. ამაზე გვწყდება გული და ალბათ, გაჭირვებულის გვერდში დგომა რომ არა, ჩვენც დავკარგავდით რწმენას სიკეთისას, ამქვეყნიური ცხოვრებისას და ბოლოს ღმერთისას, რომელსაც თურმე რჩეულთა შორის რჩეულები მიჰყავს თავისთან.

მაია, მანანა.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ შოთა კვირაიას შვილის
ოთარ კვირაიას
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის ჟურნალისტები თანაუგრძნობენ ბატონ შოთა კვირაიას შვილის
ოთარ კვირაიას
გარდაცვალების გამო.

საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონ შოთა კვირაიას შვილის
ოთარ კვირაიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი – „შპს პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ ზოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
არჩილ მანჯგალაძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.